"ჭერ კიდევ ბევრი რამეა გამოსაძიებელ-დასადგენი", A7

კიდევ ერთხელ გამოცდების შესახებ A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 31 მაისი, 2004 წელი. №127 (676)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### მიშა ჩამოდის! - ეს ორი სიტყვა ხშირად ისმის ოზურგეთში

სამწუხაროდ, არჩევნების წინ შექმნილმა ოზურგეთის განვითარების ფონდმა მოსალოდნელზე ადრე შეწყვიტა ფუნქციონირება და განვითარებაც არაფერს დატყობია.
მაგრამ, მოსახლეობას ჯერ კიდევ შემორჩა იმედი, რომ მაჟორიტარი დეპუტატი ივანე ჩხარტიშვილი ისევ მიხედავს თავის მშობლიურ რაიონს.

A2

## ეკონომიკა

### რა ხდება ზარაფხანაში?

საქართველოს ეროვნული ზარაფხანის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს ზეწოლაში ადანაშაულებს. ლორთქიფანიძის რწმუნებით, გარკვეული ძალები მისი თანამდებობიდან გათავისუფლებას და ზარაფხანის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობენ.

A4

## უცხოეთი

### „ალ-ქაიდამ" საუდის არაბეთს შეუტია

გასული შაბათ-კვირა "ალ-ქაიდას" ტერორისტებისა და საუდის არაბეთის ხელისუფლების ორთაბრძოლით აღინიშნა. შაბათს ოსამა ბინ ლადენის ისლამისტი მებრძოლები საუდის არაბეთის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ ხუბარაში განთავსებულ ნავთობკომპანიის ადმინისტრაციულ შენობას დაესხნენ თავს.

A5

## საზოგადოება

### მონიკელებული ნიჩაბი - სპეციალურად ქალაქის მერისთვის

ქალაქის დასუფთავებაში საზოგადოების გააქტიურებისთვის მერმა გადაწყვიტა, თავად ეჩვენებინა მაგალითი, ამიტომ, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურისგან სიმბოლურ საჩუქრად მიიღო ნიჩაბი და სპეცტანსაცმელი, რომელზეც დიდი ასოებით მისი თანამდებობა ეწერა.

A6

## სამართალი

### წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე კონტროლი გამკაცრდება

დღეს უშიშროების საბჭოში სპეციალური სხდომა გაიმართება, რომელზე დასწრებაც ქვეყნის ყველა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელისთვის სავალდებულო იქნება.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 26 |
| ქუთაისი | 29 |
| ბათუმი | 26 |
| სოხუმი | 28 |
| ფოთი | 29 |
| თელავი | 24 |
| ზუგდიდი | 32 |
| გორი | 23 |
| ახმეტა | 25 |
| ჭიათურა | 26 |
| გაგრა | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3570 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5293 |
| რუბლი | 0.0662 |

## არჩევნების მოახლოებასთან ერთად

# ვნებათაღელვა მატულობს

*რამდენიმე დღეში აჭარაში ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესი უნდა დაიწყოს. რეგიონში უკვე შექმნილია თორმეტი საოლქო საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარეებიც აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან ვარშალომიძემ დანიშნა. კომისიებში საკუთარი წევრები უკვე "მიავლინეს" დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ, "ნაციონალებმა", "მრეწველებმა" და "ლეიბორისტებმა". საგულისხმოა, რომ არც ერთი ოლქის თავმჯდომარე აჭარის მაცხოვრებელი არ არის – ისინი დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრებმა და პარტიებმა თბილისიდან გამოიწვიეს, როგორც ამბობენ, საარჩევნო პროცესებში მაქსიმალური ობიექტურობის დასაცავად. თითქმის დასრულებულია საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესიც. ასე რომ, როგორც აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფალავა აცხადებს, ავტონომიაში წინასაარჩევნო მზადების ტემპები დამაკმაყოფილებელია.*

თამარ მჭედლიშვილი

რაც შეეხება არჩევნებში მონაწილე პარტიებს. აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო რეგისტრაციაში 12 პარტია გაატარა. თუმცა, კომისიაში განაცხადი 13 პოლიტიკურ სუბიექტს ჰქონდა შეტანილი. მათ შორის იყვნენ: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (რომელიც არჩევნებში მონაწილეობას "სააკაშვილი – გამარჯვებული აჭარა"-ს სახელით მიიღებს), "რესპუბლიკური პარტია", "ლეიბორისტული პარტია", "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", "ახალი კომუნისტური

გაგრძელება A2 გვერდზე

## საქართველო-რუსეთის ახალი დისკურსი:

# პრაგმატიზმი და ჭანსაღი სიფრთხილე

ნიკა იმნაიშვილი

გასულ კვირას თბილისში ჩატარებული "რუსეთ-საქართველოს ბიზნეს-კონფერენცია" არათუ მხოლოდ გასული რამდენიმე დღის, არამედ უკანასკნელი პერიოდის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენად იქცა.

იგი საინტერესოა უპირველესად იმ თვალსაზრისით, რომ ხანგრძლივი "ნოკაუტის" შემდეგ, რომელშიც ქართული პლურალისტური საზოგადოება აღმოჩნდა "ნოემბრის რევოლუციის" შედეგად, ჩვენი სოციუმი თანდათან გამოდის შოკიდან და კვლავ იწყებს ფართო მსჯელობას სტრატეგიულ პრობლემებსა თუ თანამდევ საკითხებზე.

გაგრძელება A3 გვერდზე



რუსი ბიზნესმენების ფორუმი თბილისში.

## ჩაწიხლული "ოქროს მატჩი"

### "ვიტ ჯორჯიას" ოქროს მედლების მეორე მხარე

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ჩემპიონის გამოსავლენ მატჩს, რომელიც გუშინ ეროვნულ სტადიონზე გაიმართა, ყველაფერი შეიძლება დაერქვას, "ოქროს მატჩის" გარდა. საქართველოს ჩემპიონატად წოდებული ორნაწილიანი თრილერის კვანძი, მართლაც, მოულოდნელად გაიხსნა.

არა, იმაში მოულოდნელი და უჩვეულო არაფერია, რომ საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" და პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. პირადად ჩემთვის არც ის იყო მოულოდნელი, რომ "სიონის" გულშემატკივრებმა ვეტერინარების გამარჯვება პირად შეურაცხყოფად მიიღეს და ლამის ტრაგედია დაატრიალეს. ამის ყველანაირი წინაპირობა ნამდვილად არსებობდა, მაგრამ წინასწარ არავის უზრუნია, რომ მატჩს მშვიდ ვითარებაში ჩაევლო.

რბილად რომ ვთქვა, ძალიან დაბალი იყო საორგანიზაციო დონე – პირადად მე გუშინდელ "ოქროს მატჩს" სხვა შეფასებას ვერ მივცემ. აი, რა შეცდომები იყო დაშვებული ორგანიზატორების მხრიდან:

1. საჭირო იყო დაპირისპირებულ გულშემატკივართა იზოლაცია.

იმის მიუხედავად, თუ რამდენად სერიოზული დონის ტურნირია და რამდენად პრინციპული მეტოქეები ხვდებიან ერთმანეთს, მოწინააღმდეგე გუნდების ფანებს ყველა ქვეყანაში ერთმანეთისგან მოშორებით და სამართალდამცავებით იზოლირებულ ტრიბუნებზე, უმეტესად, ზედა იარუსზე სვამენ. ამით თავიდან იცილებენ გულშემატკივართა დაპირისპირებას და მოედანზე ხულიგნების შეჭრას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "იტერა" "აზოტის" 90 პროცენტს ითხოვს

მაია ურუშაძე

*სახელმწიფო ვალების ჩამოწერის სანაცვლოდ, რუსული კომპანია "იტერა" "აზოტის" აქციათა 90 პროცენტის უპირობოდ გადაცემას მოითხოვს. ამის შესახებ საქართველო-რუსეთის ბიზნეს-კონფერენციაზე ნავთობისა და გაზის კომპანია "იტერას" ხელმძღვანელმა ვალერი ოტჩერცოვმა ღიად განაცხადა.*

ამ ორი წლის წინ, როცა ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საწარმოს, რუსთავის "აზოტის" საკონტროლო პაკეტი "იტერას" პირდაპირი მიყიდვის წესით, სულ რაღაც, 500 ათას ლარად გადაულოცა, მოვლენათა შემდგომი განვითარების პროგნოზები ექსპერტებს უკვე მზად ჰქონდათ.

**"იტერას" ფეშქეშად აძლევენ "აზოტს". ამ საწარმოს პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა არასოდეს ჰქონია. ის მომგებიანია და შეგვეძლო, საკმაოდ ძვირად გაგვეყიდა. როდესაც "იტერა" მას აამუშავებს, აქეთ დაგვაყვედრის, მოგებაზე გავედით და ბიუჯეტში თანხა შევიტანეთო..."** – აცხადებდნენ მაშინ "აზოტის" გასხვისებით უკმაყოფილო ექსპერტები.

შეგახსენებთ, რომ მაშინ მთავრობამ "იტერასთვის" "აზოტის" გადასაცემად ორიგინალური ხერხი, "პირობადებული ხელშეკრულების ფორმა" გამოძებნა: რუსულ კომპანიასთან სახელმწიფომ დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც "იტერას" "აზოტი" სამი წლის მანძილზე უნდა ემართა. წინასწარ დამტკიცებული ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში კი "აზოტი" მას საკუთრებად უნდა დამტკიცებოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას, შესაძლოა, ფარდა აეხადოს

ხათუნა ჯანგირაშვილი

*რამდენიმე დღის წინ სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობის მომზადებისა და მძევლად ხელში ჩაგდებისათვის ძებნილი გიორგი აბაშიძე თბილისში, გურამიშვილის გამზირზე დააკავეს. გიორგი აბაშიძეს პოლიცია სამი წლის განმავლობაში ეძებდა. საქმე ისაა, რომ დანაშაული, რომლისთვისაც გიორგი აბაშიძე იძებნებოდა, უკვე გამოძიებულია და განაჩენიც გამოტანილია. გიორგი აბაშიძის სამი მეგობარი, რამდენიმე დღის წინ დაკავებულ ძებნილთან ერთად, ადრე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისთვის უკვე გასამართლებულები არიან და სასჯელს იხდიან. თუმცა, გიორგი აბაშიძესთან ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებებით სამართალდამცველები სამი წლის წინ გაუჩინარებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების, ყოფილი "ОБХСС "- ის უფროსის, მოგვიანებით პოლიციის აკადემიის პრორექტორის, ბოლოს კი საავთიაქო ბიზნესის მფლობელის - როსტევან ბეჟანიშვილის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის იმედს ამყარებენ და მოკლული პოლიციელის ცხედრის ადგილსამყოფელის დადგენას იმედოვნებენ.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# საიდუმლო მოხსენება ევროკავშირის მომავლის შესახებ

რუსული გაზეთის "იზვესტიას" ინფორმაციით, ევროკომისიამ საიდუმლო მოხსენება მოამზადა, რომელიც გაერთიანების წინაშე არსებული პრობლემების დაძლევას ისახავს მიზნად.

ამ მოხსენების თანახმად, ევროკავშირში სტრუქტურული კრიზისი გაფართოების შედეგად დაიწყო და მისი დაძლევა მხოლოდ "საერთო ევროპული პოლიტიკური კავშირის," ასევე საერთო საგადასახადო სისტემისა და საერთო პოლიტიკური პარტიების შექმნით შეიძლება. "იზვესტიას" ცნობით, აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტთა სპეციალურმა ჯგუფმა მოამზადა, რომელსაც საფრანგეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი დომინიკ სტროს-კანი ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფის შექმნაზე ბრძანება კი თავად ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ გასცა.

გაგრძელება A5 გვერდზე



რომანო პროდის ევროკავშირის მომავალი აღელვებს.

A2 ამბები | A3 თვალსაზრისი | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვნებათაღელვა მატულობს



*კობა დავითაშვილი*

პირველი გვერდიდან

პარტია", "ქრისტიან-დემოკრატიული პარტია", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "მწვანეთა პარტია", "ერთიანი კომუნისტური პარტია", "მერაბ კოსტავას საზოგადოება", "დემოკრატიული სიმართლის პარტია", "ქალთა დაცვის კავშირი".

უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაზე უარი განუცხადა "ქალთა დაცვის კავშირს", რადგან, როგორც კომისიაში აცხადებენ, ამ კავშირის მიერ წარმოდგენილი განაცხადი პოლიტიკური ორგანიზაციის განაცხადად არ შეიძლება ჩათვლილიყო, ვინაიდან არ დასტურდება, რომ აღნიშნული განცხადება უშუალოდ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ არის გაკეთებული.

ამასობაში, აჭარაში წინასაარჩევნო ვითარება ნელ-ნელა იძაბება. რეგიონში მყოფი საქართველოს პარლამენტის წევრები კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა ქედის რაიონის გამგებელს დავით ტაკიძეს პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ **"პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელები (მათ შორის, დავით ტაკიძე) აჭარაში ძველი ხელისუფლების მეთოდებით მოქმედებენ და მოსახლეობას საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას არ აძლევენ".**

შეგახსენებთ, რომ კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, აჭარის ავტონომიის გაუქმებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას ატარებენ. ორი დღის წინ კი ქედის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლები, რომლებიც მათთან შესახვედრად მიემგზავრებოდნენ, გამგებლის დავალებით უკან გააბრუნეს, **"მოგვიანებით, პოლიციის კაპიტნის გენო შერვაშიძის მითითებით, პროვოკაციის მოწყობას ნასვამი ახალგაზრდები შეეცადნენ,"** - ამბობენ პარლამენტარები.

გუშინ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, დეპუტატებმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს და განაცხადეს, რომ ინციდენტი ქედაში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ იყო ინსპირირებული. კობა დავითაშვილის თქმით, ეს ის მეთოდებია, რომლითაც შევარდნაძე და აბაშიძე თავის ოპოზიციას ებრძოდნენ. **"როგორც ჩანს, ჩვენი მოთხოვნა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმების და უფლებამოსილების ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადაცემის შესახებ, უკვე ახალი ხელისუფლებისთვისაა მიუღებელი. ისინი არც ახლა და არც შემდეგ სტატუსის გაუქმებისთვის აღარ იბრძოლებენ,"** - აცხადებს დავითაშვილი და დასძენს, რომ ქედას რაიონის გამგებელი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ფრთის წარმომადგენელი იყო და ინციდენტი ქედაში ამიტომაც მოხდა.

დავითაშვილი ქედას გამგებლის დათო ტაკიძისა და გენო შერვაშიძის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვს. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ქედაში მომხდარი ინციდენტის გამო, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კახა კუკავამ ფრაქციის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. იგი აჭარის ხელისუფლებისგან ინციდენტის გამოძიებას და დამნაშავე პირების დასჯას ითხოვს.

კობა დავითაშვილის აზრით, პარლამენტარებს მსგავს "დახვედრას" ქობულეთშიც მოუწყობენ, რადგანაც ამ რაიონის გამგებელიც პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრია. საგულისხმოა, რომ დეპუტატთა ბრალდებებს გუშინ ჟვანიას გუნდის არც ერთი წევრი არ გამოხმაურებია.

## კონტრაბანდული სიგარეტის დიდი პარტია დააკავეს

უშიშროების, შინაგანი ჯარისა და ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ სამეგრელოში სპეცოპერაცია ჩაატარეს. მათ აფხაზეთ-საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვართან დააკავეს კონტრაბანდული სიგარეტით დატვირთული, აფხაზეთიდან მომავალი "კამაზის" ტიპის ავტომანქანა. "კამაზს" საქართველოს სახელმწიფო ნომრები ჰქონდა და მას პოლიცია მოაცილებდა.

სამართალდამცველების მიერ დაკავებულია "კამაზის" მძღოლი და პოლიციელი დავით ფიფია. არ გამორიცხავენ, რომ უკანონო ტვირთის შემოტანა პოლიციის მაღალი თანამდებობის პირებთან წინასწარ შეთანხმებული იყო.

კონტრაბანდული სიგარეტის 200 ყუთი გუშინ ქუთაისის ტერმინალში გადაიტანეს.

**24 საათი**

## მიშა ჩამოდის! - ეს ორი სიტყვა ხშირად ისმის ოზურგეთში

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გურიის მხარის ხელისუფლების საქმიანობისა და უნარ-შესაძლებლობების მკვეთრად უარყოფით კონტექსტში მოხსენიების შემდეგ, აქაურ მოსახლეობაში დიდი მითქმა-მოთქმაა. ნირწამხდარი ადგილობრივი ხელისუფლება საოცდაექვსმაისო ღონისძიებებში აქტიურად კი იყო ჩართული და გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, მაგრამ გულში რა ბალღამიც უდუღდა, ადვილი მისახვედრია. პრეზიდენტი მართალია, ოზურგეთის ერთ-ერთი უბანი მართლაც ჰგავს დაბომბილ ობიექტს, რადგან თითქმის თხუთმეტი წელია, ინგრევა. სამწუხაროდ, არჩევნების წინ შექმნილმა ოზურგეთის განვითარების ფონდმა მოსალოდნელზე ადრე შეწყვიტა ფუნქციონირება და განვითარებაც არაფერს დატყობია. მაგრამ მოსახლეობას ჯერ კიდევ შემორჩა იმედი, რომ მაჟორიტარი დეპუტატი ივანე ჩხარტიშვილი ისევ მიხედავს თავის მშობლიურ რაიონს.

მოსახლეობა კი, როგორც ითქვა, პრეზიდენტის ფრაზამ გამოაცოცხლა. მათ იმედი მიეცათ, რომ ვიღაც ხმას აიმაღლებს და იტყვის, თუ რატომ იყიდება ოზურგეთში ყველაზე ძვირი და უხარისხო საწვავი? რატომ არის აქ გამომცხვარი პური საეჭვო წონისა და ხარისხის (აქაური სპეციალისტების დასკვნით, საჭმელად უვარგისი და ჯანმრთელობისთვის სახიფათო), რატომ იხრჩობა უწყლობით მთელი ქალაქი? რატომ გახდა სამოძრაოდ უვარგისი აქაური გზები და ბილიკები? რატომ აისახა ვარდების რევოლუცია ოზურგეთში მხოლოდ ნაწილობრივ საკადრო ცვლილებებში? რატომ ვერ ახერხებს ოზურგეთის მოსახლეობა ხვნა-თესვის სამუშაოების დაწყებას? რატომ აღარ იკრიფება ჩაი? რატომ აქვს მუდმივი პრობლემები აქ მომუშავე ორადორ უცხოელ ინვესტორს?

და საერთოდ ჩნდება კითხვა: რა მოიტანა ვარდების რევოლუციამ ოზურგეთში? რა გააკეთეს გერმანულმა და ამერიკულმა კომპანიებმა ჩაის დარგში ჩადებული ფსევდოინვესტიციებით?

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როდის დაიწყება კარდინალური ძვრები ოზურგეთის ცხოვრებაში, ოზურგეთის გამგებელი უპასუხებს, რომ რევოლუციური ცვლილებებია საჭირო და იგი ელოდება თბილისიდან მინისტრების მოადგილეების(?) ჩამოსვლას და ეს რევოლუციაც მაშინ დაიწყება. რომ არ ჩამოვიდნენ?

გამოსავალი უნდა მოიძებნოს გურიის მოსახლეობის სიღატაკიდან გამოსაყვანად, სამუშაო ადგილების უმწვავესი დეფიციტის აღმოსაფხვრელად. ძნელია შეეგუო იმ გარემოებას, რომ ოჯახები, რომლებიც თავიანთი შემოსავლებით თითქმის ყოველ წელს ავტომობილებს იძენდნენ, დღეს კვირიდან კვირამდე პურს ნატრულობენ. და ყველაფერი ეს, ალბათ, სულაც არ არის მხოლოდ ადგილობრივი, ე. წ. რეგიონული პრობლემა. საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აქტიური დახმარება.

ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის წლებში შედგა გურიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, მაგრამ ამ პროგრამის რეალიზაციის თვალსაზრისით აქტივში მხოლოდ ორი-სამი იმდროინდელი მინისტრის ვიზიტს თუ ჩავთვლით. ეს პროგრამა ჩინოვნიკთა მაგიდის უჯრების პატიმარად იქცა.

ამჯერად ოზურგეთში ყველას პირზე აკერია, რომ პრეზიდენტი საგანგებო ვიზიტით მალე ეწვევა გურიასა და ოზურგეთს. ამ რეგიონს ბოლო წლებში ადგილობრივი დიქტატორის ულელქვეშ არ უგმინია, მაგრამ ცარიელმა დემოკრატიამაც ვერაფერი არგო.

ხალხი იმედიანადაა: ჩამოვა მიშა და იკითხავს, თუ ვინ განაგებდა ოზურგეთს ბოლო წლებში, სად გაქრა ე. წ. საერთო-სახალხო დოვლათი და ქონება, სად გაფრინდა მერიის აეროდრომი, ხე-ტყე, ჯართი; რატომ იმყოფება შიმშილის ზღვარზე მოსახლეობა და სადამდე გასტანს სრული უპერსპექტივობით გამოწვეული აპათია.

მიშა ჩამოდის! - იქნებ ოზურგეთსაც ეპკუროს ვარდების რევოლუციის წყალი.

**თამაზ ხარაიშვილი**
ოზურგეთიდან

## მარნეულში მომხდარი მკვლელობის საქმე ჯერაც გაუხსნელია

მარნეულის რაიონის სოფელ ბაიდარში გუშინწინ ღამით მომხდარი საზარელი მკვლელობა ჯერ კიდევ გაუხსნელია. შეგახსენებთ, ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილმა თავდამსხმელებმა ე. წ. ნათელმხილველი იმამ ალიევი, მისი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი ჩაცხრილეს.

გამოძიება მკვლელობის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. გამოძიების ინტერესებიდანვე გამომდინარე, ეს ვერსიები, ჯერჯერობით, არ ხმაურდება. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, ერთ-ერთი ვერსიით, ოჯახური მკვლელობა, შესაძლოა, შურისძიების მოტივით მოხდა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მკვლელობის ღამეს მათ ალიევების ოჯახში შესული რამდენიმე ადამიანის ლანდი დაინახეს.

ქვემო ქართლის პროკურორი ეთნიკურ ნიადაგზე მკვლელობას გამორიცხავს, ვინაიდან სოფელ ბაიდარში არც ერთი ქართული ოჯახი არ ცხოვრობს.

სამართალდამცველები იმ პირთა წრის დადგენას ცდილობენ, რომელთაც ალიევთან ურთიერთობა ჰქონდათ.

**24 საათი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** "ლეიბორისტული (შრომის) პარტია" ახალ ტრადიციას ამკვიდრებს და ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების ანალიზის მიზნით ყოველკვირეულად გამართავს პრესკონფერენციას „ორშაბათიდან ორშაბათამდე". როგორც პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გელა დანელიამ განაცხადა, ახალი ტრადიცია „ჟვანია-სააკაშვილის მთავრობის ცოდვათა განკითხვასა და მოსახლეობისთვის სიმართლის გაცხადებას ემსახურება". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ იტალიის მთავრობისგან 8 მილიონი ევროს ღირებულების 138 დასახელების ნივთი მიიღო. თავდაცვის სამინისტროში სამხედრო ამუნიციის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ჯარისკაცისა და ტექნიკური პერსონალისთვის განკუთვნილი ტანსაცმლის, მაღალყელიანი ფეხსაცმლისა და სხვა ნივთების ნიმუშები, რომლებიც თითქმის ყველა სამხედრო ნაწილში დარიგდება. აღნიშნული ამუნიციით შეიარაღებული ძალების 40 პროცენტის შემოსვა მოხერხდება. სამხედრო ტანსაცმლის გადაცემის ცერემონიალს იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო ესწრებოდა. მისი განცხადებით, იტალიის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა არის მისი მეგობრობის ნიშანი საქართველოს მიმართ, ეს ურთიერთობა უნდა გაგრძელდეს და კონკრეტული შედეგები გამოიღოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ორმაგი მოქალაქეობის შემოღების შესახებ პრეზიდენტის ინიციატივა პოლიტიკური ნების გამოხატულებაა. მას სურს, უცხოეთში სხვადასხვა დროს წასულმა საქართველოს რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ აღადგინოს სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, მაგრამ ამ პოლიტიკური ნების სრულად რეალიზაციისთვის კონსტიტუციური ნორმა ჯერ არ შექმნილა, ანუ კანონში არ არის განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლითაც განიმარტება საქართველოს მიმართ უცხოეთში მცხოვრები ქართველების „განსაკუთრებული დამსახურება". ზოგადად, ამჟამად არ ვარ ორმაგი მოქალაქეობის შემოღების მომხრე, ვიდრე ბოლომდე არ დარეგულირდება საქართველოს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან," - აცხადებს იურისტი დავით უსუფაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს ქუთაისელი ზურაბ გაბიანი, გურამ ქარდავა და ფრიდონ გელოვანი, რომლებმაც 2001 წლის დეკემბერში შპს "ავტოქარხნის" მიმდებარე ტერიტორიიდან მოიპარეს 18.906 ლარის ღირებულების 7.870 კგ ელექტროგადამცემი ხაზი, რაზეც 2002 წლის 31 იანვარს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ქუთაისის განყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალ კვირას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ოფიციალური სამუშაო ვიზიტით აშშ-ს ეწვევა. დაგეგმილია შეხვედრები აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან, აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველთან უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისთან, ამერიკის მთავრობისა და სენატის წარმომადგენლებთან. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ვლადიკავკაზი.** ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის სამართალდამცველები ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზაზე 29 მაისს მომხდარი აფეთქების ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს ეძებენ. აფეთქება ვლადიკავკაზთან ახლოს, სოფელ ელხოტოვოსთან მოხდა, როცა ამ მონაკვეთს მოსკოვიდან მომავალი სამგზავრო მატარებელი გადიოდა. მატარებელი დაბალი სიჩქარით მოძრაობდა და ამიტომაც, 10-მდე ვაგონი მხოლოდ ლიანდაგიდან გადავიდა, მაგრამ არ გადაბრუნებულა. ასაფეთქებელი მოწყობილობა, სავარაუდოდ, საარტილერიო ჭურვი იყო და მისი მართვა რადიოკავშირის მეშვეობით ხდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გენპროკურატურის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, რომ ბოროტმოქმედები სწორედ ამ სამგზავრო მატარებელს ელოდებოდნენ, რადგან მანამდე ამავე მონაკვეთზე ელექტრომატარებელმა გაიარა, რომელიც არ აუფეთქებიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 27 მაისს ავარიულად გამორთული ენგურჰესის მეხუთე აგრეგატის ამუშავება კვლავ ვერ ხერხდება. ამის გამო, ელექტროენერგია შეზღუდვით მიეწოდება როგორც რეგიონებს, ისე დედაქალაქს. საღამოს პიკის საათებში ქვეყნის ცენტრალური სადისპეტჩერო 200 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიის დეფიციტს განიცდის. ენერგოდეფიციტი კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს. **მედია-ნიუსი**

## ჩაწიხლული "ოქროს მატჩი"

პირველი გვერდიდან










ლევან ხერხეულიძის ფოტოები

2. სამართალდამცავთა ნაკლებობა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გუშინ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა, რის გამოც თამაშს რისკის ყველაზე მაღალი კატეგორია ჰქონდა და უსაფრთხოების ზომებიც დაახლოებით ისეთი უნდა ყოფილიყო, ოფიციალურ სანაკრებო მატჩებზე რომ იგეგმება. ამასთან, წინასწარ იყო ცნობილი, რომ გუშინდელ მატჩზე "სიონის" რამდენიმე ათასი გულშემატკივარი აპირებდა ჩამოსვლას. ქართულ საფეხბურთო წრეებში კარგად არის ცნობილი, რომ ბოლნისელი გულშემატკივრები მაინცდამაინც დიდი თავშეკავებით არ გამოირჩევიან. ამის მიუხედავად, სტადიონზე დამატებითი ძალების მოსვლამდე 150-მდე პოლიციელი იყო. ამ რაოდენობის ძალოვნების ყოფნა კი საერთოდ არყოფნისგან არაფრით განსხვავდებოდა.

თამაში სამჯერ შეჩერდა და "სიონის" ფანები სამჯერ "გაიჭრნენ ველად". პირველად, როდესაც "ვიტ ჯორჯიამ" ანგარიში გახსნა. როგორც შემდეგ გაირკვა, ბოლნისელებს მოეჩვენათ, რომ "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელმა გოლის გატანით გამოწვეული სიხარული უცენზურო ჟესტით გამოხატა. რამდენად მართალია ეს, ძნელი სათქმელია. ვიტელები უარყოფენ ამას, ბოლნისელები – ადასტურებენ. ასეც რომ ყოფილიყო, ეს სულაც არ არის იმის საბაბი, რომ ტრიბუნებზე რამდენიმე ათასმა ბოლნისელმა ხელჩართული ბრძოლა გაუმართოს გვერდით მჯდომ თბილისელებს. ამ ყველაფერს სარბენი ბილიკებიდან ოლიმპიური სიმშვიდით ადევნებდნენ თვალს პოლიციელები და მოჩხუბართა გაშველებას სულაც არ ფიქრობდნენ. საბოლოოდ გულშემატკივრები თავისით დაწყნარდნენ, თამაში კი 9 წუთის დაგვიანებით გაგრძელდა.

ბოლნისელთა კარში გატანილ მეორე გოლს გაცილებით მეტი აურზაური მოჰყვა. "სიონის" გულშემატკივრებმა ჩათვალეს, რომ პასის დროს მეორე გოლის ავტორი გოჩაშვილი თამაშგარე მდგომარეობაში იყო, რის გამოც რამდენიმე ათეული "გულშემატკივარი" ისევ მოედანზე გაიჭრა და მსაჯების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების აქტი ჩაატარა. მთავარი არბიტრი ალექსანდრე კრიჭაშვილი წააქციეს და წიხლებით სცემეს. არც მსაჯებს გაუმართლათ და პოლიციამ ძლივს მოახერხა ფრონტის ხაზიდან მათი გაყვანა. თამაში კიდევ ერთხელ შეჩერდა. ახლა უკვე შეიქმნა იმის საშიშროება, რომ მატჩი ვერ დასრულდებოდა. ძნელი სათქმელია, როგორ მოახერხეს მსაჯების დათანხმება, მაგრამ ფაქტია: დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მსაჯთა ბრიგადა სტადიონზე დაბრუნდა და მატჩი განახლდა. ამასობაში შინაგანი ჯარის ნაწილებთან ერთად გულუას სპეცრაზმიც გამოჩნდა ფარებით და ხელკეტებით. მათ სტადიონის მთელ პერიმეტრზე დაიკავეს ადგილები.

თამაში მესამედაც შეჩერდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კრიჭაშვილმა "სიონის" ფეხბურთელი გილაური სრულიად სამართლიანად გააძევა მოედნიდან. განსაკუთრებით თავზეხელაღებული ოთხი-ხუთი ბოლნისელი კიდევ ერთხელ შეეცადა, კრიჭაშვილისთვის ჭკუა ესწავლებინა. მაგრამ ამჯერად მსაჯამდე ველარ მიაღწიეს, პოლიციის განყოფილებამდე ცემა-ცემით გასეირნება კი ნამდვილად დაიმსახურეს.

მატჩის სპორტული მნიშვნელობა კი სადღაც ამ სამ ჩხუბს შორის ჩაიკარგა. საფინალო სასტვენის ხმა რომ გაისმა, აღმოვაჩინე, რომ ჩემპიონი გამხდარა "ვიტ ჯორჯია", რომელსაც მატჩი 2:0 მოუგია...

ტრადიციული შამპანურის შხეფები, მთავარი მწვრთნელის მერაბ კოჭლაშვილის ჰაერში ატყორცნები, "ქუინის" ცნობილი სიმღერა, ვიტელების საჩემპიონო წრე... ყველაფერმა ამან მაინც ვერ გაანელა ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც სამი საათის განმავლობაში დატრიალდა.

"ვიტ ჯორჯია" ჩემპიონია, "სიონი" – ვერცხლის მედალოსანი, "ოქროს მატჩი" კი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის და სადისციპლინო კომიტეტის არა ერთი და ორი დღის თავსატკივარი.

და კიდევ: მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, უწესრიგობებს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, ზღვარი, რომლის იქითაც დიდი სისხლისღვრა იყო, თითქმის გადაილახა. ეს მაინც უნდა გამოდგეს ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი, თორემ მომავალში მსგავსი საორგანიზაციო გულგრილობა თუ დაბალი პროფესიონალიზმი გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს.

**საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე**

სახაზინო ვალდებულებები 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 8 დეკემბერს, გამოტანილ იქნება N20 აუქციონზე 2004 წლის 2 ივნისს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 2 ივნისის10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ძირითადი ტენდენცია

## საქართველო-რუსეთის ახალი დისკურსი:

# პრაგმატიზმი და ჯანსაღი სიფრთხილე

პირველი გვერდიდან

მართლაც, "ვარდების რევოლუციამდე", ედუარდ შევარდნაძის "პლურალისტური რეჟიმის" პირობებში, ნებისმიერი საზოგადო დისკურსი, ამ საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვაობისა და ანტაგონისტური სოციო-ფსიქოლოგიური დომინანტების მატარებელი ჯგუფების დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა.

უმწვავესი დისკუსია იწყებოდა ნებისმიერ საკითხზე, დაწყებული 21-ე საუკუნის შემოსვლის თარიღიდან (ანუ, თითქოსდა წვრილმანიდან – 2000 წლის 1 იანვარი იქნებოდა თუ 2001 წლისა), - დამთავრებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციით.

ეს, ვითომდაც დადებითი მოვლენა, სინამდვილეში ქართული საზოგადოების თვისებრივ არაკონსოლიდირებულობაზე მეტყველებდა და შეუძლებლად აქცევდა ნებისმიერი მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღებას. ამგვარი სისტემის მართვის უნარი, ალბათ, მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს თუ ჰქონდა და, უნდა ვაღიაროთ, ის უდიდესი ოსტატობით ზემოქმედებდა სოციუმში არსებულ წინააღმდეგობებზე.

მაგრამ "პლურალისტური რეჟიმი" გამორიცხავდა გადაწყვეტილების მიღებას სტრატეგიულ საკითხებზე ნებისმიერი სხვა ფორმით და პირობებით – სრული კონსენსუსის გარდა. რაც, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

ამგვარი სისტემის კლასიკური მაგალითია დროშასთან დაკავშირებული ისტორია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას: რომ არა "ვარდების რევოლუცია" და ხსენებული "ნოკაუტი", საქართველო დღევანდელ, ყოველმხრივ შესანიშნავ დროშას ვერ მოიპოვებდა და ძველის (მისი დახასიათებაც კი ჭირს) ამარა დარჩებოდა. თანაც, არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის წინააღმდეგობის შედეგად.

რევოლუციამ "პლურალისტური რეჟიმი" დაამხო და იმედი ვიქონიოთ, ახალი ხელისუფლების ძირითადი თვისება სწორედ ქმედითობა იქნება. ქმედითი ხელიუფლება კი, გადაწყვეტილებებს ყოველთვის იღებს მიზანშეწონილობიდან (ქვეყნის ინტერესების მისეული ხედვიდან) და არა მოსალოდნელი საზოგადო რეაქციიდან გამომდინარე.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებაზე უარის თქმას. მაგრამ გულისხმობს სწორედ გათვალისწინებას და არა მის მძველად ქცევას. მით უმეტეს, როდესაც თვალნათელია ამ აზრის ფრაგმენტულობა და შინაგანი წინააღმდეგობრიობა.

სამწუხაროდ, ისევე, როგორც შოკიდან გამოსული ადამიანი, გამოღვიძებისა და გონს მოსვლის შემდეგ, დადებითთან ერთად უარყოფით თვისებებსაც ამჟღავნებს (რაც შოკის მდგომარეობაში ნიველირებული იყო), ასევე, მას შემდეგ, რაც შოკიდან გამოსვლა იწყო და რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების თაობაზე პირველ დისკურსში ჩაება, ჩვენმა საზოგადოებამაც დაიწყო კვლავ იმ თვისებების გამომჟღავნება, რითაც (ვიმეორებ) გამაოგნებელი ოსტატობით, მრავალი წლის განმავლობაში სარგებლობდა წინა, "პლურალისტური რეჟიმი".


რუსი ბიზნესმენების ფორუმი თბილისში.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაგალითად (ტკივილამდე ნაცნობი წინააღმდეგობაა) ახალ ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყანაში რუსული კაპიტალის მოზიდვა გადაწყვიტა, ერთი მხრივ ადანაშაულებენ, რომ მან "მშობლიური საწარმოებისა" და "ეროვნული ეკონომიკის" რუსული იმპერიისათვის მიყიდვა (ანუ სამშობლოს ღალატი!) განიზრახა, ხოლო მეორე მხრივ, ბრალად სდებენ კონფერენციის უშედეგობას და იმას, რომ არავითარი მსხვილი კონტრაქტი ამ ღონისძიების შედეგად არ გაფორმებულა.

ერთი მხრივ, გვინდა ინვესტიცია, რაკი გვესმის მისი სარგებლიანობა, მაგრამ მეორე მხრივ, გვსურს რუს ინვესტორებს შევაჩეჩოთ მხოლოდ წამგებიანი, დანგრეული, გაპარტახებული, ფაქტობრივად უპერსპექტივო საწარმოები, ხოლო პესპექტიულსა და კარგს არ შეველიოთ – სახელმწიფო საკუთრებაში შევინახოთ სამომავლო სასწაულის იმედით ან "სტრატეგიულ მეგობრებს" მივყიდოთ მას შემდეგ, თუ ისინი ინვესტირებას ოდესმე გადაწყვეტენ. თითქოსდა, რუსი კაპიტალისტების სახით საქმე იდიოტებთან გვქონდეს, ისინი საკუთარ ინტერესებს ვერ აცნობიერებდნენ და ასე ადვილად გაგვასულელებინებენ თავს ან მხოლოდ მწვადისა და კახური ღვინის ნოსტალგიით დააბანდებენ "პოლიტიკური რისკებით" აღსავსე ქვეყანაში მილიარდობით დოლარს.

სინამდვილეში, რუსული ბიზესი, განურჩევლად მისი კრიმინალური წარმომავლობისა (ამჟამად რესპექტაბელურობით ცნობილ ამერიკულ კაპიტალს არანაკლებ კრიმინალური ფესვები აქვს წარსულ საუკუნეებში), დღეს მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურად და დინამიკურად ითვლება. იგი თავს ასე ადვილად არავის მოატყუებინებს.

აქედან გამომდინარე, ალბათ შინაარსობრივად უნდა გავერკვეთ, რა გვინდა: თუ გვსურს რუსული კაპიტალის მოზიდვა, მაშინ იმასაც უნდა შევურიგდეთ, რომ ეს არის სწორედ რუსული კაპიტალი. მას აქვს თავისი სპეციფიკა, რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთმოქმედების სპეციფიური (თუმცა, აწ უკვე ჩამოყალიბებული) ტრადიცია და ამის გაუთვალისწინებლად ეს ახალი პროექტი ამთავითვე ჩასაშლელადაა განწირული.

მაგალითად, რუსული ბიზნესი საქართველოში დიდ ფულს დააბანდებს მხოლოდ იმ ვითარებაში, როდესაც ექნება ამ ინვესტიციის დაცულობის გარანტია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ხელისუფლებისაგან (კრემლისგან). კრემლი კი ამგვარ გარანტიას მისცემს (შესაბამისად, საქართევლოსკენ რუსულ კაპიტალს გზას გაუხსნის) მხოლოდ გარკვეული პირობებით. რასაკვირველია, არ მოგვწონს, გვაღიზიანებს, მაგრამ რეალობაა და თუ არ ვურიგდებით, მაშინ კვლავ დავპატიჟოთ რუსები საქართველოში, ვსვათ ღვინო და მივირთვათ მწვადი – კახეთში ქეიფს რა სჯობია?

### მთავრობის "ნაცნობი ტკივილი"

სამწუხაროდ, "გამოღვიძებული საზოგადოების" თვისებებთან ერთად, იღვიძებს და ცოცხლდება "ტკივილამდე ნაცნობი" ტენდენციები თვით საქართველოს ხელისუფლებაშიც. ამჯერად - მინისტრთა კაბინეტში.

დავაკვირდეთ ზოგიერთი მინისტრის მიკიბულ-მოკიბულ პოზიციას საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიასთან დაკავშირებით. ჟურნალისტების მწვავე კითხვებზე და ზოგადად, დებატებისას, ისინი ყოველნაირად ცდილობენ, ქარაგმულად შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ "შემსრულებლები არიან", გადაწყვეტილება რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ უმაღლესმა ხელისუფლებამ მიიღო, ეს მისი პოლიტიკაა, ისინი კი "პატარა ადამიანები არიან", ბრძანებებს ასრულებენ, "საერთო-პოლიტიკურ ხაზს" ემორჩილებიან, თუმცა ზოგიერთ საკითხში მათაც ეჭვი ეპარებათ, ბევრი რამ მათაც აშინებთ ("ისევე, როგორც მთელს საზოგადოებას"). თუმცა, ასეთი მოქმედება პასუხისმგებლობისგან არავის იხსნის...

ზუსტად ასეთი პოზიცია ჰქონდა ბევრ მინისტრს ედუარდ შევარდნაძის მთავრობაში და ამიტომაც დასრულდა ყველაფერი ისე, როგორც დასრულდა!

ძველ ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმღები აღარავინ იყო და უდავოდ სასარგებლო პროექტები იშლებოდა სულ მცირე წინააღმდეგობის შედეგადაც კი. არადა, ამგვარი წინააღმდეგობის შექმნას რა უნდა პლურალისტურ საზოგადოებაში, სადაც "ინტერეს ჯგუფები" და "გავლენის ჯგუფები" არ დაილევა?

სამწუხაროდ, ამის პირველი სიმპტომები უკვე გამოჩნდა: ხსენებული მიზეზით (ანუ "მასათა მძვინვარების" შიშით) ჩაშლის პირასაა "თბილგაზისა" და "აზოტის" დავალიანებათა ჩამოწერის, ქვეყნისათვის უდავოდ ძალზე ხელსაყრელი პროექტი, ისევე, როგორც ინვესტიციათა მოზიდვა მრავალ პერსპექტიულ დარგში.

### მკვდარი აქტივები და რეალური ვალები

ელემენტარული ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ახალი ხელისუფლების დადანაშაულება "ორმაგ სტანდარტში" და "ჩუბაისთან" დაკავშირებული სკანდალის გახსენება არ არის სამართლიანი. "რაო ეეს"-ი სახელმწიფო კაპიტალისტური საწარმოა და მისი კაპიტალი სწორედაც სახელმწიფო კაპიტალია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას: წინა ხელისუფლება, რომელმაც ამერიკული ენერგოკომპანია გააქცია იმით, რომ აიძულებდა, ელექტროენერგია არგადამხდელი მოსახლეობისათვის მიეწოდებინა (აიძულებდა არა მხოლოდ ანგარებით, არამედ სოციალური დესტაბილიზაციის შიშით), შემდგომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა ჩუბაისის კომპანია საქართველოში არ შემოსულიყო და მხოლოდ მაშინ გაამართლა ეს ჩანაცვლება, როდესაც ამერიკელებმა და რუსებმა უკვე ფაქტის წინაშე დააყენეს.

ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, წინა ხელისუფლების ძირითადი თვისება იყო ნებისმიერი პრინციპული გადაწყვეტილების მიიღებაზე კატეგორიული უარის თქმა, რაკი ამგვარი გადაწყვეტილება უეჭველად გამოიწვევდა აზრთა სხვადასხვაობასა და მწვავე კრიტიკას.

"ვარდების რევოლუციის" მიზანი კი (პირველად უახლეს ისტორიაში) ქმედითი ხელიუფლების შექმნა გახდა. ესე იგი ხელისუფლებისა, რომელსაც არ ეშინია პრინციპულ (თუნდაც არაპოპულარულ და კრიტიკის მაპროვოცირებელ) გადაწყვეტილებათა მიღება, თუ მათი მიღება მიზანშეწონილად(!) მიაჩნია.

რუსულ სახელმწიფო კაპიტალთან შედარებით დამოუკიდებელი რუსული კერძო კაპიტალის მოზიდვა ქართულ ეკონომიკაში აბსოლუტურად მიზანშეწონილი, ყოველმხრივ გამართლებული გადაწყვეტილებაა, რაც მთლიანად შეესაბამება საქართველოს ინტერესებს.

რაკი ასეთი პრინციპული გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მიიღო, უკვე მის პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტის განხორციელების კონკრეტული ფორმის წარმატებულობა.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პრემიერ-მინისტრის ვიზიტი მოსკოვში, რაც ბუნებრივად (და სავსებით სამართლიანად) დაუკავშირდა შემდგომ "ბიზნეს კონფერენციას" და რუსული კაპიტალის "ინტერვენციას".

განსაკუთრებით მწვავე რეაქცია გამოიწვია "50 მილიონი დოლარის" ამბავმა. არადა, სწორედ "მონათხრობმა ამბავმა", რადგან არაფერი მსგავსი მოსკოვში არ განხილულა. ქართულმა და რუსულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვალების რესტრუქტურიზაციის თაობაზე. ამ დოკუმენტს რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ხელს არ აწერდა, ოღონდ არა იმიტომ, თითქოს საქართველოსაგან "ვნეშეკონომბანკის" აქტივებზე უარის თქმას მოითხოვდა, არამედ პირიქით: მას სურდა (და ძალიან ცდილობდა) ქართულ მხარეს თავის თავზე აეღო ეს ვალები და პასუხისმგებლობა ათეულობით მილიონი დოლარის გადახდისათვის საქართველოს ბიუჯეტს დაკისრებოდა.

თავისთავად, ამ მოთხოვნასაც გარკვეული "რეზონი" ჰქონდა (რუსეთის ინტერესებიდან და საშიში პრეცედენტის თავიდან აცილებიდან გამომდინარე), თუმცა ეს თემა შორს წაგვიყვანს.

რაც მთავარია, ჟვანიამ მოსკოვში მიაღწია იმას, რომ რუსეთი დაეთანხმა საკითხის "ჰაერში გამოკიდებას" მიუხედავად იმისა, რომ თუ თემა კვლავ გამწვავდა, იგი მხოლოდ მოსკოვის საწინააღმდეგო მიმართულებით შეიძლება გამწვავდეს.

რაც შეეხება თვით "ვნეშეკონომბანკის" აქტივებს, - საკითხი გადაწყდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს პარლამენტმა განახორციელა "ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირება და (გავბედავ არაპოპულარული შეხედულების გამოთქმას) ჩემი აზრით, მოიქცა აბსოლუტურად სწორად. ქვეყანა ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალებს ნამდვილად ვერ გადაიხდიდა, ხოლო ცალმხრივად ვალების მოთხოვნა, იმავდროულად, ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომიკურ ვითარებაში ჩაგვაყენებდა.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, საქართველოს ვალი (სრულიად უპერსპექტივო ვალი, თუ კვლავ დამკვიდრებულ ტერმინს მოვუხმობთ) ექნებოდათ ჩრდილოეთ კორეას, ლიბიას, მონღოლეთს, ავღანეთს, ვიეტნამს და ასე შემდეგ. ხოლო საქართველოს ექნებოდა ნიდერლანდის, ბელგიის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის ვალი.

სულ ტყუილად გვგონია, თითქოს ქართველებისა და საქართველოსადმი "დიდი სიყვარულის" გამო, ეს ქვეყნები ხსენებულ ვალს ადვილად "ჩამოგვაწერდნენ". ამას არაფრის დიდებით არ გააკეთებდნენ თუნდაც იმავე პრეცედენტის შიშით, რასაც საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობებში ყველა უფრთხის.

ესე იგი, ნულოვან ვარიანტზე უარის თქმის შემთხვევაში (ეს ეპოპეა მართლაც მოსკოვში მთავრობის დელეგაციის ვიზიტისას დასრულდა საბოლოოდ) საქართველო მიიღებდა მკვდარ აქტივებსა და რეალურ, ძალზე აგრესიულ და მძიმე ვალებს.

ეს სიმართლე კვლავაც აწყდება უმწვავეს რეაქციას "გამოფხიზლებული" და "ნოემბრის შოკიდან" გამოსული საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდან, ვისაც ჰგონია, რომ საქართველოს შეძლოა ამ საკითხში მსოფლიო ტენდენციას აღდგომოდა წინ.

იგივე ითქმის "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში" ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებასთან დაკავშირებითაც. რუსეთისათვის ჩვენი წინააღმდეგობა მეათეხარისხოვანი იყო იმ უმძიმეს პრობლემებთან შედარებით, რასაც დასავლეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებისას აწყდება (მეტალურგიის თემა, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის თემა, ნავთობის შიდა ფასთა საექსპორტო ფასებთან გათანაბრების თემა, ენერგეტიკული სექტორის დოტირების შეწყვეტა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ), მაგრამ თბილისის წინააღმდეგობა ამ საკითხში არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ნებისმიერ ქვეყანას გააღიზიანებდა: როდესაც მოსკოვისაგან ვალების შეღავათიანი პირობებით ხელმეორედ რესტრუქტურიზებას მოითხოვ (თანაც იმის პატრონი, რომ გასულ წელს არათუ ძირითად ვალს, არამედ პროცენტებსაც არ იხდიდი) და იმავდროულად "პრინციპულ უარს" აცხადებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მის წევრობაზე, მითხარით, როგორ მოიქცევა პასუხად ნებისმიერი თუნდაც არქიდემოკრატიული, "არაიმპერიალისტური და არააგრესიული" სახელმწიფო?

### მოძველებული სქემა

თბილისში ჩატარებული ბიზნესფორუმის შედეგად, ჯერჯერობით, რეალურად გაფორმდა მხოლოდ ერთი შეთანხმება: "გაერთიანებული ქართული ბანკის" საკონტროლო პაკეტს ყიდულობს რუსეთის "ვნეშტორგბანკი". მიმდინარეობს მოლაპარაკება "აირზენა-საქართველოს ავიახაზების" მფლობელის შეცვლაზე.

რასაკვირველია, აქაც შეიძლება ვისაუბროთ "მშობლიური ბანკის" და "მშობლიური ავაკომპანიის" გაყიდვაზე, თუმცა ამგვარი პრაქტიკა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს, ხოლო მეანაბრეებისათვის, რომლებიც თანხას ჩვენი ქვეყნის უმსხვილეს ბანკში ინახავენ, მთავარია, მათი ანაბრები იყოს მაქსიმალურად დაცული.

ისევე, როგორც ელექტროენერგიის მომხმარებელი დაინტერესებულია, ჰქონდეს შუქი, ბუნებრივი აირისა - მიეწოდებოდეს გაზი; რუსთავისა თუ ჭიათურის მაცხოვრებლისათვის მნიშვნელოვანია, არ დარჩეს უმუშევარი და ოჯახს ლუკმაპური არ მოაკლდეს; საჰაერო ტრანსპორტი იყოს მაქსიმალურად იაფი და საქართველოს მოქალაქეებს, როგორც დღეს ხდება, პირუტყვივით ღამის ორ საათზე არ უწევდეთ დასავლეთში გაფრენა, რაკი დღის საათებში "ცივილიზებულ ადამიანებს" შევუშლით ხელს ევროპის ფეშენებელურ აეროპორტებში და ასე შემდეგ.

არაფერი დასაძრახი, ანტიპატრიოტული, ამ "პრაგმატულ" მოთხოვნებში არ არის და ვაი იმ პოლიტიკას, რომელიც ჯანსაღი ადამიანური მისწრაფებების წინააღმდეგ წავა ნებისმიერი სქემატური მოსაზრებით.

მთავრობის ოსტატობა, მისი პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი, მოხერხება, თავდადება, ბრძოლის უნარი კი იმაში გამოიხატება, თუ რამდენად მოახერხებს იგი რუსული კაპიტალის მოზიდვას ჩვენთვის (და არა რუსეთისათვის ან რუსი ინვესტორისათვის) მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით – რაც შეიძლება მაღალი პროცენტით ქართველი მეანაბრისათვის, იაფად მგზავრისათვის, მაღალი ხელფასით ჭიათურასა თუ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დასაქმებულისათვის, თანაც, ამ საწარმოებზე საქართველოს სახელმწიფოს მეტნაკლები კონტროლის შენარჩუნებით, რის აუცილებლობასა და სასურველობასაც არავინ უარყოფს.

ყველაფერი სხვა კი არის იმ შიზოიდური სქემების გადმონაშთი, რომელთა თანახმად საქართველო კი არ არსებობს მოქალაქისათვის, არამედ მოქალაქე არსებობს თავისი სახელმწიფოსთვის.

ამგვარმა სქემამ ჩვენს ქვეყანას მრავალი უბედურება მოუტანა გასული 15 წლის განმავლობაში და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, კვლავ ბევრ სასიკეთო პროექტს შეუშლის ხელს.

მაგრამ, თუ ახალმა კონცეფციამ გაიმარჯვა, რუსეთთან თანამშრომლობისა და ეკონომიკური ურთიერთმოქმედების საფუძველი ამიერიდან პრაგმატიზმი იქნება. სიფრთხილესთან ერთად, რასაკვირველია. ოღონდ, იგულისხმება ჯანსაღი სიფრთხილე, ვინაიდან გადაჭარბებულს, სამედიცინო ენაზე კლინიკური ფობია ეწოდება.

Mercy Corps

## მადლობის ბარათი

btc SCP South Caucasus Pipeline

გასული წლის ზაფხულიდან საერთაშორისო ორგანიზაცია "მერსი ქორი" და მისი პარტნიორი ქართული ორგანიზაციები თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ახალსოფელში ახორციელებენ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას, რომლის ინიციატორი და დამფინანსებელია საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორი კომპანია "ბი-პი" და მისი პარტნიორები.

პირველი პროექტი, რომელიც ჩვენს სოფელში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა იყო 300 მეტრი სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია და სოფლის გზის რემონტი. მერსი ქორისა და მისი პარტნიორების შემოსვლას სოფელში თავიდან მოსახლეობის უმეტესობა უნდობლად შეხვდა, მაგრამ მერსი ქორმა ახლებური მიდგომა მოიტანა სოფელში: თითოეულ პროგრამაზე ჩატარდა სოფლის საერთო კრება, სადაც თემმა აირჩია საინიციატივო (სამუშაო) ჯგუფის წევრები, ე.წ. ქვეკომიტეტი, რომელმაც ჩამოაყალიბა პრიორიტეტული მიმართულებები, შეადგინა სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი, რომელიც წარედგინა სოფლის საერთო კრებას. კრებაზე ბიუჯეტის დაწვრილებით განხილვის შემდეგ მოწონებული პორექტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიკრა სოფელში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო ის, რომ სოფელს ჰქონდა საშუალება თვითონ აერჩია პრიორიტეტული მიმართულება, შეედგინა პროექტის განაცხადი, ბიუჯეტი და თვითონვე განეხორციელებინა იგი. ყოველივე ამან უნდობლობა მთლიანად გაფანტა და სოფლის მოსახლეობაც აქტიურად ჩაერთო საქმიანობაში. პროექტის ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა მოხდა "საქართველოს ტექნიკური დახმარების" სპეციალისტების ჩართულობით. სოფლის თემის წვლილმა პროექტის საერთო ღირებულების 30% შეადგინა. საინიციატივო ჯგუფის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო სოფლის ახალგაზრდა თაობაც. საინიციატივო ჯგუფის წევრის, გოგიტა წიკლაურის აქტიურობითა და მონდომებით მცირე ვადებში დაიწერა პროექტი და ბიუჯეტი, თუმცა მალე ამ ენერგიული და კეთილშობილი ახალგაზრდა კაცის ტრაგიკულმა სიკვდილმა ყველას ძალიან გვატკინა გული.

სარეაბილიტაციო პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ ჩვენს სოფელში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" დახმარებით განხორციელდა სოფლის მეურნეობისა და ენერგოეფექტურობის პროექტი. ამ პროგრამის ფარგლებში სოფელში მუდმივად მცხოვრები კომლისათვის, სკოლისა და გამგეობისათვის შეძენილი იქნა ენერგოეფექტური (ეკონომიური) ღუმლები და საკვამლე მილები, რამაც მოსახლეობის დიდი სიხარული დაიმსახურა. ეს ღუმლები კიდევ მრავალი წლის განმავობაში გაათბობს ახალსოფლის ყველა ოჯახსა და სკოლას. ამავე პროგრამის ფარგლებში საგაზაფხულოდ მოხდა თითოეული კომლისათვის სხვადასხვა ბოსტნეულის თესლის შეძენა, რის შედეგადაც მოსახლეობას საშუალება მიეცა საკუთარ ბოსტანში მოიყვანოს სხვადასხვა ბოსტნეულის ხარისხიანი და მაღალი მოსავალი და გამოიყენოს იგი პირადი მოხმარებისათვის ან სარეალიზაციოდ.

ბიომეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" სპეციალისტებმა ჩვენი სოფლის მოსახლეობისათვის ჩაატარეს სემინარი ჩვენთვის საინტერესო და საჭირო საკითხებზე, მათ შორის ბიოგაზის, როგორც იაფი ენერგიეს წყაროს შესახებ. მიღებული ცოდნისა და მასალების გამოყენებით რამდენიმე ოჯახი მიღებს ბიოგაზს.

მალე დაიწყება ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებშიც სოფლის საერთო გადაწყვეტილებით გარემონტდება სკოლის შენობა. ახლო მომავალში კი (სკოლის რემონტის შემდეგ) "საერთაშორისო ფონდი კურაციოს" ხელშეწყობით სკოლის ერთ-ერთი ოთახში განთავსდება ამბულატორიისათვის საჭირო აღჭურვილობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობას. ამჟამად მიმდინარეობს შეთანხმება ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან, რომლებიც სიტყვიერ მზადყოფნას გამოხატავენ სოფელში სამედიცინო ბრიგადის მოძრაობის დაფინანსებაზე.

ყველა ეს პროექტი ხელს უწყობს სოფლის მაცხოვრებელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლებას.

მთელი სოფლის სახელით გვინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა უმძიმეს სოციალურ პირობებში მყოფი ერთი პატარა, მაგრამ ლამაზი სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

*ახალსოფლის მაცხოვრებლები*

საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა საქართველოსთვის პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. 24 მაისიდან გაზეთი "24 საათი" გთავაზობთ ყოველკვირეულ გამოცემას "24 საათი სამხედრო".

იკითხეთ ორშაბათობით



სამხედრო

24 საათი

# "იტერა" "აზოტის" 90 პროცენტს ითხოვს

პირველი გვერდიდან

"იტერას" მიერ მომზადებული ბიზნეს-გეგმის თანახმად, ბიზნეს გეგმა, რომელმაც მაშინ ხელისუფლება "იტერასთვის" "აზოტის" გადასაცემად "წააქეზა", პირველ ეტაპზე - 2004 წლამდე, ქარხნის რეაბილიტაციის მიზნით 13 მილიონი ლარის ინვესტირებასა და თანამშრომელთა ხელფასების მატებას ითვალისწინებდა, 2005 წლიდან კი საწარმო "იტერას" სრულ საკუთრებაში უნდა გადასულიყო.

გარდა ამისა, ხელშეკრულება "აზოტის" მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისას საქართველოსთვის პრიორიტეტების მინიჭებასაც ითვალისწინებდა. გარდა ამისა, "იტერას" "აზოტის" ვალების მომსახურებაც უნდა ეკისრა და სამი წლის ვადაში 300 მილიონი ლარი უნდა გადაეხადა. იმ დროისათვის, როდესაც "აზოტი" იტერას" გადაეცა, "იტერას" მონაცემებით, საქართველოს დავალიანება კომპანიის მიმართ 100 მილიონ დოლარს აღწევდა.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი საქართველოს ქონების მართვის სამინისტროში ირწმუნებოდნენ, რომ "აზოტის" "იტერასათვის" გადაცემა "ქართული მხარის ინტერესების მაქსიმალური დაცვით მოახერხეს".

თუმცა, ეს ხელშეკრულება გაფორმებისთანავე მოექცა კრიტიკის ქარ-ცეცხლში და უკვე მაშინ, ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ "აზოტში" არც ხელფასები გაიზრდებოდა და საწარმო არც ძველ ვალებს გაისტუმრებდა. მაგრამ ზამთარი კარს იყო მომდგარი, "გაზპრომთან" კი "სანდო არხები", ჯერჯერობით, გაქრილი არ იყო...

ახლა "იტერას" გენერალურმა დირექტორმა ვალერი ოტჩერცოვმა მთავრობას სწორედ ეს ხელშეკრულება შეახსენა და საწარმოს აქციათა 90 პროცენტის უპირობო გადაცემა მოითხოვა. მისი თქმით, ქართულ სახელმწიფო ორგანიზაციებს "იტერას" მიმართ 46 მილიონი დოლარის ოდენობის ვალი გააჩნიათ. **"ჩვენ მზად ვართ ვალი ჩამოვწეროთ, თუ "აზოტის" აქციათა 90 პროცენტი უპირობოდ გადმოგვეცემა. ავიღებთ ვალდებულებას, რომ საწარმოს პროფილს შევინარჩუნებთ, უახლოესი ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი დოლარის ინვესტიციებს განვახორციელებთ და წარმოებას სრულ სიმძლავრეზე გავიყვანთ,"** – განაცხადა ოტჩერცოვმა და საკუთარი განზრახვების ურყევობა იმით განამტკიცა, რომ დასძინა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები პრემიერ-მინისტრის მოსკოვში ვიზიტის დროს უკვე გაიმართაო. საკუთარი კეთილგანწყობის დასადასტურებლად კი მან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს "აზოტის" მიერ წარმოებული 250 ტონა სასუქი საჩუქრად გადასცა.

მიუხედავად "იტერას" შემართებისა, დღეს ქართველი ექსპერტები მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ. "24 საათი" ეკონომიკის რამდენიმე ექსპერტს დაუკავშირდა, მაგრამ მათ საკითხის ღიად კომენტირება არ მოისურვეს. სამაგიეროდ, "24 საათთან" საუბრისას ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ "იტერამ", ჯობს, საბიუჯეტო ვალების გაქვითვაზე აიღოს ორიენტაცია, რადგან აქციათა პაკეტის გადაცემაზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია. საქმე ის არის, რომ დღეს არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც "აზოტში" დაპირებული ოდენობის ინვესტიციების განხორციელებას დაადასტურებს. მეტიც: "იტერამ" "პირობადებული ხელშეკრულების" მთავარი პირობა – წინასწარ შეთანხმებული ბიზნეს-გეგმა შეცვალა და კაპროლაქტამის საწარმოო ხაზი დღემდე არ გაუშვია. ახლა კი სწორედ ამ ხაზის ამოქმედებაა ის ერთ-ერთი მთავარი პირობა, რომელსაც "იტერა" "აზოტის" 90-პროცენტიანი სააქციო პაკეტის სანაცვლოდ იძლევა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსეთის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარის არკადი ვოლსკის თქმით, ქართველი და რუსი ბიზნესმენები ურთიერთთანამშრომლობის ათობით შეთანხმებას ამზადებენ. ეს არის ის კონკრეტული შედეგი, რომელიც 28-29 მაისს თბილისში ჩატარებულმა საქართველო-რუსეთის ბიზნეს-კონფერენციამ გამოიღო. ვოლსკის თქმით, ქართულ მხარესთან შეთანხმებას ხელს მოაწერენ რუსული კომპანიები "აეროფლოტი", "სისტემა" და სხვები, ხოლო კომპანია "ნირად ინვესტმენტის" პრეზიდენტის რომან ანისიმოვის თქმით, რუსი ბიზნესმენები საქართველოში შავი ზღვის სანაპირო ზოლითა და რამდენიმე საწარმოთი დაინტერესდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** ახალქალაქის რაიონში ქვეყნის ეროვნული ვალუტის, ლარის სრულფასოვანი გამოყენების შესაძლებლობების შესასწავლად ადგილზე სპეციალური სამთავრობო კომისია ჩავიდა. კომისია შეისწავლის მიზეზებს, რატომ ჭარბობს მიმოქცევაში რუსული რუბლი, აშშ დოლარი და სომხური დრამი. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამის მიზეზი საქართველოს ეკონომიკაში ჯავახეთის არასაკმარისი ინტეგრაციაა და ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური და ეკონომიკური კავშირი რუსეთთან. აღსანიშნავია, რომ რეგიონში რუსული რუბლის სიჭარბეს ახალქალაქში რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის არსებობაც უწყობს ხელს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთ-საქართველოს ბიზნეს-ფორუმზე საქართველოდან სომხეთის მიმართულებით ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის საკითხიც დაისვა. სომხური საინფორმაციო წყაროების ცნობით, რუსი ბიზნესმენები მზად არიან ამ პროექტის ინვესტირებისთვის. ამ საკითხზე "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაცია ინფორმაციას არ ფლობს და მიიჩნევს, რომ ეს შორეული მომავლის პროექტია. "საქართველოს რკინიგზისთვის" უფრო მიმზიდველი სს "ელმავალმშენებელში" რუსული ინვესტიციების მოზიდვა და მისი სრული დატვირთვით ამოქმედება იქნება, რაც სალოკომოტივო პარკის განახლებას შეუწყობს ხელს. **მედია-ნიუსი**

# რა ხდება ზარაფხანაში?

მარიამ ჭაჭვაძე

საქართველოს ეროვნული ზარაფხანის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს ზეწოლაში ადანაშაულებს. ლორთქიფანიძის რწმუნებით, გარკვეული ძალები მისი თანამდებობიდან გათავისუფლებას და ზარაფხანის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობენ. უფრო კონკრეტულად: დავით ლორთქიფანიძის ინფორმაციით, საწარმოთა მართვის სააგენტომ ზარაფხანის სამკაციან სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვა დირექტორის საწარმოდან გამოწვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარაფხანის პარტნიორთა კრება თავად სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდა. ამ "ულტიმატუმის" მიუხედავად, საბჭოს წევრებმა ლორთქიფანიძის გათავისუფლებაზე უარი განაცხადეს. **"სააგენტოს არა აქვს სურვილი, ჩვენ წინაშე არსებულ პრობლემებში გაერკვეს და შესაბამისი დახმარება აღმოგვიჩინოს. ისინი მხოლოდ საკუთარ კადრებს ლობირებენ,"** – აცხადებს ლორთქიფანიძე.

ზარაფხანის დირექტორის მტკიცებით, ამ რამდენიმე დღის წინათ, სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი საწარმოს პარტნიორთა კრებამ თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად, საწარმოთა მართვის სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტი ოლეგ ლაჟონია დანიშნა. **"მისი დანიშვნა მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება, ზარაფხანის დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას,"**– აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დავით ლორთქიფანიძემ.

ზარაფხანის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი ოლეგ ლაჟომია ლორთქიფანიძის ამ განცხადებას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში მისი ზარაფხანიდან გამოწვევა არ იგეგმება. თუმცა, ლაჟომია გადაკვრით ახსენებს საწარმოს მიერ დაგროვილ ვალებს და იმ ზარალს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ოლეგ ლაჟომიას თქმით, სულ ცოტა, გაორმაგდა. **"მე ჩემი მხრიდან არ ვაპირებ დირექტორის გათავისუფლების საკითხის დასმას, თუმცა მე, როგორც სააგენტოს წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში, დავიჭერ იმ პოზიციას, რა პოზიციაც საწარმოთა მართვის სააგენტოს ექნება,"** - გვითხრა ლაჟომიამ.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ჩვენც გვსურს, რომ საწარმოში შექმნილი რეალური ვითარება გავიგოთ" - აცხადებს ტოპრაკაშვილი.

საწარმოთა მართვის სააგენტოში აცხადებენ, რომ საწარმოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ. **"ჩვენ ზარაფხანის სამეთვალყურეო საბჭოში ჩვენი წარმომადგენელი სწორედ იმიტომ დავნიშნეთ, რომ გვსურს, საწარმოში შექმნილი რეალური ვითარება გავიგოთ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ სერგო ტოპრაკაშვილმა.

ზარაფხანის გენერალურმა დირექტორმა და საწარმოს შრომითმა კოლექტივმა ამ დღეებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს თხოვნით მიმართეს, რათა მან საწარმოში არსებული მდგომარეობა შეისწავლოს და შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის პრეზიდენტს იმ სიძნელეების შესახებ, რაც ზარაფხანის ნორმალურ მუშაობას აფერხებს. ლორთქიფანიძის თქმით, შესასწავლია ისიც, თუ რა ღონისძიებებს ატარებს ფინანსთა სამინისტრო ქვეყანაში აღურიცხავი და კონტრაბანდული ოქროს ნაკეთობების შემოტანის აღსაკვეთად.

შეგახსენებთ, რომ შპს "ზარაფხანის" აქციების 100 პროცენტის მფლობელი - საწარმოთა მართვის სააგენტოა.



# „ალ-ქაიდამ" საუდის არაბეთს შეუტია

გასული შაბათ-კვირა "ალ-ქაიდას" ტერორისტებისა და საუდის არაბეთის ხელისუფლების ორთაბრძოლით აღინიშნა. შაბათს, ოსამა ბინ ლადენის ისლამისტი მებრძოლები საუდის არაბეთის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ ხუბარაში განთავსებულ ნავთობკომპანიის ადმინისტრაციულ შენობას დაესხნენ თავს. მათ ათი თანამშრომელი მოკლეს, ხოლო დანარჩენები კი მძევლად აიყვანეს. ამ ნავთობკომპანიის ადმინისტრაციულ შენობაში რამდენიმე უცხოური ქვეყნის სანავთობო კორპორაციის წარმომადგენლობითი ოფისებია განთავსებული. მძევლების უმრავლესობა უცხოელი მოქალაქეა.

თვითმხილველთა თქმით, სამხედრო ფორმებში გამოწყობილი თავდამსხმელები მსუბუქი ავტომატური იარაღით იყვნენ აღჭურვილები. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა იმავე დღეს თავის თავზე "ალ-ქაიდამ" აიღო. **"ალაჰის წყალობით, ჩვენი გმირი მოჯაჰედების ესკადრონმა ამერიკულ კომპანიებს შეუტია, რომლებიც ნავთობზე არიან სპეციალიზებულები და მუსულმანების სიმდიდრეს იპარავენ,"** - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს "ალ-ქაიდას არაბეთის ნახევარკუნძულის ორგანიზაცია".

როგორც გაირკვა, ტერორისტებმა მძევლების აყვანის შემდეგ, მათ შორის მყოფი მუსულმანები სხვა მძევლებს ჩამოაშორეს და ცოტა ხანში გაათავისუფლეს.

საინფორმაციო არხების ცნობით, მძევლები ტერორისტებმა ექვსსართულიანი შენობის ბოლო სართულზე აიყვანეს და თვითონაც იქ გამაგრდნენ.

უკვე შაბათ საღამოს საუდის არაბეთის ელჩმა აშშ-ში ბანდარ ბინ სულთანმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება შტურმის დაწყების შესახებ მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც გაირკვა, რომ ტერორისტები მძევლებს საშინლად ეპყრობოდნენ. მან ასევე დაადასტურა რამდენიმე მძევლის დაღუპვის ფაქტი.

სპეცოპერაცია საუდის არაბეთის სამართალდამცველებმა გუშინ დილით ჩაატარეს. ოპერაციაში, დაახლოებით, 40 სპეცრაზმელი და სამი ვერტმფრენი იღებდა მონაწილეობას. ისინი შენობის სახურავზე ზემოდან დაეშვნენ. ორმხრივი სროლის დროს, ორი ტერორისტი დაიღუპა, დანარჩენები კი მეთაურთან ერთად დააპატიმრეს.



*საუდის არაბეთის პრინცი აბდულა ტერორისტებს ემუქრება.*

ასევე საინფორმაციო არხების ცნობით დაღუპულია რამდენიმე მძევალი, თუმცა მათი სიკვდილის დეტალები ჯერ არ ხმაურდება.

მართალია, სპეცოპერაცია დასრულდა, მაგრამ ეს ფაქტი, როგორც ჩანს, უარყოფითად იმოქმედებს მსოფლიო ბაზარზე, სადაც ნავთობის ფასი საგანგაშო დონეს ინარჩუნებს.

ხუბარა დედაქალაქ ერ-რიადიდან 400 კილომეტრით არის დაშორებული. ის საუდური ნავთობ-მრეწველობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად არის აღიარებული, სადაც წამყვან როლს უცხოური კომპანიები თამაშობენ.

არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ტერორისტულია აქტი საუდის არაბეთის ერთი კვირისწინანდელ განცხადებაზე პასუხს წარმოადგენდეს. როგორც ვიუწყებოდით, ერ-რიადმა მსოფლიო ნავთობაზარზე შექმნილი ურთულესი მდგომარეობა გაითვალისწინა და ნავთობწარმოების მოცულობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ეს კი აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ინტერესებს თანხვდება. ერ-რიადმა ასეთი ნაბიჯი სწორედ ვაშინგტონის თხოვნით გადადგა.

# საიდუმლო მოხსენება ევროკავშირის მომავლის შესახებ

პირველი გვერდიდან

ამ მოხსენების არსებობას ევროკავშირის ხელმძღვანელობა საერთოდ უარყოფდა. ამ დოკუმენტს "პოლიტიკური ევროპის შექმნა" ჰქვია, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ 25 წევრისაგან შემდგარი ევროკავშირი "ისტორიულ გზაჯვარედინზე" აღმოჩნდა. გაფართოების შემდეგ ევროკავშირი სამი გლობალური პრობლემის წინაშე დგას: "სტრუქტურული პარალიჩი, დემოკრატიული ბაზის შემცირება და საბოლოოდ დაუდგენელი გეოგრაფიული საზღვრები".

მოხსენების ავტორები ამ ვითარების გამოსწორებას მხოლოდ ევროპის შეერთებული შტატების შექმნაში ხედავენ. ექსპერტების მტკიცებით, ევროკავშირის განვითარების ნებისმიერი სხვა ვარიანტი ალიანსის კრახს გამოიწვევს და მის ადგილზე რამდენიმე შედარებით მომცრო გაერთიანება ჩამოყალიბდება.

დომინიკ სტროს-კანის აზრით, ევროკავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოში ერთნაირი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურები უნდა შეიქმნას. მოხსენების ავტორთა თქმით, ახალი ტიპის კავშირის შექმნა 50 ახალი პროექტის რეალიზაციით უნდა დაიწყოს. ამ პროექტებიდან ყველაზე მთავარია ევროკავშირის ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა, რაც სპეციალური გადასახადის შემოღებით უნდა განხორციელდეს, რომელსაც აბსოლუტურად ყველა გადაიხდის.

ამავდროულად, ევროკავშირმა ერთიანი სამრეწველო პოლიტიკა უნდა ჩამოაყალიბოს, რომლის მოდელი საავიაციო კონსორციუმი "აერობუსი" გახდება. ექსპერტების აზრით, აუცილებელია საერთო ევროპული პარტიების ჩამოყალიბება და ევროპარლამენტის უფლებების მკვეთრი ზრდა. "იზვესტიას" ინფორმაციით, მალე ამ მოხსენებას წევრი სახელმწიფოების მთავრობებს გააცნობენ.

ევროკავშირის ზოგიერთი წევრი მსგავს წინადადებას ძალზე სკეპტიკურად ეკიდება, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საერთო ევროპული ინსტიტუტისადმი დაქვემდებარებას გამორიცხავს. ტრადიციულად, ევროსტრუქტურების გაძლიერების წინააღმდეგ ევროგაერთიანების პატარა ქვეყნები გამოდიან, რომლებიც შიშობენ, რომ ამ ზენაციონალურ სტრუქტურებში განმსაზღვრელი მხოლოდ დიდი სახელმწიფოების აზრი იქნება.

ევროკავშირის მომავალი დიდად იქნება დამოკიდებული ივნისში დაგეგმილ სამიტზე, სადაც ევროკავშირის კონსტიტუციას და გაერთიანების მართვის პრობლემებს განიხილავენ.

# ერაყის ახალი მმართველები

ერაყში ამბოხებულებთან ბრძოლები გრძელდება, თუმცა, როგორც ჩანს, ახალი მთავრობის ფორმირება სროლისა და აფეთქებების ფონზეც შეიძლება.

შაბათს ერაყის დროებითმა მმართველმა საბჭომ ამერიკის სამოქალაქო ადმინისტრაციასა და გაერო-ს წარმომადგენლობას ახალი მთავრობის შემადგენლობის სავარაუდო სია წარუდგინა.

აღსანიშნავია, რომ თავად კანდიდატთა დასახელების ფორმას დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. ერაყის ახალი მთავრობა, უფრო მეტად, რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომპრომისების შედეგია და არა "რჩეულ მენეჯერთა" ნაკრები.

მთავრობის მეთაურის კანდიდატურა უკვე პარასკევს გახდა ცნობილი – ერაყის მომავალი პრემიერ-მინისტრი აიად ალაუი, მმართველი საბჭოს შიიტი წევრი გახდება. ბუნებრივია, ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 60 პროცენტს შიიტი არაბები შეადგენენ, ასეც უნდა მომხდარიყო. საინტერესოა, რომ ალაუის თავად ერაყში ძალიან ცოტა თუ იცნობს. მისი მოღვაწეობა, ძირითადად, საზღვარგარეთ მიმდინარეობდა. ალაუი ახალგაზრდობაში სადამის პარტია "ბაასის" წევრიც ყოფილა. თუმცა მოგვიანებით, ოპოზიციაში გადავიდა, ემიგრაციაში მყოფმა, ეროვნული თანხმობის პარტია დააარსა და, რასაკვირველია, როგორც ეს ერაყის დიქტატორის ყოფილი ოპონენტების შემთხვევაში ხდებოდა, დღემდე ახლო ურთიერთობები აქვს აშშ-სა და ბრიტანეთის სპეცსამსახურებთან.

პრემიერის გარდა, შიიტებს ახალ მთავრობაში კიდევ რამდენიმე მინისტრი ეყოლებათ საკვანძო სფეროებში, მათ შორის - ფინანსებში და ნავთობმოპოვებაში. ნავთობის სამინისტროს დღესაც ამ სფეროში მოღვაწე სამირ ალ-გადბანი უხელმძღვანელებს. სუნიტებს, გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ერგოთ. სერიოზული, "წონიანი" მინისტრების სახით არის წარმოდგენილი ახალ მთავრობაში ქურთული უმცირესობაც – მათ საგარეო საქმეთა და თავდაცვის სფეროები ჩაიბარეს. საგარეო უწყების მოქმედი ხელმძღვანელი ჰოშიარ ზიბარი თავდაცვას ჩაუდგება სათავეში, ხოლო მის ადგილს ასევე ქურთი, ბარჰამ სალეჰი დაიკავებს.

პრეზიდენტის საკითხი, ჯერჯერობით, არ გარკვეულა. მართალია, ახალი კანონმდებლობით, მისი ფუნქციები სერიოზულად არის შეზღუდული და წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს, მაგრამ მის დასაკავებლად მაინც დიდი დისკუსიაა გამართული. პრეზიდენტის თანამდებობაზე ორი კანდიდატურა – სუნიტი ადნან პაჩიჩი და ასევე სუნიტი, მმართველი საბჭოს ამჟამინდელი ხელმძღვანელი ღაზი ალიავარი განიხილება. კვირას შეკრებილი მმართველი საბჭოს წევრებიდან უმრავლესობა იავარს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ზოგიერთი ცნობით, 80 წლის პაჩიჩის კანდიდატურას ამერიკელი მმართველი პოლ ბრემერი და გაერო-ს წარმომადგენელი ლაჰდარ ბრაჰიმი უწევენ ლობირებას. წინასწარი განცხადებებით, ქვეყნის ორი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაც უკვე განაწილებულია. ამ პოსტებს ერთი შიიტი და ერთიც ქურთი წარმომადგენელი დაიკავებს.

კვირას, გვიანობამდე გადაწყვეტილი არ იყო, ვინ დაიკავებდა პრეზიდენტის პოსტს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ერაყის ახალი მთავრობა მხოლოდ დროებითია და 2005 წლის იანვარში დაგეგმილ საყოველთაო არჩევნებამდე იმოქმედებს, ნათელია, რომ მას სერიოზული, მიზანდასახული პოლიტიკის გატარება გაუჭირდება და მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების ვაკუუმს შეავსებს.


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**1 ივნისს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ვარკეთილის მასივის I, III, IV, VI, VII, VIII, IX და X კვარტლების, აეროდრომის და სამგორის დასახლებების, ვარკეთილი-3-ის IV მიკრორაიონის II რიგის, ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს და ზემო პლატოს 2 მიკრორაიონის, ვარკეთილი-3-ის I, II, III, IIIა მიკრორაიონების, ჯავახეთის, წულუკიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**2 ივნისს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
აეროდრომის და სამგორის მე-2 დასახლებების, ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს, ვარკეთილის მასივის IV და X კვარტლების, ვარკეთილი-3-ის I, III და IIIა მიკრორაიონების, კახეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), კალოუბნის, შუამთის, ჯავახეთის, გახოკიძის, ხომლელის, გიორგაძის, წულუკიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.



**მოთხოვნა წინადადებების შესახებ (RFP)**
**არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მართვა SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის კონტექსტში**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის (SCP)**

**ოპერატორი - კომპანია BP**

*გამოქვეყნების თარიღი:* 24 **მაისი 2004**
*დახურვის თარიღი და დრო:* **12 ივლისი 2004, დღის 12 საათი თბილისის დროით**

BTC, მოქმედებს რა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის (SCP) სახელით და წარმოადგენს მათ, ეძებს განაცხადებს საქართველოში დარეგისტრირებული კვალიფიცირებული ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რათა განსაზღვროს და დანერგოს პროექტები BTC-სა და SCP-ს მიერ დადგენილი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების განსახორციელებლად, რომელიც პროექტების "გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის" (EIP) ნაწილს წარმოადგენს.

გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის უმთავრესი მიზანია ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და პოპულარიზაციას. გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა დაყოფილია რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებად, რომლებიც განისაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო "ინტერესის მქონე ჯგუფებთან" საკონსულტაციო პროცესში.

"გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის/სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების მიერ საქართველოში განხორციელებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამათა პაკეტში შემავალ ძირითად გარემოსდაცვით პროგრამას წარმოადგენს. სხვა პროგრამებში შედის "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა" (CIP), რომლის ფარგლებში მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მდებარე დასახლებებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტები ხორციელდება და ასევე ახალი პროგრამა, რომელიც ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობის მონიტორინგის მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებს დამოუკიდებელი დაფინანსების მეშვეობით აუდიტის და ანგარიშგების აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაში დაეხმარება. აღნიშნულ პროგრამათა პაკეტს დროთა განმავლობაში შეიძლება სხვა სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამები დაემატოს. თითოეულ პროგრამას თავისი საკუთარი თემატიკა და ამოცანები აქვს, თუმცა მათ ერთი რამ აერთიანებთ, კერძოდ კი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.

ამჟამად განიხილება შემოთავაზებები პროექტებზე, რომლებიც ეხება მხოლოდ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებას - *არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მართვა SCP და BTC მილსადენის მარშრუტებზე*. ამას მოჰყვება იმ შვიდ რაიონში, რომლებშიც გადის მილსადენი, მომუშავე NGO/CBO-ების მუშაობის მოცულობის მოთხოვნების, სპექტრის დიზაინისა და პროგრამის საოპერაციო მექანიზმების შეფასება და მისი შემდგომი მართვა ორწლიანი პერიოდის განმავლობაში.

კომპანია "BP", როგორც აღნიშნული პროექტების ოპერატორი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ / რაიონულ ორგანიზაციებს შორის ალიანსების შექმნას ეკოლოგიური ინვესტირების პროგრამების პროექტების განსახორციელებლად.

წინადადებების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ ორგანიზაციებს:
- არაკომერციული, კერძო მოხალისეთა ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირებული არიან საქართველოში და გააჩნიათ საქმიანობის განხორციელების ნებართვა.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის საქმიანობას განახორციელებენ ხარჯების ანაზღაურების საფუძველზე (ე.ი. შემოსავალსა და მოგებაზე უარის თქმის პირობით).
- საქართველოში არარეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციები (ე.ი. რომელთაც არ გააჩნიათ საქართველოში საქმიანობის განხორციელების ნებართვა) ეროვნულ ორგანიზაციებთან დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.
- ზემოაღნიშნულის ნებისმიერი კომბინაცია დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა უნდა დაასაბუთონ, რომ გააჩნიათ შემდეგი სახის კომპეტენცია:
- გრანტის ტიპის პროექტის ან ანალოგიური ინიციატის მართვის და / ან განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება, რომლის მინიმალური ღირებულება არაა ნაკლები 50 000 აშშ დოლარზე პროექტის მიმდინარეობის მანძილზე.
- მცირე გრანტების/შესაძლებლობების განვითარების დარგში პროექტების მართვისა და განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება.
- შემოთავაზებული პროექტის სფეროში დასაბუთებული კომპეტენცია.
- სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილ საქმიანობაში ჩართული ყველა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების დაცვას.
- ანგარიშების არსებობა, რომელთა აუდიტიც შესაძლებელია.

აპლიკანტებს შეუძლიათ წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაციის წაღება 2004 წლის 24 მაისიდან 5 ივნისამდე შემდეგი პუნქტიდან:

BTC მილსადენის კომპანია / შპს SCP
კომპანია "BP"-ის საქართველოს პროექტების ოფისი
საქართველო, თბილისი 380094
საბურთალოს ქ. N38

წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაცია აგრეთვე განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდებზე:
www.caspiandevelopmentandexport.com
www.assistancegeorgia.org.ge
www.rec-caucasus.org

# მესამე დიდი სტუმრიანობა ნუნისში

*გუშინ ბორჯომი-ხარაგაულის ტყე-პარკში მდებარე კურორტ სამთა-ნუნისში, კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის ცენტრისა და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ორგანიზებით, რიგით მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი დასრულდა. სიმპოზიუმზე მიწვეული იყვნენ სომხეთის, მოსკოვისა და ირანის კურორტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელები. სიმპოზიუმი ბალნეოთერაპიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, კურორტოლოგ ალექსანდრე რობაქიძის 80 წლისთავს მიეძღვნა.*

თამარ დვალი

კურორტი სამთა-ნუნისი ზემო იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 720-760 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მის ძირითად სამკურნალო ფაქტორს ბუნებრივად თბილი, მინერალური, ტუტე რეაქციის მქონე გოგირდოვანი წყალი წარმოადგენს. ნუნისის მინერალურ წყალს შემადგენლობითა და სამკურნალო თვისებებით მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

წელს ნუნისში რიგით მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი მოეწყო. იგი ბალნეოთერაპიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ალექსანდრე რობაქიძის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონფერენციაზე, რომელსაც სომხეთის, რუსეთისა და ირანის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, წაიკითხეს მოხსენებები არამედიკამენტური პრევენციის, თერაპიისა და რეაბილიტაციის აქტუალურ საკითხებზე. სიმპოზიუმი თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ საააკაშვილმა გახსნა. **"დღეს, როდესაც ქიმიური მედიკამენტების ბუმია, მინდა, პროპაგანდა გავუწიო ბუნებრივ პრეპარატებს. ნუნისში კანის დაავადებების მკურნალობის უიშვიათესი საშუალებები არსებობს.**

**სულ ერთი კვირაა, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოვაყალიბეთ. ახლად შექმნილი "საქართველოს კურორტების აღდგენისა და განვითარების კავშირის" მიზანია საქართველოს კურორტების განვითარება, რეკლამირება, პროპაგანდა და მსოფლიო მასშტაბით თანხების მოზიდვა. გვინდა, ეს ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეც მე ვიქნები, ერთ-ერთი მოქმედი ორგანიზაცია გახდეს საქართველოში",** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტის მამამ.



კურორტების გავითარებაზე ისაუბრა საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამედიცინო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დირექტორმა იორამ თარხანმოურავმა. მისი თქმით, არც ერთი სანატორიუმი ექიმის გარეშე არ უნდა ფუნქციონირებდეს, რაც კურორტოლოგების დახმარებას საჭიროებს. ახლო მომავალში კურორტების პასპორტიზაცია დაიწყება, რასაც, დაახლოებით, 500 ათასი ლარი სჭირდება. სპონსორის მონახვის შემთხვევაში, ეს პროცესი მალე დასრულდება. ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოში კურორტების აღწერა აღარ მომხდარა.

წლევანდელ საერთაშორისო სიმპოზიუმს სპონსორობა გაუწია კურორტ სამთა-ნუნისის ერთ-ერთმა მეპატრონემ დავით მორჩილაძემ. იგი საქართველოში ელიტური ტურიზმის განვითარების მომხრეა. **"ისეთი ქვეყნები, სადაც იაფი ტურიზმია განვითარებული, მაღალ დონეს ვერასდროს აღწევენ. ჩვენთვის მთავარ მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს დიდი რაოდენობის ტურისტების მოზიდვა. კვიპროსის მაგალითზე ჩანს, რომ ტურისტების დიდი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს ეროვნულ თვითშეგნებაზე. არ მინდა, საქართველოშიც ასე მოხდეს; ამიტომ, მე ძვირადღირებული ტურიზმის განვითარების მომხრე ვარ",** - აღნიშნა დავით მორჩილაძემ. იგი მოსკოვისა და საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი მოძრაობა "ფერისცვალების" ლიდერია. მას პარტნიორებთან ერთად საქართველოში კურორტების ქსელის შექმნა სურს. მისი ინიციატივით, კეჩხობში დედათა და ბავშვთა სანატორიუმის ტერიტორიაზე ახლო მომავალში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება. სანატორიუმის გახსნა იგეგმება ახტალაში და თუშეთშიც. ნუნისის ტერიტორიაზე ამჟამად რამდენიმე კოტეჯი და ერთი სასტუმრო ფუნქციონირებს. ახლო მომავალში კიდევ ერთი სასტუმრო აშენდება. იმის გამო, რომ აქ მკურნალობა საკმაოდ ძვირი ღირება, მეპატრონეები სოციალურად დაუცველ 100 ადამიანს წელაწდში ერთხელ უფასო მკურნალობას ჰპირდებიან. შერჩევის კრიტერიუმები საკმაოდ მკაცრი იქნება.

*განცხადება*

# კონკურსი შაბათიდან ორშაბათამდე

*ორი დღის წინათ, შაბათს "24 საათის" კითხვისას A5 გვერდზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება შევნიშნე, რომელიც ყველა მსურველს ათენის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებებისა და საზოგადოებრივი მართვის ფაკულტეტზე მაგისტრატურის ერთწლიან კურსს სთავაზობს. თავად თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული; მსგავს განცხადებებს უყურადღებოდ არასოდეს ვტოვებ ხოლმე და, შესაბამისად, ვცდილობ, კონკურსებშიც მივიღო მონაწილეობა.*

რევაზ ბახტაძე

თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულად აღმოჩნდა: სხვადასხვა დოკუმენტთან ერთად განმცხადებელმა სპეციალური ანკეტა უნდა შეავსოს, რომელსაც განათლების სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველო გასცემს. ყველაზე საინტერესო ახლა იწყება: "აღნიშნული ანკეტები უნდა გადაიგზავნოს ათენის უნივერსიტეტის სამდივნოში **2004 წლის 31 მაისამდე**" (ხაზგასმა ჩემია – რ.ბ), ანუ ორშაბათამდე.

ამ პირობის შესრულება კი შეუძლებელია, რადგან შაბათ-კვირას სახელმწიფო დაწესებულებები არ მუშაობს (ყოველი შემთხვევისთვის, მითითებულ ნომერზე შაბათს მაინც დავრეკე, მაგრამ - ამაოდ) და რომც მუშაობდეს, ძალზედ რთულია ორ დღეში საბუთების გამზადება და მათი ათენში გადაგზავნა.

განათლების სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ანი აბულაძის ინფორმაციით, ათენიდან ამ კონკურსის შესახებ წერილი ორი-სამი დღის წინ ჩამოუვიდათ. სპეციალური პროცედურის გავლის შემდეგ კი განცხადება გაზეთში გამოაქვეყნეს.

შეკითხვაზე, - რა აზრი ჰქონდა ამ განცხადების დაბეჭდვას, თუ მისი პირობების შესრულება მაინც შეუძლებელია, - ანი აბულაძემ გვიპასუხა, რომ მსგავს შემთხვევებში სამინისტრო შუამდგომლობას უწევს საქართველოს მოქალაქეებს და სთხოვს საზღვარგარეთის შესაბამის უნივერსიტეტებსა თუ სამინისტროებს, რომ საქართველოდან დაგვიანებით ჩასული აპლიკაციები მაინც განიხილონ.

ძალიან კარგია, რომ სამინისტრო მოქალაქეების დახმარებას ცდილობს, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ მიუთითეს იმავე განცხადებაში, რომ ამგვარი პრაქტიკა არსებობს და განცხადების დაგვიანებით შეტანას აზრი აქვს? ან რატომ ხდება, რომ მაინც და მაინც საქართველოში ჩამოდის ამგვარი წერილები დაგვიანებით?

ვარდების რევოლუციამდე საქართველოში სამთავრობო ორგანიზაციები კონკურსებს ანალოგიური წესით აცხადებდნენ ხოლმე - საბუთების შეტანას აზრი აღარ ჰქონდა. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ "რჩეულებს", კონკურენციის გარეშე, გრიალ-გრიალით "გაემარჯვათ". ეს ხან ნაცნობ-მეგობრობის ხარჯზე, ხან ქრთამის სანაცვლოდ კეთდებოდა.

იმედია, "ბიუროკრატიული ინერცია" დიდხანს არ გაგრძელდება და კონკურსში გამარჯვება ისევ ნაცნობობაზე და ქრთამის მიცემაზე აღარ იქნება დამოკიდებული.

# მონიკელებული ნიჩაბი - სპეციალურად ქალაქის მერისთვის

*დიღმის ბავშვთა სახლში რამდენიმე დღეა კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს - იგება ასფალტი, დაამონტაჟეს სხვადასხვა გასართობი საშუალება, მოაგვარეს ნარჩენების გატანის პრობლემა, შეაკეთეს წყალგაყვანილობა, შენობაში გაიყვანეს ელექტროკაბელი და გარე განათებასაც მიხედეს. დაგეგმილია ბავშვებისთვის სათამაშო სტადიონის გაკეთება, მიმდინარეობს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაც. შაბათს ბავშვთა სახლს თავად ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ეწვია.*

თამარ ჯაჯანიძე

ქალაქის დასუფთავებაში საზოგადოების გააქტიურებისთვის მერმა გადაწყვიტა, თავად ეჩვენებინა მაგალითი, ამიტომ, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურისგან სიმბოლურ საჩუქრად მიიღო ნიჩაბი და სპეცტანსაცმელი, რომელზეც დიდი ასოებით მისი თანამდებობა ეწერა.

**"მიუხედავად იმისა, რომ ვიღებ კრიტიკულ შენიშვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის მერი არ შეიძლება, მუდმივად ამით იყოს დაკავებული, მე მაინც ვაცხადებ, რომ სანამ თბილისის თითოეული მოქალაქე არ მივა იმ დასკვნამდე, რომ ქალაქის სისუფთავე თითოეული ჩვენგანის საზრუნავია, მანამდე ეს აქციები გაგრძელდება",** - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჟურნალისტების თვალწინ მოწერა ხელი ორ განცხადებას. ერთი 5 ივნისს თბილისში შაბათობის მოწყობის შესახებ განკარგულება გახლდათ, მეორე კი - მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მიმართ, სადაც მერი მას სთხოვს, უზრუნველყოს პარლამენტარების ინფორმირება და მათი მობილიზება შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად.

**"ჩემი ინიციატივა ისაა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებმა, ფართო საზოგადოებისათვის ნაცნობმა სახეებმა შაბათობებზე თავიანთი გამოჩენით სტიმული მისცენ მოსახლეობას. იმედი მაქვს, რომ საზოგადოება მიადევნებს თვალყურს, რომელი პარლამენტარი მიიღებს ამ აქციებში მონაწილეობას და რომელი - არა",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ქალაქის მერმა.

# საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

## პენსიის ზრდა - მითი თუ რეალობა

1 ივნისიდან პენსიები რაიონებში მცხოვრებ დავალიანების მქონე პენსიონრებისთვის 20 ლარამდე გაიზრდება და აქედან 6 ლარი სახელმწიფოს დავალიანების დაფარვაში ჩაეთვლება. უფრო გაუმართლა დავალიანების არმქონე პენსიონრებს, მათი პენსია 18 ლარი გახდება და არაფერი ჩამოაკლდება. აღსანიშნავია ისიც, რომ დავალიანების მქონე პენსიონრები დავალიანების არ მქონეებს ბევრად აღემატება. პენსიების ზრდისა და დავალიანების შემცირების მექანიზმი 1 აპრილიდან ამოქმედდა. თავდაპირველად 14 ლარიანი (მინიმალური) პენსია 17 ლარი გახდა. განსხვავებული სიტუაციაა დედაქალაქში. თბილისში მცხოვრები დავალიანების მქონე პენსიონერებს სახელმწიფო 1 ივნისიდან 23 ლარს მისცემს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 3 ლარის ჩათვლით, დავალიანების არმქონეები კი 21 ლარს მიიღებენ.

ნანატრი ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად (2004 წლის 11 მაისს საქართველოს პარლამენტმა "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონი დაამტკიცა.) მიღებული იქნა მისი შემადგენელი ნაწილის დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2004 წლის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი. - (აღნიშნული ფონდის შემოსავალი და ხარჯები 401,7 მილიონი ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც წინა წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 80 მილიონი ლარით (25 პროცენტით), ხოლო წინა წლის შესრულებასთან შედარებით - 134 მილიონი ლარით ანუ 50 პროცენტით).

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯებიდან პენსიებისთვის გამოყოფილია 270,3 მილიონი ლარი. წინა წელთან შედარებით აქ ზრდა ძირითადად ძველი დავალიანების გაცემის კუთხით შეიმჩნევა.

საპენსიო დავალიანების თავდაპირველი რაოდენობა 130 მილიონ ლარს შეადგენდა. აქედან, უკვე დაფარულია 24 მილიონი ლარი. წელს ხელისუფლება 52 მილიონი ლარის დაფარვას იმედოვნებს. თუმცა ეს ციფრი შეიძლება კიდევ გაიზარდოს შემოსავლების მობილიზაციის ზრდასთან ერთად და საპენსიო დავალიანება წლის ბოლომდე განახევრდეს. 2 წელიწადში კი მთავრობა საპენსიო დავალიანების სრულად გასტუმრებას გეგმავს.

წინა წელთან შედარებით მკვეთრად არის გაზრდილი დამქირავებელთა და მოქალაქეთა სოციალური დაზღვევის გადასახადით მისაღები შემოსავლები. ამ კუთხით გათვალისწინებულია 351,8 მილიონი ლარი, რომელიც წინა წლის გეგმას აჭარბებს 121 მილიონი ლარით (52 პროცენტით), ხოლო შესრულებას - 150 მილიონი ლარით (74 პროცენტით). ასოციაციის ექსპერტების შეფასებით ასეთი მაღალი ზრდის შესრულება საკმაოდ რთული იქნება. 25 მაისის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი შესრულებულია მხოლოდ 117,4 მილიონი ლარით, ანუ წლიური გეგმის 33 პროცენტით.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საკუთარი შემოსავლების ზრდასთან ერთად მკვეთრად არის შემცირებული ტრანსფერტები ცენტრალური ბიუჯეტიდან. 2004 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 40,9 მილიონი ლარი, რაც წინა წლის გეგმის მხოლოდ 53 პროცენტია. ცენტრალური ბიუჯეტი მაქსიმალურად ცდილობს სოციალური დაზღვევის ფონდის ხარჯები მისივე შემოსავლებიდან იყოს დაფარული.

***საპენსიო სისტემაში არსებული რთული მდგომარეობის მიუხედავად ცენტრალური ბიუჯეტი ამცირებს სოციალური დაზღვევის ფონდისთვის გათვალისწინებულ ტრანსფერტებს და ცდილობს მთელი სირთულე ფონდს გადააბრალოს. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტების შეფასებით 130 მილიონიანი საპენსიო დავალიანების პირობებში ტრანსფერტების შემცირება, როდესაც ბიუჯეტის ხარჯებში ნახევარ მილიარდიანი ზრდაა გათვალისწინებული, ნამდვილად შეუსაბამობა და უსამართლობაა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლების მიერ პენსიონერებისათვის მიცემული პირობა გაზრდილი პენსიების შესახებ, მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება.***

# ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან

*შაბათს თბილისის მე-6 გიმნაზიაში მოსწავლეების ნახატების, ფოტოებისა და ნაწერების გამოფენა გაიმართა. ეს გამოფენა განსაკუთრებული იმით იყო, რომ მასში ჩვეულებრივ მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას უნარშეზღუდული ბავშვებიც იღებდნენ. როდესაც განათლების საკითხებზე წერ, ევროპული მაგალითების მოყვანა გამუდმებით გიხდება ხოლმე. ეს, შესაძლოა, ვინმესთვის მოსაბეზრებელი და გამაღიზიანებელი იყოს. მაგრამ, ფაქტია, რომ, თუ გამართული საგანმანათლებლო სისტემის აშენება გვინდა, ამ ქვეყნების მაგალითს ვერსად გავექცევით. ევროპულ-ამერიკული ტრადიციაა ისიც, რის შესახებაც ახლა მინდა მოგითხროთ.*

ნინო ცინცაძე

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან რამდენიმე ქვეყანაში, პარალელურად, გაჩნდა უნარშეზღუდული ბავშვების ჩვეულებრივ სასწავლო პროცესში ჩართვის იდეა. ამ იდეის ავტორები, ძირითადად, სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებისა და ლიბერალური მიმდინარეობების წარმომადგენლები იყვნენ. იდეის მიზანი ძალიან ბუნებრივი და ჰუმანური იყო – უნარშეზღუდულ ადამიანს საზოგადოებაში ადაპტაციის საშუალება უნდა მისცემოდა. წლების განმავლობაში ამ იდეის განხორციელება სხვადასხვა დაჯგუფების ფარგლებს გასცდა და ბევრს ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ პროგრამათა რიცხვში ჩაიდო. ევროპელები ამ საქმეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრაგმატულ-ჰუმანურად უდგებიან. მათ იციან, რომ ინკლუზიურ სწავლებას, სულ მცირე, სამი დადებითი მხარე აქვს: ერთი ის, რომ თავად ამ ბავშვების ცხოვრება უფრო სახალისო და საინტერესო ხდება, ისინი გარკვეულ ცოდნას იძენენ და თვითშეფასება უმაღლდებათ; მეორე - ის სკოლა, სადაც ჩართული სწავლება მიმდინარეობს, სახელმწიფოსგანაც და საერთაშორისო ფონდებისგანაც უფრო დიდ ყურადღებასა და დახმარებებს იმსახურებს; მესამე - იზრდება მომავალი თაობა, რომელმაც იცის, რას ნიშნავს იყო გახსნილი შენგან განსხვავებულის მიმართ.

საბჭოთა კავშირში ეს თემა დახურული იყო. იქცეოდნენ ისე, თითქოს ასეთი ადამიანები საერთოდ არ არსებობდნენ. მათ ან სპეციალურ თავშესაფრებში ათავსებდნენ, ანდა მშობლები ცდილობდნენ, მათი ცხოვრება სხვებისათვის თვალშისაცემი არ გაეხადათ. შესაბამისად, საზოგადოებაში მათ მიმართ ჩამოყალიბდა სრულიად არაჯანსაღი, ერთგვარად შიშნარევი დამოკიდებულება, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არსებობს.

პოსტ-საბჭოთა პერიოდის საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან ამ ვითარების გამოსასწორებლად კომპლექსური ნაბიჯები არ გადადგმულა. ამაზე ფიქრი, თითქოს, ახლა დაიწყო. მომავალი წლიდან 10 სკოლაში და ბაღში ინკლუზიური სწავლების საპილოტო პროგრამა უნდა განხორციელდეს. მაგრამ, საბედნიეროდ, რამდენიმე სკოლამ ამაზე ფიქრი მანამდე დაიწყო, ვიდრე აქამდე სახელმწიფო სტრუქტურები მივიდოდნენ. ერთ-ერთი მათგანი მე-6 გერმანული გიმნაზიაა. ამ სკოლაში ცხრა ასეთი ბავშვი სწავლობს - ზოგ მათგანს გონებრივი განვითარების შეფერხება აქვს, ზოგს - კითხვის უნარის დაქვეითება, ყურადღების დეფიციტის სინდრომი ან მოძრაობის უნარის შეზღუდვა. როდესაც ეს ბავშვები სკოლაში მიდიან, ჯერ მათი შესაძლებლობების შეფასება ხდება, ვლინდება მათი სუსტი და ძლიერი მხარეები და შემდეგ, ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით, მათთვის სწავლის ფორმა შეირჩევა, დგება სპეციალური პროგრამები, ან ხდება მათი ადაპტირება არსებულ პროგრამებთან.

**"ამაზე ფიქრი 2000 წელს დავიწყეთ,** - ამბობს სკოლის დირექტორის მოადგილე მარინა მალაშხია, - **მაშინ ვიყავი ბულგარეთში, სადაც ტარდებოდა კონფერენცია სამოქალაქო სწავლების შესახებ. იქ გავიგე პირველად, რომ უნარშეზღუდული ბავშვები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდნენ. ძალიან დავინტერესდი. შემდეგ გავიცანი არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომას" წარმომადგენელი ქალბატონი ნანა გეგელიშვილი, რომელიც ამ პრობლემაზე სერიოზულად მუშაობდა; მაშინ ჩვენც გამოვთქვით სურვილი, ასეთი ბავშვები სკოლაში შეგვეყვანა".**

2001 წელს ქალბატონმა მარინამ ამერიკაში, პრინსტონის უნივერსიტეტში უნარშეზღუდული ბავშვების მომზადებისა და რეაბილიტაციის სატრეინიგო პროგრამა გაიარა და მოიპოვა გრანტი, რომლის საშუალებითაც სკოლაში ასეთ ბავშვებს, მათთან მომუშავე ფსიქოლოგებსა და პედაგოგებს სპეციალური სამუშაო გარემო შეუქმნა - კომპიუტერებითა და საბავშვო თეტრით. ახლა კი ორგანიზაცია "თანადგომამ" მე-6 გიმნაზიას იაპონიის მთავრობის გრანტი მოუპოვა. ამ გრანტით სკოლაში იხსნება ოკუპაციური თერაპიის დარბაზები, სადაც ბავშვებს ექნებათ ბიბლიოთეკა, სათამაშო დარბაზი, კერამიკის სახელოსნო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - სპეციალური ლიფტიც.

სკოლაში არსებული ჯანსაღი გარემო, მასწავლებლებისა და ფსიქოლოგების მონდომება, მოსწავლეთა თანადგომა და გახსნილობა ნამდვილად იძლევა იმის იმედს, რომ ეს პროექტი წარმატებით განხორციელდება. წინააღმდეგია მხოლოდ რამდენიმე მშობელი, რომლებსაც არ სურთ, მათმა შვილებმა ასეთი ბავშვების გვერდით ისწავლონ. ეს, ალბათ, კიდევ ერთი მიმანიშნებელია იმისა, რომ ასეთი პროექტები უფრო ინტენსიურად და მასშტაბურად უნდა ხორციელდებოდეს, რათა მომავალ თაობას ასეთი "უცნაური სურვილები" აღარ გაუჩნდეს.




# წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე კონტროლი გამკაცრდება

*დღეს უშიშროების საბჭოში სპეციალური სხდომა გაიმართება, რომელზე დასწრებაც ქვეყნის ყველა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელისთვის სავალდებულო იქნება. სავარაუდოდ, დღევანდელ სხდომაზე ძალოვანი უწყებების თანამშრომლების შესახებ ხმამაღალი და მკაცრი განცხადებები გაკეთდება. სპეციალურად მოწვეულ სხდომაზე იმ სპეცოპერაციაზე იმსჯელებენ, რომელიც უახლოეს დღეებში წითელი ხიდის ტერიტორიაზე იგეგმება.*

უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომის მოწვევის მიზეზი გუშინ, გამთენიისას, ფონიჭალისა და ყარაჯალის დასახლებებში ჩატარებული სპეცოპერაცია და ამ სპეცოპერაციისას მომხდარი ინციდენტი გახდა.

ფინანსური პოლიციის, გულუას სახელობისა და უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმებმა ფონიჭალისა და ყარაჯალას დასახლებებში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი ერთდროულად შეამოწმეს. კონტრაბანდული საქონლის ერთ-ერთმა რეალიზატორმა ოთარ ჯაფაროვმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია და მათ ცეცხლი გაუხსნა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ოპერაცია ორმხრივი სროლის ფონზე მიმდინარეობდა. ეჭვმიტანილთა მხრიდან ატეხილი სროლის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გულუას სპეცდანიშნულების რაზმის ოთხი წევრი დაიჭრა, რომლებიც სასწრაფოდ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ჰოსპიტალში აღმოჩენილი დახმარების შემდეგ, დაჭრილი სპეცრაზმელები ოჯახებში გაუშვეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სპეცოპერაციის შედეგად, რამდენიმე საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულია დიდძალი ძვირადღირებული იარაღი, ძვირფასეულობა, საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა და ასევე დიდი რაოდენობით კონტრაბანდული, განუბაჟებელი საქონელი. დაკავებულია ნარკოტიკებით მოვაჭრე რამდენიმე პიროვნება.

გუშინდელ სპეცოპერაციაში უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი და ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი მონაწილეობდნენ.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ წითელი ხიდიდან საქართველოში აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებს დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საქონელი, მათ შორის - ნარკოტიკული ნივთიერებაც შემოაქვთ, რომლის შენახვა იქვე მდებარე რამდენიმე სოფელში, მათ შორის, სოფელ მუღანლოში ხდება. ფინანსური პოლიციის ინფორმაციითვე, კონტრაბანდული საქონლით, ფაქტობრივად, ლილოს ბაზრობა მარაგდებოდა.

**"კონტრაბანდული საქონლის შემომტანები შეიარაღებულნი არიან ცეცხლსასროლი იარაღით და მათ სამართალდამცველებისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარი გააჩნიათ",** - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებას აპირებენ.



*სპეცოპერაციის შედეგად რამდენიმე ნარკომოვაჭრეა დაკავებული.*

წითელ ხიდთან ჩატარებული სპეცოპერაციისა და ამ სპეცოპერაციის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, გუშინვე, უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ და საქართველოს პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ უშიშროების საბჭოში სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს. მათი განცხადებით, ჩატარებული სპეცოპერაცია არ იყო ერთეული შემთხვევა და მსგავსი სპეცოპერაციები მომავალშიც გაგრძელდება, მათი განმარტებით, "წითელი ხიდის პრობლემა" ერთ თვეში ამოწურული უნდა იყოს. გუშინდელი საგანგებო პრესკონფერენციის ორგანიზატორთა თქმითვე, კონტრაბანდაში თავად ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები არიან ჩართული და კონტრაბანდისტებს სწორედ ისინი მფარველობენ. გუშინვე გადაწყდა - წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე კონტროლი გამკაცრდება.

**"გუშინ, წითელი ხიდის მიმდებარე რაიონში რამდენიმე აზერბაიჯანულ სოფელში განადგურებული და განიარაღებული იქნა არაკანონიერი სამხედრო ფორმირება, რომელშიც, ძირითადად, აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენლები შედიოდნენ. მსგავსი ფორმირებები ამ ტერიტორიაზე კიდევ ბევრია და საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს მათ წინააღმდეგაც მოუწევთ გარკვეული სპეცოპერაციების ჩატარება",** - აცხადებს გივი თარგამაძე.

**"წითელი ხიდის და იქ არსებული სიტუაციის პრობლემა აუცილებელ გადაჭრას ითხოვს, ვინაიდან იქ არსებული განუკითხაობით და კონტრაბანდული ტვირთებით საქართველოს სახელმწიფოებრიობას დიდი ზიანი ადგება. წითელი ხიდი და მიმდებარე სოფლები ბოლო წლებში, პრაქტიკულად, უკონტროლო ტერიტორიად და კრიმინალების ანკლავად იქცა. რამდენჯერმე იყო მცდელობა ადგილზე პოლიციის განყოფილების გახსნისა, თუმცა, ამაოდ. მაკონტროლებელ ორგანოებს და სამართალდამცველებს შემოწმების ჩატარების შესაძლებლობას არ აძლევდნენ. კონტრაბანდისტებისა და არაკანონიერი ფორმირებების დრო საბოლოოდ უნდა წავიდეს. ჩვენ მათ შეურიგებელ ბრძოლას ვუცხადებთ,"** - ასეთია უშიროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას მუქარა კონტრაბანდისტებისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიმართ.

გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაცია ფონიჭალის დასახლების მოსახლეობამ გუშინვე გააპროტესტა. სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ოთარ ჯაფაროვის მეზობლები და ახლობლები აცხადებენ, რომ სპეცრაზმელები კანონდარღვევით მოქმედებდნენ. მათ ჯაფაროვის სახლის ჭიშკარი ააფეთქეს და სახლში შეიჭრნენ.

აქციის მონაწილეთა თქმით, დასახლებაში ბოლო დროს გახშირდა ქურდობის და ბანდიტური თავდასხმის ფაქტები, ამიტომაც მათ ამჯერადაც ბანდიტების მორიგი თავდასხმა ეგონათ და სპეცრაზმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზეზიც სწორედ ეს იყო.

*24 საათი*

# საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას, შესაძლოა, ფარდა აეხადოს

პირველი გვერდიდან

საუბარია სისხლის სამართლის ურთულეს საქმეზე, რომლის გამოძიებაშიც უგზო-უკვლოდ დაკარგული როსტევან ბეჟანიშვილის ყოფილი კოლეგები, ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თავკაცები უშუალოდ იყვნენ ჩართული. საქმე ის გახლავთ, რომ ყოფილი მაღალჩინოსნის მძევლად ხელში ჩაგდება, გატაცება, ფულის გამოძალვა და განზრახ მკვლელობის ორგანიზება უგზო-უკვლოდ დაკარგულის შვილს, პაატა ბეჟანიშვილსა და მის სამ მეგობარს - ვასილ მჭედლიშვილს, მამუკა ესაძეს და გიორგი აბაშიძეს ედებათ ბრალად. პაატა ბეჟანიშვილი, ვასილ მჭედლიშვილი და გიორგი ესაძე უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე თვის წინ გაასამართლა და მათ 12-12 წლიანი პატიმრობა არგუნა. თუმცა, ზედმეტად ხმაურიანი, ხალხმრავალი და ემოციებით დატვირთული სასამართლო პროცესი, რომელიც დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ისე დასრულდა, რომ ვერავინ გაიგო, კონკრეტულად ვინ მოკლა როსტევან ბეჟანიშვილი – შვილმა თუ მისი სამი მეგობრიდან ერთ-ერთმა. საქმის მთელი სირთულე კი ის გახლავთ, რომ დანაშაულის ძირითადი მტკიცებულება - როსტევან ბეჟანიშვილის გვამი - დღემდე, მისი დაკარგვიდან სამი წლის შემდეგაც არ არის აღმოჩენილი. თუმცა, ისევე, როგორც დაკარგულის და, გამოძიებაც და სასამართლოც დარწმუნებულია, რომ ის ნამდვილად მოკლულია. სავარაუდოდ, ის ჯერ მოკლეს და შემდეგ დაწვეს. ცხედრის საპოვნელად, გლდანის დასახლებასთან მდებარე "მამკოდას" ტყეში მაშინ სამართალდამცველთა მუშაობამ უშედეგოდ ჩაიარა. ტყეში, ცხედრის ნაცვლად, "სკოტჩებს" მიაგნეს. მართალია, სასამართლომ განაჩენიც გამოიტანა და განსასჯელებს საკმაოდ ხანგრძლივი პატიმრობაც მიუსაჯა, თუმცა, მკვლელობის მომზადების ბრალდება ხელახალი გამოძიებისთვის კვლავ პროკურატურას დაუბრუნა. "უნდა დადგინდეს, სად არის ცხედარი", - ასეთია სასამართლოს მოთხოვნა. სასამართლოს ეს მოთხოვნა, შესაძლოა, სწორედ რამდენიმე დღის წინ დაკავებულმა გიორგი აბაშიძემ დააკმაყოფილოს და ფარდა ახადოს საიდუმლოებით მოცულ, ურთულეს სისხლის სამართლის საქმეს. რა ჩვენებებს აძლევს ის ამ ეტაპზე გამოძიებას, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ის ცოტა ხანში სასამართლოს წინაშე წარდგება და იმ სამ მეგობართან მოუწევს დაპირისპირება, რომლებიც არც წინასწარ გამოძიებაში გატყდნენ და არც სასამართლოზე. არადა, სასამართლოზე დაკითხული თითქმის ყველა მოწმის ჩვენება მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს ადასტურებდა.

გამოძიების მასალებით, ისევე, როგორც ბეჟანიშვილის, ესაძისა და მჭედლიშვილისთვის გამოტანილი განაჩენის მიხედვით, პაატა ბეჟანიშვილმა მეგობრებს საკმაოდ სოლიდური თანხის – 10 ათასი დოლარის სანაცვლოდ, საკუთარი მამის გატაცება და მოკვლა შესთავაზა. ესაძემ, მჭედლიშვილმა და აბაშიძემ შეკვეთის შესრულებაზე პაატა ბეჟანიშვილს თანხმობა განუცხადეს. გატაცების გეგმაც შედგა. როსტევან ბეჟანიშვილი გლდანის დასახლებასთან ახლოს მდებარე "მამკოდას" ტყეში გაიტაცეს. თუმცა, ერთობლივად დადგმული სცენარი სულ მალე შეიცვალა. გამტაცებელთა ჯგუფის წევრებმა პაატა ბეჟანიშვილის დაშანტაჟება გადაწყვიტეს და იმ აუდიოკასეტით დაემუქრნენ, რომელზეც შვილი მამის გატაცების გეგმაზე საუბრობდა. გამტაცებლებმა გატაცებულის შვილს სატელეფონო საუბრით აუხსნეს, რომ თუ დიდ თანხას არ გადაიხდიდა, მამამისს აუდიოკასეტას მოასმენინებდნენ. გატაცების დღესვე, პაატა ბეჟანიშვილი გამტაცებლებმა "მამკოდას" ტყეში წაიყვანეს და ხეზე მიბმული მამა აჩვენეს. შემკვეთს გამტაცებლებმა მამის მოკვლისთვის ამჯერად 100 ათასი დოლარი მოსთხოვეს. საბრალდებო დასკვნის მიხედვითვე, ორ დღეში პაატა ბეჟანიშვილმა მამამისის ბინის სარდაფის კარი გატეხა, სადაც 80 ათასი დოლარი აღმოჩნდა და გამტაცებლებს გადასცა. ფულის გადაცემის მიუხედავად, მძევლის დისგან და შვილისგან გამტაცებლები კიდევ 20 ათასს ითხოვდნენ. ამის შემდეგ, მამკოდას ტყეში გატაცებული როსტევან ბეჟანიშვილი თვალით აღარავის უნახავს.

ხანგრძლივ, ხმაურიან და ხალხმრავალ სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ პაატა ბეჟანიშვილს, რომელიც მამის პროფესიას გაჰყვა და კრიმინალებსა და ყაჩაღებს ებრძოდა, სამართალდამცველად მუშაობის პერიოდში რამდენიმე სერიოზული დანაშაული ჰქონია ჩადენილი. მათ შორის – განზრახ მკვლელობაც. თუმცა, ამ დანაშაულებების გამო პასუხისგებას ის ისევ ძლიერი და კანონდამცველ ორგანოებში გავლენიანი მამის წყალობით აცილებდა თავს. მამის მფარველობის მიუხედავად, როსტევან და პაატა ბეჟანიშვილებს შორის საკმაოდ დაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობა რომ იყო, ეს პროცესზე დაკითხულ თითქმის ყველა მოწმესთან ერთად, თავად განსასჯელმაც სასამართლო გამოძიებისას დაადასტურა.

მოკლედ, ცოტა ხნის წინ დაკავებული გიორგი აბაშიძის ჩვენებებით როსტევან ბეჟანიშვილის გატაცებისა და მკვლელობის საქმის შესახებ რა გაირკვევა, წინასწარ ძნელი სათქმელია. ფაქტი კი ის არის, რომ სასამართლომ გამოძიებას ცხედრის ადგილ-სამყოფელის დადგენა რამდენიმე თვის წინ დაავალა. გიორგი აბაშიძე, რომელსაც სამართალდამცველები დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ, ერთადერთია, ვისაც შეუძლია თქვას, რა და როგორ მოხდა სინამდვილეში.

# "ჯერ კიდევ ბევრი რამეა გამოსაძიებელ-დასადგენი", - აცხადებს გენერალური პროკურორი

## ირაკლი ოქრუაშვილი მიხეილ ქურდაძის მკვლელობის ბოლომდე გახსნას გეგმავს

*გუშინ თბილისის პროკურატურის შენობა და ეზო ყოფილი და ახლანდელი პროკურორებით იყო სავსე. პროკურორები პროფესიულ დღეს აღნიშნავდნენ. ამ დღესთან დაკავშირებით, დედაქალაქის პროკურატურის ეზოში თბილისის ყოფილი პროკურორის, მოკლული ქურდაძის ბიუსტი გაიხსნა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"მიხეილ ქურდაძე იყო ადამიანი, რომელიც შეეწირა საქართველოში მართლწესრიგისა და კანონის განმტკიცებას. მან მთელი ცხოვრება მისი სისტემის პრესტიჟის ამაღლებას მიუძღვნა";**

**"მიხეილ ქურდაძე პროკურორის მუნდირის ღირსებას იცავდა, იცავდა ხალხს დამნაშავეებისგან, ის შეუდარებელი პროფესიონალი იყო",**

**"ქურდაძე სწორედ იმ უკანონობის მსხვერპლი აღმოჩნდა, რაც საქართველოში წლების წინ იყო გამეფებული, ის ყველანაირ კრიმინალურ საქმიანობას პრინციპულად დაუპირისპირდა, იყო პროფესიონალი და კანონიერების დაცვისთვის უკან არაფერში დაიხევდა",** - ასე იხსენებდნენ გუშინ ყოფილ კოლეგას მიხეილ ქურდაძეს მის ბიუსტთან შეკრებილი ხანგრძლივი სტაჟის მქონე თუ უსტაჟო პროკურორები.

**"მიხეილ ქურდაძე პატიოსნების, სიმართლის, კანონიერების სიმბოლოა. პროკურატურის პროფესიულ დღეს დედაქალაქის პროკურატურის ეზოში მისი ბიუსტის დადგმას დიდი დატვირთვა აქვს მომავალში დანაშაულთან კანონიერი ბრძოლის საქმეში",** - აცხადებდნენ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები. **"პროკურატურის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ და ამ სტრუქტურის მუშაობამ ნათლად დაგვანახა, რომ ნელ-ნელა ყველა კითხვას გაეცემა პასუხი და ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა",** - ასეთი გახლდათ გუშინ თერთმეტი წლის წინ მოკლული მიხეილ ქურდაძის ოჯახის წევრთა და ახლობელთა განწყობა.

მიხეილ ქურდაძე, რომლის სახელის ხსენებაც თავის დროზე შიშის ზარს სცემდა ეგრეთ წოდებული შავი სამყაროს წარმომადგენლებს, თერთმეტი წლის წინ, საკუთარი სახლის სადარბაზოსთან მანქანიდან გადმოსვლისას მოკლეს. "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან ნასროლი სამი ტყვია პროკურორს სახის არეში მოხვდა. სასიკვდილოდ დაჭრილ მიხეილ ქურდაძეს ორი საკონტროლო ტყვიაც მიაწიეს - ერთი თავის არეში, მეორე - გულ-მკერდში.



*ბიუსტის გახსნის ცერემონიალი.*

როგორც ამბობენ, ეს იყო პირველი შეკვეთილი მკვლელობა, რომელსაც ერთმანეთის მიყოლებით ტერაქტები მოჰყვა. კოლეგის მკვლელობის საქმეს გენერალური პროკურატურა წლების განმავლობაში იკვლევდა. სამართალდამცველებმა მკვლელობის ნივთმტკიცება - იარაღიც იპოვეს, თუმცა მკვლელობის შემკვეთ-შემსრულებელზე კარგა ხნის განმავლობაში ვერ გავიდნენ.

თბილისის პროკურორის მკვლელობის საქმეში რამდენიმე ვერსიაზე იყო საუბარი. თავდაპირველი ვერსიით სამაგალითო პროკურორის სიცოცხლე იმ დროს გაბატონებულმა კლანმა შეიწირა. იმ კლანმა, რომლის კრიმინალურ საქმიანობასაც მიხეილ ქურდაძე პრინციპულად დაუპირისპირდა. მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმე წლების განმავლობაში გაუხსნელი იდო. თუმცა, პროკურატურა ზეპირსიტყვიერებით ერთ-ერთი მაღალჩინოსანი პოლიციელისკენ "იშვერდა თითს". როგორც ამბობენ, გამომძიებელმა, რომელმაც თავდაპირველად ჩაიბარა საქმე, უარი თქვა მის გამოძიებაზე - მკვლელობაში ისეთი დონის კლანებია ჩარეული, ბომბზე ვზივარ, თავს საკუთარი ხელით ვერ ავიფეთქებო, და საქმე კოლეგა გამომძიებელს გადასცა.

ერთი სიტყვით, წლების განმავლობაში ხელიდან ხელში გადასული საქმე მკვლელობიდან ზუსტად რვა წლის თავზე გაიხსნა. სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი - სამხედრო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი კობა გურგენიძე დააკავეს. გამოძიების მასალების მიხედვით, "ქილერმა" კობა გურგენიძემ მიხეილ ქურდაძის მოკვლისთვის გასამრჯელოდ სოლიდური თანხა - 10 ათასი დოლარი მიიღო.

მოკლედ, შეკვეთილი მკვლელობა თითქოს გაიხსნა, თუმცა ცნობილი და დაპატიმრებულია მხოლოდ "ქილერი" - კობა გურგენიძე, რომლესაც მართლმსაჯულებამ სამი წლის წინ თხუთმეტწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მკვლელობის შემკვეთის ვინაობა, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

**"მართალია, მიხეილ ქურდაძის მკვლელი დაკავებულია და ის სასჯელს იხდის კიდეც, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევ-გამოსაძიებელ-დასადგენია. ეს ადამიანი სახელმწიფო უწყებების მიერ იყო განწირული. მკვლელობა სწორედ აქ, ამ შენობაში დაიგეგმა. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიხსნას ფრჩხილები და ბურუსით მოცულ სისხლის სამართლის საქმეს ნათელი მოეფინოს. მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმის ბოლომდე მიყვანა ყველა პროკურორისთვის პროფესიული ღირსების დაცვა უნდა იყოს. საქმე ბოლომდეა მისაყვანი",** - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ, მიხეილ ქურდაძის ბიუსტის გახსნის შემდეგ, გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა.


გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
საქართველოს გაეროს ასოციაცია

UNHCR

## ღია კონკურსი ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის

ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 2004 წლის 20 ივნისს აღინიშნება, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და საქართველოს გაეროს ასოციაცია მართავენ გამოფენა-კონკურსს ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის. წლევანდელი ღონისძიების თემატიკიდან გამომდინარე, ხელოვანთა მიერ წარდგენილ ნამუშევრებში უნდა აისახებოდეს მათი წარმოდგენა "სახლის" შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16 წელს ზევით ასაკის ლტოლვილ და დევნილ ხელოვანებს. ნამუშევართა ფორმა შეზღუდული არ არის - კონკურსისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს ფერწერული, გრაფიკული, ფოტო ნამუშევრები, ქანდაკება და ხელით ნაკეთობანი.

ყველა ნამუშევარი განხილული და შეფასებული იქნება გაეროსა და დიპლომატთა კორპუსის წარმომადგენელთა და პროფესიონალ ხელოვანთაგან შემდგარი ჟიურის მიერ. საუკეთესო 25 ნამუშევარი ლტოლვილთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში გამოიფინება საჯაროდ ავტორთა თანხმობის საფუძველზე მათი შემდგომი გაყიდვის შესაძლებლობით.

25-დან ერთი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით, რომელიც საშუალებას მისცემს საკუთარი სამხატვრო შესაძლებლობები განავითაროს. თითოეულ წარდგენილ ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მოკლე ესსე, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ გამოიყენებს ავტორი მოგებულ თანხას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

ნამუშევართა წარდგინების ბოლო ვადაა 2004 წლის 7 ივნისი.

ნამუშევრები და მოკლე ესსე შეგიძლიათ წარადგინოთ შემდეგ მისამართებზე: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში - თბილისი, ყაზბეგის გამზირი N2ა, მე-4 სართული, ან საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, დოლიძის N2, მე-4 სართული.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: (995 32) 25-00-81 ან 33-25-16.**


## ორი სიტყვით

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა მკვლელობისთვის და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისთვის ძებნილი, 26 წლის გრიგოლ იჩქითი. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გრიგოლ იჩქითმა 2002 წლის 5 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ კვარხითში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა საკუთარი ბიძაშვილი არკადი იჩქითი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყალტუბოში გუშინ "მაგთიკომის" კუთვნილი საბაზო სადგური გაქურდეს, საიდანაც რამდენიმე ცალი კონდიციონერი მოიპარეს. აღნიშნულ დანაშაულში სამართალდამცველებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთში მცხოვრები შალვა ბუაძე ამხილეს და დააკავეს. პოლიციელებმა მას ფაქტზე წაასწრეს, როცა იგი ღამით ნაქურდალით გადაადგილდებოდა. სამართალდამცველები ამ დროს საპატრულო შემოვლას ახორციელებდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში გამოცხადდა რუსთავში მცხოვრები, 39 წლის ბადრი გაგლოევი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა 0.13 გრ ჰეროინი და განაცხადა, რომ ზემოთ აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება გურჯაანში მცხოვრებ ვინმე „ბაკურასგან“ 30 ლარად შეიძინა. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა გურჯაანში დააკავეს ოთხჯერ ნასამართლევი, 36 წლის ბაკურ კირვალიძე, რომელსაც აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული, ერთ „ბაშად“ დაფასოებული, 0.95 გრ ჰეროინი. დაკავებისას კირვალიძე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურის პირველ სართულზე დააკავეს თბილისში მცხოვრები, 43 წლის მიხეილ აკოფაშვილი, რომელსაც 6.4 გრ მარიხუანა აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა გორი-ქუთაისის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი "ფორდ-ტრანზიტი", რომლის მძღოლს, ქუთაისში მცხოვრებ ამირან პატარიძეს და მის მგზავრს, ნანა მახარობლიძეს 600 ლარის ღირებულების კონტრაბანდული სიგარეტი „ნოვოსტი“ გადაჰქონდათ. მოკვლეული მასალები შიდა ქართლის სამხარეო ფინანსურ პოლიციას გადაეცა. **მედია-ნიუსი**

# კიდევ ერთხელ გამოცდების შესახებ

## ცრუ საფრთხე და რეალური ამოცანები

კახა ჯამბურია

შექმნილი აჟიოტაჟის მიუხედავად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ვერც აგიოგრაფიას "გააუქმებს" ვინმე და ვერც "ვეფხისტყაოსანს" ამოიღებს სასწავლო პროგრამებიდან, რადგან ეს, პირველ რიგში, ***ქართველი ფილოლოგების - მეცნიერებისა და პედაგოგების - საქმეა*** და მხოლოდ ამის შემდეგ, საჯარო განხილვისას, ყველა დაინტერესებული პირის (მათ შორის სახელმწიფო მოხელეების) მსჯელობის საგანი. იგივე ეხება ტექსტების ადაპტირების საკითხსაც.

დროზე უნდა შევწყვიტოთ აჟიოტაჟი და საქმეზე გადავიდეთ. ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვიტყვი იმას, რაც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ისედაც ცხადია: ჩვენ – "შეფასების ცენტრის" ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის წევრებს - არავითარი მითითება არა გვაქვს მიღებული არც უცხო და არც ჩვენი ქვეყნის გასაიდუმლოებული თუ გაცხადებული ორგანიზაციებისგან (ან კერძო პირებისგან), რომ ვებრძოლოთ ეროვნულ კულტურას, ქართულ ლიტერატურას და ა.შ. ვინც მსგავს აბდაუბდას ავრცელებს, ან დასაბუთებული ბრალდება წარმოგვიდგინოს, ან ცილისწამებისთვის კანონის წინაშე აგოს პასუხი.

ჩვენ ვებრძვით ლიტერატურის პროფანაციას და იმგვარ გაყალბებას, რამაც ჩაკლა ჩვენს სკოლებშიც და ლამის მთელ საზოგადოებაშიც ინტერესი მარადიული სულიერი ღირებულებებისა და უკვდავი მხატვრული ტექსტების მიმართ და მათი იდეოლოგიზებული სუროგატი შემოგვაჩეჩა ხელში; დაიყვანა ლიტერატურა შაბლონებამდე და სტერეოტიპულ აზროვნებამდე...

დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში ქართული ენის სწავლების პროცესის შესწავლამ I-IV კლასებში. კვლევის შედეგებს დიდი ყურადღება დაუთმო პრესამ, ტელევიზიამ; საჯარო განხილვები მოეწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში... და რატომღაც სრულიად გაუმართლებლად დაუკავშირდა ერთმანეთს ორი საკითხი: რაკი კვლევის შედეგები შემაშფოთებელია (განსაკუთრებით წერის კულტურისა და წაკითხულის გააზრების თვალსაზრისით), თითქოს ამის საფუძველზე განათლების სამინისტრო გეგმავს ზედა კლასების, კერძოდ, IX კლასის პროგრამის ტენდენციურ, გაუმართლებელ გამარტივებას და აგიოგრაფიული ტექსტების ამოღებას.

***არავითარი კავშირი არ არსებობს I-IV კლასის სასწავლო პროცესის კვლევის შედეგების ანალიზსა და აგიოგრაფიული ძეგლების სწავლების პრობლემებს შორის!*** ეს ორი სხვადასხვა საკითხია და არ არის საჭირო ხელოვნურად ერთმანეთთან მათი დაკავშირება.

თუმცა, გვაქვს შედარების საშუალება: როდესაც I-IV კლასების სასწავლო პროცესის შესაფასებელი ტესტისთვის მომზადებული წერითი დავალებები შეასრულეს მოსწავლეებმა, შეფასების ცენტრში IX კლასის საგამოცდო ტესტში შესატან წერით დავალებებს ვცდიდით. საშუალება მომეცა, ერთმანეთის პარალელურად წამეკითხა 9-10 და 14-15 წლის მოსწავლეთა ნაწერები. სამწუხაროდ, წერის კულტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, წინსვლა არ ჩანდა! (საუბარია საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მიღებული მასალების ანალიზზე და არა მხოლოდ თბილისის ე.წ. "ელიტარულ სკოლებში" ჩატარებულ აპრობაციებზე).

მაშასადამე, 5 წლის სწავლების შემდეგ წერის ჩვევის განვითარების თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა! რატომ, რა ხდება?



*სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში.*

ცხადია, ყველაფერი იმით არის განპირობებული, თუ როგორ ვასწავლით წერას. აშკარად არასაკმარისად არის გათვალისწინებული წერითი დავალებები ქართული ენის გრამატიკის კურსში, რომელიც თეორიული, ფორმალიზებული გრამატიკის სწავლებაზეა ორიენტირებული და დასწავლილი თეორიული დებულებების გამყარება ხდება მხოლოდ პატარ-პატარა სავარჯიშოების შესრულებით. შედეგად ვიღებთ: მოსწავლემ იცის ქცევისა თუ კონტაქტის ნიშნები, მართვა, მირთვა და შეთანხმება, მაგრამ გაბმულ ნაწერში ისეთ შეცდომებს უშვებს, თითქოს არასოდეს არაფერი უსწავლია.

მოსწავლე წერს (თუ იწერს) ისეთ თემებს, რომელთა სათაურები ხშირად სადოქტორო დისერტაციების სათაურებს ემთხვევა და, ამავე დროს, მისთვის დაუძლეველი ამოცანაა, გამართული ქართულით დაწეროს განცხადება, ავტობიოგრაფია, პირადი თუ ოფიციალური წერილი...

როდესაც მოსწავლეებს ვავალებთ, დაწერონ თხზულება - ბუნება ვაჟა-ფშაველას (ან ბარათაშვილის) შემოქმედებაში - ვვარაუდობთ, რომ ამ დავალების შესრულება ყველა მოსწავლემ უნდა შეძლოს. ბევრი ფილოლოგი გეგულებათ, რომელიც დაწერს ანალიზს ლექსისა "შემოღამება მთაწმინდაზედ"? და ეს უნდა შეეძლოს 75 000-ვე მოსწავლეს? რატომ? ყველას ერთნაირად უნდა ჰქონდეს ლიტერატურული ანალიზის ნიჭი? ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ამას ნიჭი კი არ სჭირდება, არამედ ჩვევა და საკმარისია, ასეთი ჩვევის ჩამოყალიბებაზე იზრუნო, რომ ყველა მოსწავლე ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოების გაანალიზებას შეძლებს? კი მაგრამ, ყველა ფილოლოგი უნდა გამოვიდეს?

პოლიციელს, ექიმსა თუ ინჟინერს სულაც არ ევალება ურთულესი პოეტური შედევრების ანალიზი, მაგრამ განცხადების, ოქმისა თუ რაიმე სხვა დოკუმენტის გამართული ქართულით შედგენა ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო უნდა იყოს. სკოლის ერთ-ერთი ამოცანა ესეც არის - ყველას ერთნაირად უნდა ასწავლოს გამართული ქართულით წერა სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვით.

ორიოდე წლის წინ, როდესაც IX კლასის ტესტირების შედეგებზე ვმსჯელობდით, განათლების სამინისტროს მივეცით რეკომენდაცია (ეს მასალები გამოქვეყნებულია გაზეთ "ახალ განათლებაში"), მომზადებულიყო ცალკე სასწავლო დისციპლინა, გნებავთ, საგანი – "ქართული წერა", რომლის მიზანიც იქნებოდა ნებისმიერი ტიპის (თუ ჟანრის) ტექსტის შექმნის სწავლება: ე.წ. ფუნქციური (ან, როგორც უწოდებენ ხოლმე, დოკუმენტური), საქმიანი მიწერ-მოწერის, ჟურნალისტური ტექსტისა თუ რეკლამის ენა და ა.შ. (სხვათა შორის, არსებობს ასეთი საერთაშორისო გამოცდილებაც: "წერის" ასეთ კურსში ხშირად ისწავლება მშობლიური ენის პრაქტიკული გრამატიკა თავისი მართლწერითა და მართლმეტყველებით ისე, რომ ცალკე, ფორმალიზებული გრამატიკის კურსი სასწავლო პროგრამაში მხოლოდ დამამთავრებელ კლასებში შედის).

რაც შეეხება ლიტერატურულ ანალიზს, ის, ცხადია, ლიტერატურის (როგორც საგნის) სწავლების განუყოფელი კომპონენტია და ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებას, კითხვის მოტივაციის გაზრდასა და თვალსაწიერის გაფართოებას უნდა ემსახურებოდეს. არაფრით არ შეიძლება ამ ამოცანების აღრევა: ლიტერატურულ-ესთეტიკური განხილვების მოთხოვნით (ან მხოლოდ ასე) მოსწავლეებს წერას ვერ ვასწავლით. ბავშვმა პრაქტიკული დანიშნულების მქონე ტექსტების შედგენით უნდა ისწავლოს აზრის წერილობით ჩამოყალიბება, წინადადების სინტაქსურად სწორად გამართვა და ადეკვატური სტილის გამოყენება.

არასწორად დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესით მივაღწიეთ იმას, რომ მოსწავლეთა ძალიან დიდ ნაწილში ჩავკალით კითხვის მოტივაცია და სავსებით შესაძლებელია, რომ ბევრ მათგანს არასრულფასოვნების კომპლექსიც კი გავუჩინეთ.

16 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილ ფილოლოგიურ საზოგადოებას წარვუდგინეთ 2005 წლის მისაღები გამოცდის სავარაუდო მოდელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. გამოიკვეთა ტესტური გამოცდების როგორც მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა პოზიციაც. ითქვა, რომ ახალი ტიპის წერითი დავალებები ხელს შეუწყობს სტერეოტიპული აზროვნებისა და "შპარგალკომანიის" დაძლევას, ახალგაზრდობას წიგნთან მიაბრუნებს. მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ჩვენი სკოლა არ არის მზად ასეთი სიახლეებისთვის და მოსწავლეები დაიჩაგრებიან, რაკი ასეთი წერითი დავალებები აქამდე არავის შეუსრულებია. მართალია, ტესტებში გარკვეული სიახლე არის, მაგრამ ეს იმგვარი სიახლეა, რომელიც მოსწავლეს კი არ "დაჩაგრავს", არამედ პირიქით - მას თავისი ნიჭის, ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას მისცემს, რადგანაც ახალი მოდელით აბიტურიენტს ეძლევა საპროგრამო ნაწარმოებების ფრაგმენტები. თუ გამოცდილ მკვლევარსაც კი მუშაობისას წინ უდევს საანალიზო ნაწარმოები, რატომ უნდა ჩავაყენოთ აბიტურიენტი მასზე უარეს მდგომარეობაში?! ამავე დროს, ცხადია, ტესტი ფაქტობრივი მასალის ცოდნასაც შეამოწმებს.

საგამოცდო ტესტი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ტესტური კითხვებითა და დავალებებით შემოწმდება ქართული ენისა (მაქსიმალური ქულა იქნება ტესტის ქულათა 30 პროცენტი) და ლიტერატურული მასალის ცოდნა (მაქსიმალური ქულა იქნება ტესტის საერთო ქულათა 50 პროცენტი), ოღონდ აქვე ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ლიტერატურის ცოდნა მხოლოდ ღია (პასუხი რომ წერილობით უნდა გაეცეს) კითხვებით შემოწმდება - არც ერთი არჩევითი (შემოსახაზი) კითხვა არ იქნება გამოყენებული. განსაკუთრებულად ახალი არაფერია, შემოწმების ასეთ წესს მისაღებ გამოცდებზეც ხშირად იყენებდნენ და ბოლო სამი წლის მანძილზე სკოლის სახელმწიფო გამოცდებზეც გამოიყენებოდა.

ტესტის მესამე ნაწილი ამოწმებს ლიტერატურული ტექსტების ანალიზის, არგუმენტაციისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს და, ამავე დროს, წერის კულტურას.

ყოველ წერით დავლებას თან ერთვის ამგვარი ინსტრუქცია:

*გაითვალისწინეთ: ნაშრომის შეფასებისას ყურადღება მიექცევა ლიტერატურული ტექსტის ანალიზის უნარს, დამოუკიდებელ აზროვნებას (და არა იმას, თუ რამდენად თანხვდება თქვენი პოზიცია მიღებულ შეხედულებებს), არგუმენტირების (ტექსტის მასალით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) უნარსა და წერის კულტურას (ანუ რამდენად ლოგიკურად, მწყობრად, ნათლად და გასაგებად არის სათქმელი ჩამოყალიბებული; გამოყენებულია თუ არა ადეკვატური ლექსიკა და დაცულია თუ არა სალიტერატურო ენის ნორმები).*

გთავაზობთ ახალი ტიპის წერითი დავალების ორ ნიმუშს:

**ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი იოვანე საბანისძის თხზულებიდან:**

ჯერ-არს თქუენდაცა დაკვირვებად ჩემთანა. რამეთუ რომელნიესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, განდგომილთა ქრისტესგან, მრავალნი შეაცდუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა, და ჭეშმარიტებასა ქრისტეს სახარებისასა შეეცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარეს-ღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაითა. მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნნეს, რომელნიმე - მძლავრებით, რომელნიმე - შეტყუვილით, რომელნიმე - სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე - მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი-ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა; არამედ ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა.

**გააანალიზეთ მოცემული ნაწყვეტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

**იმსჯელეთ, რაში ხედავს ავტორი ქართველთა ეროვნული სიამაყის საფუძველს;**

**იმსჯელეთ, რა ხერხებითა და საშუალებებით იმორჩილებს, ავტორის თვალთახედვით, დამპყრობელი ქართველ ერს;**

**იმსჯელეთ, რაში ხედავს ავტორი ეროვნული კატასტროფის მიზეზს და გამოსავალს ამ მძიმე მდგომარეობიდან.**

***თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***

მეორე ნიმუში:

**დაწერეთ ნესტანის დახასიათება მოცემული სტროფებისა და მითითებების მიხედვით:**

**ნესტანთან პირველ შეხვედრას ტარიელი ავთანდილს ასე უამბობს:**

დიდხანს ვდეგ და არა მითხრა სიტყვა, მისსა მონასურსა,
ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა;
ასმათს უხმო, მოიუბნეს; ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:
"აწ წადიო, ვერას გითხრობს", მე კვლა მიმცა ალმან მურსა.

**ერთი შეხვედრის დროს კი ნესტანი ტარიელს ასე ემუქრება:**

"ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო."

**ქაჯეთში დატყვევებული ნესტან-დარეჯანი წერს ტარიელს:**

"შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქვა: "სხვათა მიჰხვდების იგი ალვისა ტანითა!"
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა."

**ნესტანის ხასიათის რა თვისება (ან თვისებები) ჩანს პირველ ციტატში;**

**როგორ ახასიათებს ამ პერსონაჟს მეორე ციტატით დამოწმებული მისივე სიტყვები;**

**ამ პერსონაჟის ხასიათის რა თვისებები გამოვლინდა მესამე ციტატში;**

***თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***

ტესტის ამ ნაწილში ერთი სავალდებულო დავალება კი არ იქნება მოცემული, არამედ ოთხი, რომელთაგან აბიტურიენტმა ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და დაწეროს. ოთხი ასარჩევი თემიდან ორი იქნება ლიტერატურული ტექსტების ანალიზი, ორი კი - ე.წ. თავისუფალი თემა.

როდესაც ე.წ. თავისუფალ თემებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ცოტა სხვა ტიპის დავალებები და არა იმგვარი, როგორიც ჩვენმა სასწავლო პროცესმა დაამკვიდრა. ვფიქრობთ, რომ თავისუფალი თემის სათაურიც მკაფიო და გასაგები უნდა იყოს (და არა ასეთი: "მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში" - თითქოს ვინმე მიხვდება, აქ რა იგულისხმება, ანუ კონკრეტულად რის შესახებ მსჯელობას სთხოვენ მოსწავლეს!).

გთავაზობთ ახალი ტიპის თავისუფალი თემის ერთ ნიმუშს:

**გიორგი მერჩულის თხზულებაში წერია:**

"ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

დაწერეთ თხზულება ***ერთიანი საქართველო და სახელმწიფო ენა*** შემდეგი მითითებების მიხედვით:

**იმსჯელეთ, ასრულებს თუ არა ქართული ენა დღეს იმავე ფუნქციას, რომელსაც მას გიორგი მერჩულე აკისრებდა;**

**იმსჯელეთ, ქართული ენის გარდა კიდევ რამ შეიძლება გააერთიანოს და გაამთლიანოს დღეს ქართველი ერი, საქართველოს საზოგადოება;**

**თქვენი აზრით, რას ნიშნავს ის, რომ ქართულ ენას დღეს სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული.**

***თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***

რაც მთავარია, ყველა წერითი დავალება ერთიანი, სტანდარტული და უნიფიცირებული შეფასების სქემით უნდა გასწორდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა გამომცდელმა ერთნაირი კრიტერიუმებით უნდა გაასწოროს ესა თუ ის ნაშრომი. ეს ყველაზე რთულად დასაძლევი ამოცანაა, მაგრამ არც ესაა გადაუჭრელი პრობლემა, მით უმეტეს, თუ ისეთი ქვეყნების გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ, სადაც დიდი ხანია ანალოგიური ტიპის გამოცდები ტარდება.

წერითი დავალების შეფასების სქემა განხილვის წესით დაბეჭდილია გაზეთ "ახალ განათლებაში", ამიტომ ამჯერად მას არ ვაქვეყნებთ. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ამ გაზეთის მუდმივ რუბრიკას "შეფასების ცენტრი გაცნობებთ", სადაც იბეჭდება ჯგუფის მიერ მომზადებული მასალები, ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების სქემები.

***"შეფასების ცენტრის" ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი სექტემბრის დასაწყისში გამოაქვეყნებს კრებულს***, სადაც დაიბეჭდება ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამა, ტესტურ კითხვათა ნიმუშები (მათ შორის, ცხადია, წერითი დავალების არაერთი ნიმუშიც), შეფასების კრიტერიუმები და სქემები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული წერითი დავალებები, მათი გასწორების კომენტარები და ქულები, აგრეთვე ტიპობრივი შეცდომების განხილვა. გარდა ამისა, საგამოცდო პრობლემატიკასთან დაკავშირებულ მასალებს ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი პერიოდულად გამოაქვეყნებს პრესაში და განათავსებს "შეფასების ცენტრის" ვებგვერდზე: www.naec.ge.

ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი საგამოცდო მოდელის მომზადებაში მრავალი გამოცდილი სპეციალისტი იღებს მონაწილეობას, მაგრამ სასურველია, საჯარო დისკუსიაში სპეციალისტებთან ერთად საზოგადოების წარმომადგენლები და დაინტერესებული პირებიც ჩაერთონ. ეს თავიდან აგვაცილებს ყოველგვარ გაუგებრობას, უსარგებლო აჟიოტაჟსა და პანიკას და საშუალებას მოგვცემს კონსტრუქციულად გადავჭრათ მომწიფებული პრობლემები.



www.24hours.ge 24 B

ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში ახალი მოდა დამკვიდრდა: პრემიერ-მინისტრის, **ზურაბ ჟვანიას** ლანძღვა. თავისთავად, ძალიან საინტერესოა ამ მოვლენის გამოკვლევა, მაგრამ ახლა ამისთვის არ გვცალია. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ახალი ტენდენციის აღწერა შეიძლება ორი მიმართულებით განვითარდეს და ეს ორი სხვადასხვა მიმართულება შესაბამისი შეკითხვებით გამოიხატება: 1) რამდენად ადეკვატურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ჟვანიას შესახებ გამოთქმული ნეგატიური თვალსაზრისები? 2) რა ფუნქციას ასრულებს ჟვანიას მისამართით აღძრული კრიტიკა დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ სინამდვილეში?

ცოტა დაფიქრება საკმარისია იმის აღმოსაჩენად, რომ მეორე მიმართულებით წარმართული კვლევა გაცილებით უფრო პროდუქტიული და სასარგებლო იქნება...

"24 საათი" 25, 26 და 27 მაისის ნომრებში აქვეყნებდა **ვახტანგ ძაბირაძის** პუბლიცისტურ "სერიალს" თუ "საგას" სათაურით *ამერიკული მარკეტინგი, რუსული დიპლომატია და ქართული ყვავილოვანი რევოლუცია*. მართალი გმული დრამაა, რომლის მოქმედებაც ორ შევარდნას შორის ვითარდება. გაუგებარი სხვა რამ რჩება: რატომ დახარჯა ექსპრეზიდენტმა თავისი დემონური ძალები ამ სპექტაკლის გათამაშებაზე, როცა ამ ზეკაცური უნარების მქონე არსებას გაცილებით გაუადვილდებოდა ქვეყნის გამოყვანა კრიზისიდან?

ლოგიკურობა და შინაგანი წინააღმდეგობების არარსებობა ყოველთვის როდია თეორიის საკმარისი მტკიცება. ასეთი იდილიური პირობები მხოლოდ მათემატიკაში გვაქვს. ისტორია კი ათასობით, ზოგჯერ მილიონობით ადამიანის გადაკვანძული ნება და ვნებაა. ამ კვანძის გახსნისას ყოველთვის გვიწევს ძაფების გაურკვეველი ნაგლეჯების არჩევა. ამ ნაგლეჯებს ფაქტებს ვუწოდებთ, მაგრამ მიღებული ძაფი არასოდესაა ერთიანი: ხან თითებს შორის ვსრესთ მას, რომ ორი ერთმანეთისთვის უცხო ნაწილი შეერთდეს, ხანაც მორცხვად ვმალავთ იატაკზე დარჩენილ ზედმეტ ნახევებს.

ვახტანგ ძაბირაძეს იგავთმიუწვდომელ სიმაღლეზე აჰყავს ედუარდ შევარდნაძის ინტელექტუალური მონაცემები: თურმე სენაკში ძროხებთან ჩალობათა ადეკვატურად შემფასებელი და მათი მუდამ ოპტიმალურად გამომყენებელი პიროვნება.

უცნაურია: ეს კაცი მართლაც ძალიან ბევრ საბაბს იძლევა უკმაყოფილებისა და კრიტიკისათვის, მაგრამ კრიტიკა თითქმის ყოველთვის ორაზროვანი და სუსტი გამოდის. ადვილია დაიწუნო **სურმანიძის** დანიშვნა, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია აჩვენო, რითი ჯობია სურმანიძეს, მაგალითად, **მუმლაძე** ან **ცისკარიშვილი**. და მაინც, თანამდებობათა მარათონისა თუ სპრინტის მეტ-ნაკლებად წარმატებულ მონაწილეებს ეშინიათ, "ჟვანიას კაცის" იარლიყი არ აეკიდოთ. იქნებ მართლებიც არიან? მე არასოდეს მქონია ამგვარ დოღში მონაწილეობისათვის საჭირო ენერგია და ალღო, მაგრამ, ვინ იცის, რა ხდება: მეც ხომ არ შევუერთო ჩემი მოკრძალებული ხმა ჟვანიას კრიტიკოსთა გუნდს? მაგალითად, ის შეიძლება გავიხსენო, რომ რუს ბიზნესმენებთან შეხვედრაზე თქვა "законные воры" იმის მაგიერ, რომ ეთქვა "воры в законе". მაგრამ აქაც რაღაც უცნაურობა გამოდის: ვერავინ იტყვის, რომ რუსული ქურდული ტერმინოლოგიის ლია, მის უწმინდესობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საეკლესიო ყურადღების მოკლება სურდეს. მაგრამ ყურადღება აღიარებასაც ნიშნავს სწორედ ეს არ სურს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში გაჩენილ უცნაურ სექტას, რომელიც მოუნათლავად გარდაცვლილ ჩვილ ბავშვებს ჯოჯოხეთში აგზავნის, ქართულ სამხმიან გალობას მიუღებლად აცხადებს, **გრიგოლ ფერაძეს** წმინდანად არ მიიჩნევს, სამაგიეროდ კი რუსეთის უკანასკნელი იმპერატორისა და მისი ოჯახის ხატებს ეთაყვანება.

აქაც ეროვნული განათლების ნაკლოვანებებმა იჩინა თავი: ჩვენში ხომ საქართველოს ისტორიას ისეთივე მეთოდით ასწავლიან, როგორითაც ჰოლივუდი მოგვითხრობს ტროას ომის ამბავს. შედეგად კი ვახტანგ ძაბირაძის ახლახან გაკრიტიკებული სტატიის ერთი ადგილი მართლდება: "**რუსეთის მე-5 კოლონას საქართველოში ნამდვილად ექნება იმის ძალა, კრიზისულ სიტუაციაში არევ-დარევა და ქაოსი მაინც გამოიწვიოს, თუ პროცესების წარმართვას ვერ შეძლებს**". სამწუხაროა, რომ ეს მე-5 კოლონა დღეს ქრისენ სონტაგიც არაა ბუნდოვანი და გაუგებარი ავტორი მისი სტილი ყოველთვის სიცხადით გამოირჩევა, ნააზრევი კი სიღრმით. მაგრამ ჩვენს კომენტატორებს არ უსწავლიათ სკოლაში აზრის დალაგება და რა ვქნათ?!

თითქოსდა ვინ უნდა გაუგოს საწყალ ერაყელ ტუსაღებს, თუ არა ქართველებმა, ვინ მიიტანს გულთან ახლოს მათ ტანჯვას და ვინ გაითავისებს მათ სიმწარეს ჩვენზე მეტად? ხომ ყველასათვის ცნობილია მდგომარეობა, როცა ღამით საკუთარ საწოლში წევხარ ტანგახდილი, მეზობელი კი დილამდე ქეიფობს, უბერავს და ხმამაღლა აღრიალებს რაღაც საზიზღარ მუსიკას. ხათრით ვერაფერს ეუბნები. დიახ, ერაყელების ტანჯვა ყველას გამოვლილი გვაქვს, აი, ამერიკელების თვალსაზრისი კი ვერ გაგვიგია. რაის ფოტოები? რაის ეგსჰიბიციონიზმი? დედას ვფიცავარ, ვინცხას ჩაწყობილი იქნება მაი ყველაფერი ბუშს გაუჩალიჩეს, ბოიშვილი ვიყო... ხომ ნატურალური ინტერპრეტაციაა? ჰოდა, დავრჩეთ, ბატონო, ჩვენი ტრადიციების ფარგლებში, რაღა სიუზენ სონტაგს დავუწყეთ ჯაჯგური: კაი ხანია გამევიდა ესენი ხორციელ ვნებას აღძრავენ რეალური ადამიანისთვის სრულიად შეუძლებელი რაოდენობის სექსით, მელ გიბსონი კი "ლოცვით განწყობას" ქმნის სრულიად შეუძლებელი რაოდენობის ტანჯვით. ამ თვალსაზრისით, არავითარი განსხვავება არაა გიბსონის ფილმსა და **ალენ კარის** წიგნს შორის: ერთი ქრისტიანობაზე მაყურებლის მოქცევას ლამობს, მეორე მკითხველს თამბაქოს მოწევისაგან გადაჩვევას ჰპირდება; ორივე გარკვეული ტიპის სოციალობაში ინტეგრირებულ ადამიანს გულისხმობს და არ ითვალისწინებს იმას, რასაც, საღვთო წერილის თანახმად, თვით უფალი ღმერთიც არასოდეს ართმევდა ადამიანს: თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

თავისუფლება ჩვენს ავტორსაც არ ეპიტნავება: "**ბევრია შედარება სკორსეზესა და ასევე სხვა ფილმებთან, რასაც საფუძველი არ აქვს, რადგანაც ეს ფილმები არაა სახარების ეკრანიზაცია, არის თავისუფალი ნააზრევი ამ თემაზე**". გიბსონის ფილმი "ეკრანიზაცია" ყოფილა! ნეტა, რას ნიშნავს "ეკრანიზაცია"? ანდა პაზოლინის ფილმი "მათეს სახარება" რატომ არ შე-



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




გითხრათ, ამერიკულ მარკეტინგს (არ ვიცი, რატომ მაინცდამაინც სიტყვა "მარკეტინგი" გამოიყენა ავტორმა) ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა, ოდნავ მეტად ჩანს რუსული დიპლომატიის ამბები. ტექსტი, ძირითადად, 1999-2003 წლების ისტორიას ეხება და მისი ძირითადი აზრი თვით ავტორის მიერ ასეა ჩამოყალიბებული: "**2001 წლის ნოემბრიდან გადადგომამდე ე. შევარდნაძის მოქმედების სრულიად ლოგიკური ჯაჭვი საკმარის საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საქართველოში განხორციელებულ პოლიტიკურ სპექტაკლში გადამდგარი პრეზიდენტი თანაბარუფლებიანი მონაწილე იყო**". რას ნიშნავს "თანაბარუფლებიანი მონაწილე"? ამის გასაგებად დავუკვირდეთ გამოთქმას: "საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური სპექტაკლი". მთელი ტექსტის მამოძრავებელი იდეა შეიძლება დავახასიათოთ როგორც შეთქმულების თეორიის შერბილებული ვარიანტი: 2001 წელს შევარდნაძე უკვე მიხვდა, რომ ვერაფრით გააგრძელებდა თავისი ძალაუფლების ვადას, ვერც ქართველი პოლიტიკოსებისაგან მომდინარე რაიმე გარანტიებს დაეყრდნობოდა, ამიტომ 2001 წლის ნოემბერში "რუსთავი 2"-ის ოფისში უშიშროების შევარდნის შემდეგ მეთოდურად დაიწყო თავისი გადადგომის გეგმის განხორციელება, რომლის მრავალნაირად დატოტვილი სცენარი ზუსტად ორი წლის თავზე პარლამენტის დარბაზში სააკაშვილის შევარდნით უნდა დასრულებულიყო.

ავტორი თავისი მოდელის გასამაგრებლად მის ლოგიკურობას ეყრდნობა, ხოლო გამოყენებულ მეთოდს ინდუქციურს უწოდებს: სხვა სიტყვებით, ზოგადი დასკვნები მას კონკრეტული ფაქტების დახვავებიდან გამოაქვს. გამოდის, რომ ვარდების რევოლუციის მთელი ზეიმი სინამდვილეში შევარდნაძის მიერ დადგსვლა რევოლუციურ სამეულთან ფარული თანამშრომლობა ყოფილა, ასლან აბაშიძის მონახულება კი 2004 წლის მაისის მოვლენების საფუძველი. რევოლუციამ თურმე იმიტომ გაიმარჯვა, რომ ამ გამარჯვებას ორი წლის განმავლობაში თვითონ შევარდნაძე ამზადებდა. თურმე წუთების სიზუსტით ითვლიდა გადასადგმელ ნაბიჯებს, ითვალისწინებდა ათობით პერსონაჟის შესაძლო რეაქციას და იმასაც ახერხებდა, სახეზე მუდამ იდიოტური გამომეტყველება ჰქონოდა, აქაოდა არაფერი ვიციო. მართალი გითხრათ, არა მჯერა, რომ ასეთი გენიოსები მხოლოდ საკუთარი ოჯახის გაძლომას ისახავდნენ ცხოვრებისეულ მიზნად. მაგრამ ავტორს განა გადაარწმუნებ? მისი აზრით, "ბურჯანაძე-დემოკრატებს" იმისთვისლა ეყოთ დამოუკიდებელი შესაძლებლობები, რომ შვიდპროცენტიანი ბარიერი გადაელახათ, "ნაციონალების" წარმატება კი თავიდან ბოლომდე მარტოოდენ ექსპრეზიდენტის დამსახურებაა. ავტორის თანახმად, საქართველოში მხოლოდ შევარდნაძეა დაჯილდოებული ნებითა და ნების აღსრულებისთვის საჭირო უნარით. დანარჩენები უბრალო ტიკინები არიან მის ხელში. და აქაც დასაწყისში უკვე ნახსენები ახალი პოლიტიკური მოდის გამოხატულებაც: "**დაიმსხვრა კიდევ ერთი მითი ზურაბ ჟვანიასი, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსისა და კარგი ორგანიზატორისა**". რატომ? ვახტანგ ძაბირაძის ტექსტიდან სულ სხვა რამ გამომდინარეობს: ავტორს ძალიან უნდა ზურაბ ჟვანიას დაკნინება, ჟვანია მის ტექსტში ხან "ვერ რისკავს", ხან "ვერ ბედავს", ხან "არ შეუძლია", მაგრამ ამ სურვილით შეპყრობილი ავტორი ვერც ამჩნევს, რომ სრულიად საწინააღმდეგო მიზანს აღწევს: დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ამ ტექსტშიც წარმოგვიდგება როგორც საკუთარ შესაძლებარცოდნა ნაკლია... ისა სჯობს, თავი გავანებო ამ კაცს და ისევ ჩემს საქმეს მივუბრუნდე.

მაინც რატომ ჩნდება ვახტანგ ძაბირაძის მიერ შედგენილის მსგავსი ტექსტები ჩვენს რეალობაში? ამაზე ფიქრი დავიწყე და ის გამახსენდა, სასკოლო ისტორიის გაკვეთილებზე დაუღალავად რომ გვინერგავდნენ საქართველოს დამპყრობელთა მიმართ ზიზღსა და მრისხანებას. შედეგად, ტურისტული საგზურებით შუა აზიაში წასული ქართველები აუცილებლად აფურთხებდნენ თემურ ლენგის საფლავს. ალბათ საუკუნეების წინათ გამქრალი რეალობის ცოცხალი სიძულვილი ძალიან საჭირო რამაა, ამ საჭიროობას ჩემი გონება ვერ წვდება, მაგრამ მე სულ სხვა რამეს ვხედავ. მანკიერი მეთოდოლოგიით ნასწავლი ისტორიიდან მომდინარეობს შეთქმულების თეორიის პოპულარობა (ნეტა რომელ პარლამენტში საუბრობენ ასე პირდაპირი მნიშვნელობით მასონებზე, ლუციფერზე და ათას რამე-რუმეზე?), არგუმენტაციის ჩამოყალიბების უუნარობა.

წარსულ მტარვალთა სიძულვილზე მეტად დღევანდელი სკოლის რეფორმაა საჭირო. ამიტომაც დაიწყო აქტიური მოქმედება განათლების სამინისტრომ. "24 საათმა" 26 მაისს სტატია მიუძღვნა მის საქმიანობას (**ნინო ცინცაძე**, *პირველი 100 დღე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში*). აქ სამინისტროს მიერ გაკეთებულის მოკლე ანგარიშიცაა წარმოდგენილი და, სხვათა შორის, წერია: "**შეიქმნა სამინისტროს საკონსულტაციო საბჭო, რომლის მიზანიც განთლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებაა**". ამ საბჭოს წევრი მეც გახლავართ და მღვდელი **ზაზა თევზაძეც**, რომლის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ახლახან გავიგე, რომ მამა ზაზას კათოლიკოს-პატრიარქის სახელით დაუკავშირდა დეკანოზი **ზაქარია მაჩიტაძე** და საბჭოს დატოვება უბრძანა. ძნელი დასაჯერებეტიანობის სამოსელში იმოსება და საეკლესიო ენაზე მეტყველებას ცდილობს. მართალია, ეს მცდელობა არსებითად წარუმატებელია, მაგრამ განა ვინმე ამჩნევს ამას? ასე თავგამოდებით იმიტომ ხომ არ ცდილობენ ჰაგიოგრაფიის სწავლების დღევანდელი მეთოდიკის შენარჩუნებას, რომ მომავალშიც ვერავის ეყოს გემოვნება და კულტურა ნამდვილი საეკლესიო მეტყველების გასარჩევად?..

დიახ, ჩვენში ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ თუ ბევრჯერ წარმოთქვამ "შაქარი, შაქარი" სასაზე სიტკბოს იგრძნობ. ამის საპირისპიროდ, ან იქნებ აქედან გამომდინარე, ხშირად სრულიად ვერ იგებენ, რისი თქმა სურთ სხვებს. საბუთად "24 საათში" გამოქვეყნებული ორი სტატია ვიკმაროთ. ორივე ფიზიკურ ტანჯვას ეხება.

პირველი ტექსტი (ხელმოუწერელია 27 მაისი, *ფოტოები ჩვენ ვართ*) განიხილავს **სიუზენ სონტაგის** ამავე სათაურის ნარკვევს, რომელიც ეძღვნება ერაყელი ტყვეების წამებას. სტატიიდან ვერაფერს ვიგებთ: რისი თქმა უნდოდა ამერიკელ ავტორს? რატომ მოიყვანა პარალელად **ენდი უორჰოლის** შემოქმედება? რას წარმოადგენს ნარკვევი, მოვლენის ახსნას თუ შეფასებას? სამაგიეროდ ძალიან ბევრი "ჭკვიანური" სიტყვაა დახარჯული და თან (რაც ყველაზე საკვირველია) რაღაც ამაღლებული და ამასთან მამხილებელი პათოსიც ეტყობა ტექსტს: "**სისასტიკე და ადამიანური ფასეულობების გაუფასურება საზოგადოებისათვის მისაღები, მისი ქვენაგრძნობებისათვის სტიმულის მომცემი მოვლენაა და "ავადმყოფური ეგსჰიბიციონიზმი "უსირცხვილო კულტურად" ირაცხება" და ძალადობის ფანტაზიები და პრაქტიკა კარგ გასართობად, Fun-ად ითვლება**". ჯერ ხომ წინადადებაა დაულაგებელი, მეორეც, იმდენჯერ იხურება და იხსნება ბრჭყალები თუ წინწკლები, რომ ვერ იგებ, სად იწყება და მთავრდება ციტატები. ციტატები კია? საქმე კი მეტად მნიშვნელოვან რამეს ეხება: ძალადობას. სიუზმაი ქალი მაგ ასაკიდან!

მეორე ტექსტი (27 მაისი, **ნინო ამონაშვილი-თევზაძე**, *ფილმი, რომელიც ლოცვის განწყობილებას იწვევს*) **მელ გიბსონის** გახმაურებული ფილმის განხილვა და, როგორც ეტყობა, "24 საათში" ერთი კვირის წინ გამოქვეყნებულ **ნიკა იმნაძის** შესანიშნავ სტატიაზე გამოხმაურებაა. აქაც უსაშველოდ ბევრ ეგზალტაციას ვაწყდებით: "**ბევრმა დასვა უარყოფით კონტექსტში კითხვა არის კი ფილმში სულიერება? კარგად დავუკვირდეთ, სადმე ხომ არ გამოკრთის ისეთი სუბსტანცია, რასაც ეს სახელი დაერქმევა? მართალია, კინემატოგრაფია ვიზუალური ხელოვნებაა, მაგრამ სულიერების დაფიქსირებას სამყაროში თავისი კანონები აქვს. ამას დანახვა სჭირდება, დანახვა სულიერი თვალით**". არ ვიცი, მაქვს თუ არა სულიერი თვალი, მაგრამ სტატიის ტექსტში ბევრი ისეთი "სუბსტანცია გამოკრთის", რომელსაც მხოლოდ აბდაუბდა თუ დაერქმევა.

რომელ თეორიას ეყრდნობა ავტორი, რომელი მეთოდით სარგებლობს? "ქრისტეს ვნებანი" მას სახარების რეალისტურ ინტერპრეტაციად მიაჩნია. გულუბრყვილოდ ჰგონია, თითქოს რეალიზმი რეალობის ადეკვატური ასახვაა. სინამდვილეში კი რეალისტურად ის ტექსტი (გინდ სიტყვიერი და გინდ ვიზუალური) ითვლება, რომელიც ადეკვატურად რეალობას კი არა, ამ რეალობაში ყველაზე გავრცელებულ მითებს ასახავს. ჩვენ სიცილით ვიხოცებით ინდური კინოს პირობითობებზე, ინდოელებისთვის კი სწორედ ესაა ყველაზე ნაღდი რეალიზმი. მელ გიბსონსაც სხვა არაფერი გაუკეთებია: აილო ის, რაც მის საზოგადოებაში ყველაზე საზარელ რამედაა დეკლარირებული და ეკრანზე სახარება კი არა, ამერიკელი საზოგადოების "ყველაზე საშინელი კოშმარი" (ტიპიურად ჰოლივუდური გამოთქმაა!) განახორციელა. თანაც იგივე სწორხაზოვანი მეთოდი გამოიყენა, რომელსაც უკვე მრავალი წელია იყენებენ პორნოფილმების რეჟისორები. იძლება განვსაზღვროთ ამ ტერმინით? მაგრამ ყველაზე დიდ გაკვირვებას შემდეგი ადგილი იწვევს: "**რატომ არ უნდა იყოს ყველაფერი ისე, როგორც ამას გიბსონი ასახავდა? უფლისათვის ხომ ყოველი ადამიანი და მისი მიტანილი ძღვენი განუმეორებელი და უძვირფასესია**". XIX საუკუნის რუსი ეპისკოპოსი წმ. თეოფანე დაყუდებული (ვიშენსკი) ამბობდა, რომ ყოველი ადამიანი და ყოველი მისი საქმე ღვთის წინაშე საძაგელიაო (мерзость пред Богом) ეს კაცი პრინციპული მაინც იყო და თუმცა ადამიანს საშინლად აკნინებდა, ღმერთი მაინც არ გამოსდიოდა უგემოვნო.

ჩვენ კი ნუთუ იმდენად აღარ შეგვრჩა გემოვნება და კულტურა, რომ საკუთარი სიტყვები გავაკონტროლოთ და ის ვთქვათ, რისი თქმაც ნამდვილად გვსურს? ვიცი, ძნელია, მით უმეტეს მაშინ, როცა სკოლაში ლიტერატურის მაგიერ სამშობლოს სიყვარულის გაკვეთილებს გადიხარ. აი, 26 მაისსაც **ლუკიანე სამოსატელის** "სამშობლო" გამოაქვეყნა "24 საათმა". ნეტა მის "ორ სიყვარულს" რომელ დღესასწაულზე გამოაქვეყნებს?

სამაგიეროდ, ძალიან მომეწონა 25 მაისს დაბეჭდილი ინტერვიუ **სალომე ასათიანთან**: ამ ტექსტმა ჩვენს რესპონდენტთან ხანგრძლივი საუბრის სურვილი გამიჩინა. იქნებ როგორმე გავიხსენო პრეს-ომბუდსმენის კარგა ხნის დავიწყებული ტრადიცია და სასაუბროდ მეც მოვიწვიო სალომე რედაქციაში. დღეს ქართულ მედიას ნამდვილად სჭირდება თვითრეფლექსია, თანაც იმ დონეზე კი არა, "რუსთავი 2"-ის წამყვანები რომ გამოდიან სარეკლამო ეთერში და დამოუკიდებლად ლაპარაკს ცდილობენ. მართალია, ყველანი ვამჩნევთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან არ ჯობია "202"-ის დამლაგებლის ნაამბობს, მაგრამ იმასაც ნუ დავუკარგავთ, რომ რაღაცის თქმის აუცილებლობა იგრძნეს.

ვიაზროვნოთ, მეგობრებო, ვიაზროვნოთ, რადგან საზოგადოებას იდეები ააყვავებენ და არა გრანტები!



# ლიზა ლეონსკაია თბილისში

## გამოჩენილ პიანისტს სახელმწიფო კონსერვატორია მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

დღეს ლიზა ლეონსკაიას ავსტრიელ პიანისტად მოიხსენიებენ. შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი პიანისტმა სწორედ ვენაში გაატარა. ვენის მუსიკალური ტრადიციების ფონზე ჩამოყალიბდა ლეონსკაიას პიანიზმის ძირითადი თავისებურებებიც. ლიზა ლეონსკაია - მოცარტის, შუბერტის, ბრამსის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი თბილისში დაიბადა და მუსიკალური განათლებაც თბილისში მიიღო. ლიზა ლეონსკაიას ძალზედ დაძაბულ საკონცერტო გრაფიკში გუშინ თბილისიც აღინიშნა. კონსერვატორიის დიდ დარბაზში პიანისტის კონცერტი ანშლაგით გაიმართა.

ლიზა ლეონსკაიას თბილისში დიდ ქველმოქმედად იცნობენ. ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების ხელშეწყობის მიზნით, მან ფონდი SOLO დააარსა, რომელსაც, ძირითადად, თვითონ უწევს სპონსორობას. დღეს ის თბილისის კონსერვატორიის ერთ-ერთი მეურვეა: აწყობს კონკურსებს, სტიპენდიებს უნიშნავს ნიჭიერ სტუდენტებს, ეხმარება მათ დასავლეთში განათლების მიღებაში.

ლიზა ლეონსკაიას შემოქმედებითი ცხოვრება პირობითად ორ ეტაპად შეიძლება გაიყოს. პირველი ნაწილი საქართველოს და ყოფილ საბჭოთა კავშირს უკავშირდება. ის ჯერ თბილისში სწავლობდა, შემდეგ მოსკოვის კონსერვატორიაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იგი ბუქარესტის, პარიზის, ბრიუსელის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი გახდა. ლიზა ლეონსკაია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონკურსებში გამარჯვებას. სწორედ კონკურსების შემდეგ მოიარა მან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა კონცერტებით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ლეონსკაიას შემოქმედებით ცხოვრებაში მისი სვიატოსლავ რიხტერთან თანამშრობლობა გახლდათ. ის საფორტეპიანო დუეტებით


ელიზავეტა ლეონსკაია

გამოდიოდა მეოცე საუკუნის უდიდეს პიანისტთან. ლეონსკაია რიხტერს თავის კერპად აღიარებს. ლეონსკაიას საბჭოთა პერიოდი ლისტთან, შოპენთან, ფრანგ იმპრესიონისტებთან ასოცირდება. ლიზა ლეონსკაია დღემდე გამოდის გამოჩენილ მევიოლინე ვიქტორ ტრეტიაკოვთან, ბოროდინის კვარტეტთან ერთად. ამ უკანასკნელთან მან შოსტაკოვიჩის მრავალი ნაწარმოები შეასრულა.

70-იან წლებში ლეონსკაია ვენაში გადავიდა. სიმერინგი - ვენის გარეუბანი, რომელიც მრავალი ხელოვნების შემოქმედებითი წყარო გამხდარა, ლეონსკაიას ფანტაზიასაც იპყრობდა. ვენის ტრადიციებმა გააღვიძეს ინტერესი შუბერტის, ბრამსის, მოცარტის მიმართ.

ლეონსკაიამ მოცარტის ყველა საფორტეპიანო სონატა შეასრულა. პიანისტი შუბერტისა და ბრამსის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლადაც აღიარეს. კრიტიკოსები შუბერტის სონატების ლეონსკაიასეულ ინტერპრეტაციას არაორდინარულად აფასებენ - **"ასეთ ბრწყინვალებასა და ენერგიას ბეთჰოვენის ტრადიციასთან მივყავართ"** (სიუზენ ნიკლასი).

ლეონსკაიას გუშინდელი კონცერტიც პოზიტიური ნიშნით არაორდინარული იყო. საფორტეპიანო პიესების, ფანტაზია "მოხეტიალეს", სონატას ენერგიული დინება მკვეთრად ენაცვლებოდა "რომანტიკულ ოცნებებს". თბილისში გამართული კონცერტის პროგრამაც სწორედ შუბერტის ნაწარმოებებით იყო შედგენილი. როგორც მუსიკათმცოდნე გულბათ ტორაძემ აღნიშნა: **"შუბერტის შესრულება იყო სწორუპოვარი, მე პირადად საუკეთესოდ ელისო ვირსალაძეს ვთვლი, თუმცა ლეონსკაია მას არაფრით ჩამოუვარდებოდა."** ლეონსკაიას ადრეული პერიოდის მომსწრე მუსიკოსებმა ისიც აღნიშნეს, რომ მიუხედავად არცთუ ახალგაზრდული ასაკისა, პიანისტი დღესაც კონცერტიდან კონცერტამდე იზრდება.

# გადაყარეთ უგემოვნო ძვირიანი ნივთები და დაიწყეთ ცხოვრება თავიდან

თეონა ჯაფარიძე

მოკლედ და კონკრეტულად: - გუგა კოტეტიშვილის დიზაინი ამსხვრევს "მეშჩანის" ოცნებებს, ნერვიულ სტრესებსა და წარმოსახვებს ე. წ. "კარგ ცხოვრებაზე" და მიუხედავად იმისა, რომ კომფორტულად და მოხერხებულად შეგიძლიათ მოკალათდეთ მის მიერ შექმნილ სავარძელში, მაინც ამ დიზაინერის სტილი თუ ყოველდღიური ყოფა ნონკომფორმისტულია. გუგა თავის მიერ შექმნილი ნივთებით უბრალო და ბედნიერ ცხოვრებას გვასწავლის.

ერთი სიტყვით, კარგა ხანია უკვე თბილისში არსებობს სიტყვათა ისეთი შეთანხმებები, როგორიცაა გუგას ავეჯი, გუგას ჩანთები, გუგას სარკეები, ამიტომ ლოგიკურია, რომ გაჩნდა გუგას სალონიც, რომელიც ძველი თბილისის იმ უბანში გაჩნდა, სადაც შედარებით ლოკალურადაა თავმოყრილი რამდენიმე სამხტვრო გალერეა, სახელოსნოები, რასაც "მი-fa-სი"-ს მაღაზიის წინ შაბათობით "ზუმბას" ცოცხალი აქციებიც დაემატა. ერთი სიტყვით სიონის მარჯვენა და მარცხენა მხარე - შარდენის ქუჩა თუ ერეკლეს მოედანი ქართულმა არტ-წრეებმა აითვისეს და ლოგიკურია, რომ გუგას სალონმაც აქ, ერეკლეს მოედანზე დაიდო ბინა:

"ამ კარზე დიდხანს ვხედავდი წარწერას - ქირავდება, ჰოდა გულმა აღარ მომითმინა, მინდოდა ისეთი გარემო შემექმნა, სადაც ჩემი ნივთები გამოიფინება, თანაც გაიყიდება და თანაც თითო ფინჯანი ყავაც დაილევა"- ამბობს დიზაინერი. ზუსტად ასეთი გარემო და სწორედაც რომ გუგას ნივთები აკლდა ერეკლეს მოედანს და ესეც გაჩნდა. გაჩნდა, რა თქმა უნდა, უხმაუროდ და პომპეზურობის გარეშე, როგ-


გუგა კოტეტიშვილი ახალ სალონში

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ორც ეს გუგა კოტეტიშვილისთვისაა დამახასიათებელი. გუგას ცნობილ სავარძლებში მოკალათებული სტუმრების ნაწილი სალონის წინ, ქუჩაში მზეს ეფიცხებოდა, ნაწილი კი გუგას მიერ "მოპოვებულ" პატარა ფართში მის ნივთებს ათვალიერებდა: თეთრად შეღებილ ოთახის თაროებზე ერთიმეორის გვერდით დიზაინერს თავისი ხელით შექმნილი ნაირნაირი ფორმისა და ზომის ქილები და ბოთლები ჩამოემწკრივებინა, გროვებად დაწყობილ თეთრ კერამიკის ჭიქებს გუგას საავტორო ავეჯის გრაფიკული გამოსახულებები ამშვენებს. პატარა ოთახის ოთხივე კედელი სავსეა ხის ჩარჩოებიანი სარკეებით. სალონში რამდენიმე მაგიდაც დგას სქელი მინის გამჭვირვალე ზედაპირითა და წვრილი, დახვეწილი კარკასით შეკრული. ყველაზე ორიგინალურად ე. წ. სველი წერტილი გამოიყურებოდა: - მხოლოდ გუგას თუ შეუძლია გვიმრის მომწვანო ფოთლებით მოხატულ ნიჟარას ქვეშ დიდი მწვანე კერამიკის ამფორა შეუდგას. მოკლედ, აქ მოსული ადამიანი არ მოიწყენს. ჰო, მართლა კედლის ერთ თაროზე ირაკლი ჩარკვიანის ალბომი "სავსე"-ც გამოედგა დიზაინერს გასაყიდად და როგორც მითხრა, კოტე ყუბანეიშვილს ელოდა თავისი ახალი წიგნებით, რომ ისიც თაროზე შემოედო. " ამ სალონში მხოლოდ ჩემს და ჩემი მეგობრების შემოქმედებას და იდეებს გავყიდი, თანაც არც ისე ძვირად" - მითხრა მან. ჰოდა თუ გინდათ იცხოვროთ მარტივად და სადად და თავი, ამავე დროს, მეფურად იგრძნოთ, ან თუ ორიგინალური საჩუქრით გსურთ ვინმე გაახაროთ, მიმართეთ გუგას სტილს. ეს იაფიც დაგიჯდებათ და ცხოვრებასაც უფრო ნათელ ფერებში შეხედავთ.

# ინტელექტუალი მხატვარი TMS-ში

თეონა ჯაფარიძე

ლევან ლალიძის პერსონალური გამოფენის გახსნაზე გალერეა TMS-ში ბევრი დამთვალიერებელი მივიდა. პროფესიონალები კი, ანუ სხვადასხვა თაობის მხატვრები ახლოს მიდიოდნენ ნამუშევრებთან, დიდხანს ყურადღებით აკვირდებოდნენ ტილოსა და მონასმებს, შემდეგ ავტორთან ბრუნდებოდნენ და მაგრად ართმევდნენ ხელს. ქართულ სახელოვნებო სივრცეში შეფასების ასეთი უსიტყვო, ჯანსღი ფორმა, უფრო სწორად ნაკლებსიტყვიანი და მაღალფარდოვანებას საერთოდ მოკლებული შეფასებები იშვიათია იმიტომ რომ, ძალზე ბევრია ისეთი ხელოვნება, რომლის შესაფასებლად ყალბ პათეტიკასა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს მიმართავს ხოლმე ჩვენი თითქმის ასეთი ხელოვნების იდენტური საზოგადოება. მაგრამ შაბათს, გალერეა TMS-ში მისული დამთვალიერებელი უძლური აღმოჩნდა ჩვენში დამკვიდრებული ამ დაუწერელი კანონის წინაშე.

ლევან ლალიძის ფერწერა ბევრჯერ გამოფენილა TMS-ში. შაბათ საღამოს კი საგამოფენო დარბაზი სავსე იყო მისი სულ ახალი ტილოებით. სტილი და ხელწერა იგივე რჩება: ფაქტურის შეგრძნება, სალებავის რამდენიმე ფენის არსებობის ღიად დემონსტრირება, გასაოცარი ფერები და დამთვალიერებლის ასოციაციური ჭვრეტა.

უამრავ სტუმარს შორის (მათგან ბევრი ხელოვნებათმცოდნეც იყო) მე მაინც ბატონი ლევან ბერძენიშვილი ამოვარჩიე - დილეტანტი ხელოვნებათმცოდნეობაში და ინტელექტუალი. სწორედ მისეული შეფასება მომეჩვენა საინტერესოდ: "ჩემი საყვარელი მხატვარია და ვერ დავმალავ სიმპათიებს. მის


ლევან ლალიძე

მხატვრობაში საერთოდ არ ჩანს ინერცია, რომელიც ხშირად მოჰყვებათ ხოლმე საბჭოთა ეპოქაგამოვლილ მხატვრებს, პირიქით ის სრულიად უინერციოა წარსულის მიმართ, (საბჭოთა ეპოქას ვგულისხმობ). მისი მხატვრობა ინტელექტუალურია, მაგრამ არა ცივი, როგორც ეს ხშირად ინელექტუალიზმისთვის არის დამახასიათებელი. ადვილად ამოცნობადია მისი ხელწერა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მარტივია. ამ ხაზებში უფრო მეტ თანამედროვეობას ვგრძნობ, ვიდრე სხვადასხვა რთული საშუალებებით გადმოცემულ ხელოვნებაში. მე მაქვს ბედნიერება და მისი ერთი ტილო სახლში მიკიდია, სადაც ისევე როგოც მის ყველა დანარჩენ ნახატში, ბარიერის ანუ კედლის არსებობა სულ იგრძნობა. ახალ ნამუშევრებში კი ვხედავ, რომ ეს კედელი უკვე შესუსტებულია."

თავად ტილოების ავტორს თავდაპირველად ტექნიკის შესახებ ვკითხე: "ტექნიკა რთულია და საკმაოდ ვწვალობდი მის მისაღებად. თავდაპირველად, პირველ ეტაპზე მაქსიმალურად ვაკვირდები ძველ ოსტატებსა და ძველ ქართულ მხატვრობას, მერე ყველაფერი ამისაგან ვცარიელდები იმისათვის, რომ თავისუფალმა და თავისუფლად ვხატო, ზოგჯერ საკუთარი გამოცდილებაც უნდა უგულვებელყო რომ თავისუფალი იყო.

თავისთავად მხატვარი რომ ხარ, ეს არაფერს ნიშნავს. უბრალოდ ვალდებულებას გრძნობ, თითქოს რაღაც დაინახეო და ეს რაღაც აუცილებლად უნდა გადმოსცე, ოღონდ ისე, რომ არ მოიტყუო. შეიძლება სიმართლე იმ ხარისხში ვერ თქვა, როგორშიც რეალურად არის, მაგრამ მთავარია არ მოიტყუო." - ამიხსნა მხატვარმა.

# კიდევ ერთი "ხელოვნების ზეიმი"

## ბორჯომი მორიგი ფესტივალისთვის ემზადება

მადი სერებრიაკოვა

წელს საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს 40 წელი უსრულდება. უკვე მესამე წელია ორკესტრის ბაზაზე ბორჯომის ხეობაში საერთაშორისო ფესტივალი "ხელოვნების ზეიმი" იმართება, რომელიც საქართველოში ყოველწლიურად მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსებს იკრებს. ორკესტრისთვის, რომელიც ბოლო ათწლეულის მანძილზე თითქმის ყოფნა-არყოფნის პრობლემის წინაშე იდგა და დღემდე გახლეჩილი ისტორიისა და მუსიკალური ტრადიციის სიძნელეებს აწყდება - ეს ფესტივალი ძალზედ სერიოზული მონაპოვარია. "ხელოვნების ზეიმის" მესამე გამოშვება 8-17 ივლისს კვლავ ბორჯომში, კომპოზიტორთა სახლში, ახალი ძალებითა და ახალ საპატიო სტუმრებთან ერთად გაიმართება. როგორც ყოველთვის, ფესტივალს ამჯერადაც საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია უზრუნველყოფს.

ბორჯომის ფესტივალი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო:

პირველ რიგში, იგი საქართველოში იკრებს მსოფლიოში მოღვაწე საუკეთესო მუსიკოს-შემსრულებლებს და კამერული მუსიკის მოყვარულთ (და არა მხოლოდ) საშუალება აქვთ კონცენტრირებულად, სულ რაღაც ათი დღის განმავლობაში ისეთ მუსიკოსებს მოუსმინონ, როგორებითაც თანამედროვე ქართული მუსიკალური სივრცე მაინცდამაინც განებივრებული არ არის.

მეორემხრივ, ფესტივალის ორგანიზატორები, იმთავითვე აქცენტს ისეთ პროგრამაზე აკეთებენ, რომელიც საქართველოში იშვიათად სრულდება და დღეს მსოფლიოში აქტუალურ მუსიკალურ ტენდენციებს ასახავს. ამასთან, მრავალფეროვანი პროგრამა თითქმის ყველა სტილის თაყვანისმცემელს აკმაყოფილებს - ბაროკოდან - პოსტმოდერნამდე, ფოლკორიდან - ავანგარდულ ჯაზამდე.

ფესტივალის კიდევ ერთ უდავო ღირსებას წარმოადგენს ის მომენტიც, რომ იგი საქართველოს კულტურული ცხოვრების დეცენტრალიზაციისკენაა მიმართული და მნიშვნელოვან საეთაშორისო ღონისძიებაში ბორჯომის რეგიონის ჩართვას უწყობს ხელს.

როგორც ცნობილია, გასულ წელს რუსეთში ლიანა ისაკაძის სახელობის მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსი გაიმართა. "ხელოვნების ზეიმის" სამხატვრო ხელმძღვანელი სწორედ გამოჩენილი ქართველი მევიოლინე გახლავთ და ბუნებრივიცაა, რომ წლევანდელ ფესტივალში ცნობილ და სახე-


ლიანა ისაკაძე

ლმოხვეჭილ მუსიკოსებთან ერთად, მისი სახელობის კონკურსის ლაურეატებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ტრადიციულად ფესტივალს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი და თავად ლიანა ისაკაძე გახსნის. ისაკაძეს პარტნიორობას ამჟამად ინგლისში მოღვაწე შესანიშნავი დირიჟორი და მევიოლინე დიმიტრი სიტკოვეცკი გაუწევს. პირველი კონცერტი, ძირითადად, კლასიკური პროგრამით - ჰაიდნისა და ბახის კონცერტებით იქნება შედგენილი. სახელმწიფო კამერული ორკესტრი კიდევ რამდენიმე კონცერტს გამართავს ფესტივალის ფარგლებში. მათ შორის, წარმოშობით სამხრეთ კორეელ, ამჟამად ავსტრიაში მოღვაწე დირიჟორ იონ ქ.ლისთან ერთად, რომელიც თავის დროზე ჰერბერტ ფონ კარაიანთან მუშაობდა. კიდევ ერთი ცნობილი დირიჟორი, რომელიც მასპინძელ ორკესტრთან ერთად წარდგება ლიტველი გინტარას რინკევიჩიუსია. აღნიშნულ კონცერტებზე სოლისტები ისაკაძის კონკურსის ლაურეატი ვალერი სოკოლოვი, გერმანელი მევიოლინე ჯენი აბელი და პიანისტი არკადი ცენციპერი იქნებიან.

ფესტივალზე დაგეგმილია კამერული მუსიკის საღამოც, რომელსაც მაქსიმ ვენგეროვი და ევგენია სტარცევა წარმოადგენენ. ტრადიციული ჯაზის საღამო კი ფესტივალის მუდმივ სტუმარს ვლადიმირ ტარასოვსა და მის ტრიოს "განელინ-ტარასოვ-ჩერკასინს" დაეთმობა. ვლადიმირ ტარასოვი "ხელოვნების ზეიმის" ერთ-ერთი ყველაზე ერთგული სტუმარია. წელს მან გასული ფესტივალების ამსახველი გამოფენაც მოამზადა, რომელიც უკვე წარადგინა სხვადასხვა ღონისძიებებზე.

მეტად არაორდინარულ საღამოს რუსული "ბალალაიკების ტრიო" წარადგენს. გასულ წელს მოსკოვში გამართულ საქართველოს კულტურის დღეებზე ლიანა ისაკაძემ "ბალალაიკები ტრიოსთან" ერთად ძალზედ მახვილგონივრული პროექტი განახორციელა: ვიოლინოსა და ბალალაიკებისთვის გადამუშავებული "სულიკო" და Подмосковные Вечера შეასრულა. ამ კონცერტისთვის კი სახელდახელოდ შექმნილი ანსამბლი იგივე შემადგენლობისთვის გადამუშავებულ პაგანინის სონატებს შეასრულებს.

ფესტივალზე დაგეგმილია პოეზიის საღამო, რომელსაც თამაზ ჩაჩავა წარმოადგენს და კინოს საღამოც. ეს უკანასკნელი ორ ფილმს დაეთმობა: სანდრო ვახტანგოვის "პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში", რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ლიანა ისაკაძისა და საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მიერ განხორციელებულ არაჩვეულებრივ მუსიკალურ მომლოცველობას ასახავს. მეორე ფილმი კი გერმანელ რეჟისორ ანდრეა მეიერ-ლუენს ეკუთვნის. "ლიანა ისაკაძის პორტრეტები" ცნობილი მევიოლინესა და კამერული ორკესტრის შემოქმედებას ეძღვნება.

ფესტივალის თეატრალური ნაწილი თეატრ "ვერიკოს" დაეთმობა. ასევე, "ხელოვნების ზეიმი" გია ჯაფარიძის გამოფენასაც უმასპინძლებს.

ფესტივალის დახურვაზე კვლავ საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი წარდგება. ამჯერად მას იაპონიაში მოღვაწე ქართველი დირიჟორი გიორგი ბაბუაძე უდირიჟორებს. გიორგი ბაბუაძე ცოტა ხნის წინათ ორკესტრის მთავარ დირიჟორად დაინიშნა. სოლისტი ამერიკელი მევიოლინე მიხაილ ოვრუცკი იქნება. უკანასკნელ კონცერტზე ქართველი კომპოზიტორების ცინცაძის, გაბუნიასა და მამისაშვილის ნაწარმოებებსაც შეასრულებენ.

# ახალი ძველი ევროპა

## პოლონური შთაბეჭდილებები

**ნაწილი III**

თამარ ბაბუაძე



ქალაქის ძველი ნაწილი.



დანგრეული ვარშავა საოცარი სიზუსტით აღადგინეს.



"აგორას" სუპერთანამედროვე ოფისი.

### მონაპოვარი - პრესა

მაშ ასე, დაპირებისამებრ, მორიგ პოლონურ დღეს რედაქციებში სტუმრობით დავიწყებთ და თუ დრო დაგვრჩება, ვარშავასაც დავათვალიერებთ. მანამდე კი, ქართველ ჟურნალისტებს პირველი შეხვედრა მედია-ჰოლდინგ "აგორაში", კომპანიის პრეზიდენტ ვანდა რაპაჩინსკისთან გვაქვს დანიშნული. ამ სუპერთანამედროვე შენობაში - იატაკიდან ჭერამდე ფანჯრებით, ბევრი მინით, ანუ სინათლითა და სივრცით, მუხისა და კედარის იატაკითა და ჩარჩოებით, შიდა და გარე ბაღებით, მათ შორის, ბამბუკის ხეებით, არქივებით, კაფეტერიით და ფიტნეს-კლუბით - უკვე ნამყოფები ვართ. ვარშავაში ჩამოსვლის პირველივე დღეს "გაზეტა ვიბორჩას" რედაქტორთან ადამ მიხნიკთან მოვქანდით ნახევარი საათით. ამიტომ სანამ ვანდას ველით, "ვიბორჩას" ისტორია და მიხნიკთან შეხვედრა მახსენდება.

ის ხანშიშესული, მაგრამ ძალიან ენერგიული კაცია. კეთილად იღიმება, ჩიბუხისმაგვარი "მოწყობილობით" ეწევა, მაგარ ყავას სვამს და დინჯად საუბრობს. მის ყოველ ნათქვამ სიტყვას ფასი აქვს - ტყუილუბრალოდ არაფერი წამოსცდება. 15 წელია გაზეთშია, და შვილი მშობლიურ გაზეთზე (თუ არ ვცდები) ორიოდე წლით დიდი ჰყავს - გვიყვება და აზრის დამთავრებას ჩვენ გვანდობს - ე.ი. "ვიბორჩაც" მისთვის შვილივითაა. მერე საუბრობს რუსეთზე - მოსწონს პუტინისა და ოლიგარქების "ტკბილი" ურთიერთობა, მაგრამ არ მოსწონს ის, რომ აზრთა პლურალიზმი დადგა საფრთხის წინაშე. ჩეჩნეთის ომს რუსეთის სირცხვილად მიიჩნევს. საქართველოდან შევარდნაძის და ასლანის უსისხლოდ წასვლას კი - მნიშვნელოვან დადებით ძვრად. ე.ი. რუსეთი იძულებულია ქართული საზოგადოებრიობის წინაშე დათმობაზე წავიდეს.

მიხნიკი ბუნებით რევოლუციონერია. საშუალო სკოლაში სადისკუსიო კლუბი ჩამოაყალიბა. ვარშავის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდს კი საყოველთაოდ ბობოქარი 60-იანები დაემთხვა და... თავად განსაჯეთ. 80-იან წლებშიც რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1989 წელს "ვიბორჩა" - პირველი დამოუკიდებელი გაზეთი დააარსა. გაზეთს სახელიც სიმბოლური მოუძებნეს - სიტყვა "არჩევანიდან" და ამით ხაზი გაუსვეს იმას, რომ ამიერიდან ერთფეროვან საბჭოურ რეალობას ადამიანის უპირველესი უფლება - არჩევანის უფლება სამუდამოდ გაამრავალფეროვნებდა.

... რვაგვერდიანი "ვიბორჩა" იატაქვეშა ოპოზიციის ორგანოა, და დაფინანსებას არავისგან იღებს. მეტიც, გაზეთი ყოვლად წარმოუდგენელ პირობებში კეთდება. რიგი ნომრები ვარშავაში, საბავშვო ბაღის ეზოშიც კი იგეგმება - ქვიშის სათამაშო მოედნის მოაჯირზე ჩამომსხდარი სამი მოკამათე კაცი მიხნიკი და მისი თანარედაქტორები არიან - საგაზეთო თემებზე მსჯელობენ...

თუ როგორ ეხმარება რევოლუცია გაზეთს და გაზეთი რევოლუციას წარმატების მიღწევასა და საქმის კეთებაში, ეს ჩვენ სულ უახლესი წარსულიდან - "ვარდების რევოულციიდანაც" კარგად ვიცით. ამიტომ იოლი წარმოსადგენია, თავისუფალ არჩევანს მოწყურებულ პოლონურ საზოგადოებაში რამხელა აჟიოტაჟს გამოიწვევდა სიტყვა "არჩევანთან" დაკავშირებული თავისუფალი გაზეთი საბჭოური რეალობის რღვევისას. ასეც მოხდა, პირველ წელს "ვიბორჩა" შავ ბაზარზე 10 პროცენტით ძვირი ღირს, ვიდრე კიოსკებში. ის საზოგადოებისთვის ასოცირდება მონატრებულ კრიტიკასთან, თავისუფალ აზრთან, ერთი სიტყვით - მოძრაობასთან - არჩევანთან.

ოპოზიცია იმდენად აქტიურდება, რომ კომპარტია სიტუაციიდან გამოსავალს მრგვალი მაგიდის მოწყობაში ხედავს. ისტორიული შეხვედრა ისტორიული შედეგით სრულდება. კომპრომისი არჩევნებია (მართალია, არა ბოლომდე დემოკრატიული - წინასწარი გარიგების მიხედვით, პარლამენტის ქვედა პალატაში ადგილები კომუნისტურ პარტიას გადაუნახეს), რომელსაც ძალაუფლებაში დემოკრატიული ოპოზიცია, გაერთიანება "სოლიდარობა" მოჰყავს, პრემიერ თადეუშ მაზოვეცკის მეთაურობით. ამ გამარჯვების აღსანიშნად მიხნიკი "ვიბორჩაში" აქვეყნებს წერილს დაახლოებით შემდეგი სათაურით: "პრემიერ-მინისტრი - ჩვენი. პრეზიდენტი - თქვენი". ასე რომ, როგორც ხედავთ, "ვიბორჩა" ნამდვილი რევოლუციური ორგანოა. თუმცა, შემდეგ დგება დროებითი კრიზისის ხანა. იგივე პოსტრევოლუცია - სულიერი და ფიზიკური არსებობის განსაკუთრებულად დამუხტული მდგომარეობა, რომელიც პოლონელებისთვის უკვე პასიურ მეხსიერებაშია გადასული, ქართველებისთვის კი...

ცხოვრების წესად ქცეულ გაურკვევლობას "ვიბორჩა" თავიდან ფეხს ვერ უწყობს. არჩევნებიდან ექვსი თვის თავზე ხალხს გაზეთი უკვე აღარ უნდა - ცარიელ დახლებს და ჯიბეებს მათ ვეღარც ისეთი მაღალი დონის ჟურნალისტიკა ავიწყებს, როგორიც "ვიბორჩას" აქვს. გაზეთი არ იჭმევა და ის არც ანტიდეპრესანტია - ინფლაციით აწეწილი ნერვები რომ დააწყნაროს.

ეს ცარიელი სიტყვები არ გახლავთ. მიხნიკის და გაზეთის დანარჩენი მესვეურების დამსახურება სწორედ ის არის, რომ ისინი ახალ რეალობას გასაღებს მაინც უძებნიან. სანამ სხვები გამოსავლის ძიებაში ტვინს იჭყლეტენ, "ვიბორჩა" მას პოულობს. "ჩვენ მკითხველს შევთავაზეთ ე.წ. გიდი-სახელმძღვანელო ახალ რეალობაში შესასვლელად, - ჰყვება ვანდა რაპაჩინსკი, - მოგეხსენებათ, ყველაფერი შეიცვალა, ქუჩის სახელებიც კი. ჩვენც ამ წვრილმანი სიახლეების ბეჭდვა დავიწყეთ. მკითხველს ქალაქის ახალ გეგმას, ქუჩების ახალ სახელებსაც ვაცნობდით". ანუ, გაზეთმა "გაუგო" საზოგადოებას და მისი მოთხოვნების დონემდე "დავიდა", რითაც, ფაქტობრივად, მკითხველი შეინარჩუნა. ერთი სიტყვით, კარგად დაგეგმილმა საგაზეთო ტაქტიკამ და ნასესხებმა თანხამ მოგება მოიტანა. "ვიბორჩა" კვლავაც ფეხზე დადგა, დიდ მედია-ჯგუფად იქცა, რომლის 2003 წლის შემოსავალიც 193 მილიონი ევროა. მეტიც, დღიდან დაარსებისა, 1990 წლის გარდა, "ვიბორჩასთვის" ყოველი წელიწადი მომგებიანია და უკვე თვითონ უწევს სპონსორობას კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

როგორც ვანდა რაპაჩინსკი გვიყვება, "ვიბორჩამ" ძალიან დიდი როლი ითამაშა საზოგადოების ევროკავშირის შესახებ ინფორმირებაშიც. ეს ვერ გააკეთა მთავრობამ, სამაგიეროდ იაქტიურა არასამთავრობო სექტორმა და პრესამ. "ვიბორჩამ" ძველ და კარგად ნაცად ხერხს მიმართა და ამჯერად გიდი-სახელმძღვანელოები ევროკავშირის თემატიკაზე შექმნა. მაგალითად, ფერმერებისთვის დაბეჭდა ანკეტების შევსების წესები, მოაწყო კონკურსი - "ვინ უკეთ იცნობს ევროკავშირს". ერთი სიტყვით, არ დაზოგა რესურსი იმისთვის, რომ მკითხველი ამ გრანდიოზული და დადებითი სიახლისთვის მოემზადებინა.

დღეს "აგორა" "ვიბორჩას" და მისი რეგულარული დამატებების გარდა აერთიანებს: დაახლოებით 28 რადიოსადგურს, 16 ჟურნალს, ფლობს "ეიემეს"-ს - პოლონეთის გარე რეკლამის ბაზარზე ლიდერ კომპანიას; გამოსცემს უფასო გაზეთს "ვარშავა მეტროს" - 150 ათასიანი ტირაჟით და ასევე სამ უფასო ყოველკვირეულ რეგიონულ გაზეთს; აქვს ძალზე მრავალფეროვანი და მოწესრიგებული ინტერნეტ-პორტალი და, რაც მე ყველაზე ძალიან მომწონს, საათივით აწყობილი შიდა მენეჯმენტი (აქ მენეჯმენტი ზუსტად ისე ესმით, როგორც, წესით, ყველგან უნდა ესმოდეთ). მუშაობს ინტრანეტი, სადაც კომპანიის თანამშრომლების (იგულისხმება ყველა არსებული რგოლი და დონე) უფლებები, მოვალეობები, ინფორმაცია და რჩევებია გამოქვეყნებული. ყოველკვირეულად გამოდის კომპანიის შიდა გაზეთიც, სადაც "აგორას" სიახლეების და თანამშრომლების შესახებ წერენ. ანუ, ყველაფერი ნათლად ჩამოყალიბებული და გათვლილია. ანუ, "აგორა" ახალი, პროგრესული პოლონური რეალობის სახეა; სახე, რომლის მიღებაც საქართველოს არც კი ვიცი, როდის მოუწევს.

უცხო თვალით დანახული "აგორა" იმის მაგალითიცაა, თუ როგორ ვითარდება თავისუფალი პრესა იქ, სადაც კი არ თამაშობენ დემოკრატობანას, არამედ რეალურად აშენებენ მას პირველივე შანსის გაჩენისას.

### მედია-სკანდალი - წარსულის გადმონაშთი

ეს ყველაფერი, რაც ზევით მოგითხრეთ, გაზეთებიდან, "აგორას" ყოველწლიური რეპორტიდან, ვანდა რაპაჩინსკის ნაამბობიდან და სხვათა საუბრებიდან შევიტყვე. მე კი მინდა მიხნიკს ვკითხო რამე, სწორედ ამ პერიოდზე და კიდევ 60-იანებზე, მაგრამ დრო ცოტაზე კიდევ უფრო ცოტაა. და იმის იმედით, რომ მას თბილისში ჩამოსულს ოდესმე კვლავ შევხვდები, ახლა "აგორას" პრეზიდენტ ვანდა რაპაჩინსკისგან ვისმენთ დაპირებული მედია-სკანდალის დეტალებს.

"რივინის საქმე" - ამ სახელითაა ცნობილი დაახლოებით ერთი წლის წინ მომხდარი შემთხვევა, რომელზეც პოლონეთში ჯერაც ემოციურად საუბრობენ და რომლის მოყოლასაც ვანდა რაპაჩინსკი კარგი დეტექტივივით იწყებს: "ივლისის ერთ ცხელ დღეს...".

ივლისის ერთ ცხელ დღეს "აგორას" პრეზიდენტთან ნაცნობი პროდიუსერი გვარად რივინი მივიდა და, მთავრობის სახელით, გარიგება შესთავაზა. თუ "აგორა" გადაიხდიდა დაახლოებით 17 მილიონ დოლარს, პარლამენტი მათ სასარგებლოდ მიიღებდა განსახილველ კანონს მედიის შესახებ. თუ არადა, ახალი კანონის მიხედვით, "აგორას" არ ექნებოდა უფლება ტელე-სეგმენტში თანხების ინვესტირების - ანუ, მას მონოპოლიად ჩაეთვლებოდა ნაციონალური ტელე-არხის შესყიდვა. პლუს, "ვიბორჩას" უნდა შეეწყვიტა პრემიერ-მინისტრის კრიტიკა და ოპოზიციური ტექსტები არც ახლადშესყიდულ ტელეეთერში არ უნდა დაეშვათ. ერთი სიტყვით, "აგორა" იღებდა ტელე-არხს, ანუ კიდევ უფრო დიდდებოდა, მაგრამ სინამდვილეში გადაიქცეოდა ფინიად.

ვანდა რაპაჩინსკი ხუმრობს: "ნიუ იორკში ამბობენ ხოლმე, არის ერთი გარემოება, რომელიც პოლონურ და იტალიურ მაფიას ერთმანეთისგან განასხვავებს. თუ იტალიელი მაფიოზი გარიგებას გთავაზობს, მის სიტყვას ვერ გადახვალ, ხოლო თუ - პოლონელი, მისას ვერაფერს გაიგებ". ამიტომაც რაპაჩინსკი შოკში ჩავარდა. ეს მისთვის ქრთამის შეთავაზების პირველი შემთხვევა იყო და გამოუცდელობის გამო, მხოლოდ ასეთი პასუხი მოიფიქრა: "კიდევ ერთხელ მობრძანდით და ადამ მიხნიკს გააცანით ეს გეგმა". რივინი მიხნიკს მართლაც შეხვდა. უბრალოდ, რედაქტორმა ეს საუბარი კასეტაზე ჩაიწერა და, ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, რამდენიმე თვის თავზე - დაბეჭდა. სკანდალი მასშტაბური იყო. ყველას "რივენის საქმე" ეკერა პირზე. პარლამენტში შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომლის სხდომებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ჩვენებებზე იბარებდნენ მიხნიკს. საზოგადოება დაიბნა, ბევრს "ვიბორჩას" გულწრფელობაშიც შეეპარა ეჭვი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, რივენს ბრალი წაუყენეს. "ვიბორჩა" გამართლდა.

თუმცა, ვანდა რაპაჩინსკი მიღწეულს მხოლოდ ნახევრად გამარჯვებას უწოდებს. ნახევრად იმიტომ, რომ ვინც უნდა დასჯილიყო, არ დაისაჯა. კომისიამ ვერ დაადგინა რივინის და მთავრობის კავშირი და ამიტომ დაწერეს, რომ ის მარტო მოქმედებდა. მეორე მხრივ კი, ეს სკანდალი რაპაჩინსკის გამარჯვებად მიაჩნია: "ჩვენთან მსგავსი პრეცედენტი პირველად მოხდა. კომისიის საქმიანობას მილიონობით ადამიანი პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს და საზოგადოებრივი აზრი, დემოკრატიის სასარგებლოდ, თავისით ჩამოყალიბდა. ეს კი დახვეწილი სამოქალაქო საზოგადოებისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯია".

თუმცა, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს დიდი სკანდალი ქვეყნის დედაქალაქში მოხდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსგავსი ზეწოლისგან კიდევ უფრო დაუცველები არიან რეგიონებში - როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. ამიტომ, რამდენიმე პრეცედენტის შემდეგ, "ვიბორჩა" და სხვა ცენტრალური გაზეთები პატარა, რეგიონული გამოცემების დასაცავადაც ზრუნავენ. "ჩვენ დიდი კომპანია ვართ, საერთაშორისო ხმაურის ატეხვაც კი შეგვიძლია. ამიტომ სანამ ჩვენი ხელისუფლება დაიხვეწება, პატარა რეგიონულ გაზეთებსაც ვიცავთ", - აცხადებს ვანდა რაპაჩინსკი და "აგორას" ყოველწლიურ რეპორტში იმედიანად დასძენს: "ისტორია გვასწავლის, რომ დემოკრატიულ გარემოში პოლიტიკოსები თავისუფალი მედიის წინააღმდეგ წამოწყებულ ომში მუდამ მარცხდებიან - ეს გარდაუვალია. ამიტომაც ამ ომის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია პოლონური დემოკრატიული ინსტიტუტების ძლიერებაც შევამოწმოთ".

დაბოლოს, რივინის საქმე - ეს ის შემთხვევაა, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ პოლონეთი ჯერაც "გაორებას" განიცდის; რომ ყოფილ კომუნისტებს ჯერაც ბოლომდე არ გამოუცვლიათ ტყავი; რომ კორუფცია, რომელსაც ებრძვიან, თავის მხრივ, არსებობისთვის კვლავაც იბრძვის; რომ ხელისუფლებას ჯერაც კარგად არ გაუაზრებია, რომ თავად უნდა ემსახუროს ხალხს და არა პირიქით; რომ მედიამ უნდა აკონტროლოს ხელისუფლება და არა პირიქით; რომ, ერთი სიტყვით, თაობის გამოცვლა, მოთმინება და დრო, ყურადღების დაძაბვა და თან მოქმედებაა საჭირო.

**P.S.** თავად ვანდა რაპაჩინსკი "აგორასთვის" ნამდვილი აღმოჩენაა. არის ნიუ იორკის სიტი უნივერსიტეტის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფლობს კერძო და საზოგადოებრივი მართვის მაგისტრის დიპლომს იელის უნივერსიტეტიდანაც. "უოლ სტრიტ ჯორნალმა" 2001 წელს ის ევროპის 30 ყველაზე გავლენიან ქალს შორის დაასახელა, "ბიზნეს უიქმა" ევროპის 50 ვარსკვლავს შორის მოიხსენია, "ფორჩუნმა" კი - არაამერიკულ ბიზნეს-სამყაროში მოღვაწე ყველაზე ძლიერ ქალებს შორის გაიყვანა.

**P.P.S.** ზოგადად, პოლონეთის მედიაბაზარზე ძალზე მსხვილი უცხოური, ძირითადად კი, ნორვეგიული ინვესტიციებია ჩადებული. თუმცა, ეს მათზე აზრობრივ დამოკიდებულება-დაქვემდებარებას არ გულისხმობს. მეტიც, გაზეთ "რეჩპოსპოლიტას" აქციათა 45 პროცენტს სახელმწიფო ფლობს, მაგრამ, როგორც ჟურნალისტი ანა მარშალეკი გვიამბობს, ეს ცენზურას არ გულისხმობს. "ჩვენი დაუღალავი ბრძოლის გამო მთავრობის წინააღმდეგ, თავისუფალი გაზეთის სტატუსით ვსარგებლობთ. მეტიც, გაზეთის მთავარი ამოცანა საგამოძიებო ჟურნალისტიკაა და მრავალი სამთავრობო სკანდალიც გვაქვს გახსნილი", - თვითონ ანასაც ამ მხრივ მოსაყოლი ბევრი აქვს. ის უკვე წლებია, ჩახლართულ პოლონურ-კორუფციულ "კროსვორდებსა და თავსატეხებს" ხსნის.

### ვარშავა - როგორ უნდა მოვექცეთ ისტორიას

საგაზეთო ტურნეს შემდეგ ვარშავის ქუჩებში გასეირნება კიდევ უფრო სახალისოა. მით უფრო, რომ გრილა და, ქალაქის სიდიდისა და ავტომობილების სიმრავლის მიუხედავად, აქ საოცრად სუფთა ჰაერია. "ეს იმიტომ, რომ ვარშავის საზღვრებში სამეფო სასახლეები და ბაღებია მოქცეული. ერთ დროს ვარშავა ყველაზე მწვანე ქალაქადაც ითვლებოდა", - მიხსნის ჩვენი თარჯიმანი და "მფარველი", პანი მიროსლავა. მერე კი, ტურისტულ ბროშურაშიც ვკითხულობ, რომ პოლონეთის დედაქალაქი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მწვანეა დანარჩენ ევროპულ დედაქალაქებს შორის - ფართობის 21 პროცენტი მცენარეებს აქვს დათმობილი. ვარშავის საზღვრებში 84 პარკი და ბაღია მოქცეული. მათგან ლაზიენკი, ალბათ, ყველაზე ლამაზია. მე-18 საუკუნე, ინგლისური სტილის ბაღები, ნეოკლასიკური არქიტექტურა, მეფე სტანისლავ აუგუსტ პონიატოვსკის ზაფხულის რეზიდენცია, ორანჟერეა, თეატრი კუნძულზე, სასახლე წყალზე, შოპენის მონუმენტი, უამრავი, თავისუფლად მოსეირნე და მჩხავანა ფარშევანგი, ბევრი ტურისტი და ზაფხულის გრილ საღამოებში შოპენისადმი მიძღვნილი ღია ცის ქვეშ გამართული კონცერტები.

ვილანოვის სამეფო რეზიდენცია-ბაღები - კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ვარშავაში ნახშიროჟანგის შესრუტვის და ჟანგაბდის გამოყოფის პროცესი სუპერწარმატებულად მიმდინარეობს. ვილანოვი ულამაზესი ბაღების გარდა სტუმრებს პლაკატის მუზეუმითაც იზიდავს. სწორედ აქ იმართება ხოლმე პლაკატის საერთაშორისო ბიენალე, რომლის სულისჩამდგმელიც მსოფლიოში პირველად პოლონეთია.

ვცხოვრობთ სასტუმრო "ევროპეისკიში" - ვარშავაში უძველეს სასტუმროში, ფანჯრების ნაწილი დიდ მოედანზე გადის, საიდანაც საქსონური ბაღების დიდი ალაყაფი მოსჩანს. "ამ მოედნის მიდამოებში, სადაც ახლა ვდგავართ, უწინ ლიცეუმი იყო, სადაც შოპენი ფრანგულს სწავლობდა. 1944 წლის პოლონური აჯანყებისას კი აქვე მიმდინარეობდა გადამწყვეტი ბრძოლები", - გვიყვება ჩვენი ძალიან პოეტური ექსკურსიამძღოლი ირინა და მერე ორი ფეხის ნაბიჯზე გაშლილი ძველი ქალაქისკენ მივყავართ. გზადაგზა ცოცხლდებიან საუკუნეები, მეფეები ძეგლებიდან ჩამოდიან, იბრძვიან, კანონებს იღებენ, ლამაზ ქალებს ეტრფიან. აი, იმ მაღალი კოშკის პატარა აივანზე პოეტი დგას, რომელიც ვარშავას სახელმძღვანელო-გიდს ლექსად წერს. საქსონების დროინდელი ფოსტის წინ ფოსტის ცხენები ჩერდებიან, ახლა აქ ცნობილი კაფეა, რომელიც ცნობილი პოლონური პერსონაჟის სახელს ატარებს. ბერნარდინელი ორდენის მონაზვნები ძვირფას ავეჯს თეთრად შეღებავენ და საგანძურს გერმანელებისგან ასე იხსნიან. ამ პატარა მოედანზე, სადაც ახლა უზარმაზარ პიედესტალზე მეფის ქანდაკებაა აღმართული, მიღებები ეწყობა, ხელმწიფეები უცხო ქვეყნების ელჩებს იღებენ. იქვეა წმინდა მარტინის და წმინდა იანის ულამაზესი ტაძრები, დიდი ზარი, რომელიც შეხებისას სურვილს გისრულებს; ყველაზე პატარა, მგონი, სულ ცხრანაბიჯიანი ქუჩა ევროპაში; მერე მოდის ყველაზე ვიწრო სადარბაზო ევროპაში და ხეივანი, სადაც წინათ ნაგავსაყრელი იყო. აქ ერთ დროს ნაპოლეონიც სეირნობდა. ტაძრები, რენესანსი, ბაროკო - ერთმანეთში არეული მიმდინარეობები... მერე ტაძრები ინგრევიან, ვარშავას ბომბები ეცემა, ქალაქის შენობების 80 პროცენტი ნანგრევებად იქცევა. მაგრამ როცა ისტორიის გაცოცხლების და დაცვის სურვილი გაქვს, ამაში ხელს ვერც დამარცხებული ამბოხი, დაღუპული მოქალაქეები და წითელი არმია გიშლის - 1953 წლის ივლისში ვარშავის ძველი ნაწილის აღდგენა უკვე დასრულებულია. შენობების უმრავლესობას საოცარი სიზუსტით არქიტექტურის ერთი წინდახედული პროფესორის წყალობით აღადგენენ - მან ხომ ომის დაწყებამდე სტუდენტებს საშინაო დავალებად ძველი ქალაქის გეგმის დახაზვა მისცა...

ასე რომ, ვარშავა ქალაქია, რომელიც შეიძლება ერთი ნახვით არ შეგიყვარდეს (პრაღასავით), მაგრამ ისტორიები, ლეგენდები, ნგრევა-შენების უნიკალური პროცესი და ქალაქის დღევანდელი სახე იმდენად მოგხიბლავთ, რომ ბოლოს, თქვენთვის, გულში, მაინც აღმოაჩენთ აქაურობის უმთავრეს ხიბლს (პირადად ჩემზე ვარშავის აღდგენის ისტორიამ ცოტა ცუდადაც იმოქმედა - ამ ყველაფერმა დანგრეული თბილისი, ანდროპოვის ყურები და ბოლო წლებში განხორციელებული სხვა არქიტექტურული კრიმინალი მომაგონა. და ზურაბ ჭიაბერაშვილის ჯადოსნური ჯოხით დაჯილდოება მომანდომა - იქნებ, რამე მალე გვიშველონ).

თუმცა, ირინას ნაამბობიდან ერთი ისტორია განსაკუთრებულად მეცნობა და მაგონებს ქართულს. ჩვენი სასტუმროს წინ, მოედანზე, ძველ სახლებს შორის არის შენობა, რომელიც თავისი თანამედროვეობით "ყვირის" - ის ცნობილი ბრიტანელი არქიტექტორის, სერ ნორმან ფოსტერის ქმნილებაა. თავიდან პოლონელები, თურმე, ძალიან ამაყობდნენ იმით, რომ მათი დედაქალაქის ცენტრს თავად ფოსტერის ნაწარმოები დაამშვენებდა. დიდხანს ამაყობდნენ იმითაც, რომ ამ საოფისე შენობაში, რომელსაც მეტროპოლიტანს ეძახიან, პრინც ჩარლზს უსადილია... მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მიხვდნენ ვარშაველები, რომ ამ საამაყო სუპერთანამედროვე არქიტექტურამ სრულიად დაფარა ოპერის სახლი - კოლონებიანი, ჩუქურთმებიანი ძველი შენობა - მათი ისტორიის ნაწილი...

მოსაყოლი კიდევ ბევრია, მით უფრო, რომ თქვენთან ერთად ვარშავიდან კრაკოვში მატარებლით გასეირნება ვერ მოვახერხე - ქალაქში, რომელიც ისტორიამ უფრო დაინდო და მომავალს ეს დიდი სილამაზე უცვლელი სახით შემოუნახა. თუმცა, ხომ იცით, მოყოლილს თვალით ნანახი სჯობია, ასე რომ - იმოგზაურეთ პოლონეთში, ისიამოვნებთ. ახალი თუ ძველი, ის ნამდვილი ევროპაა...

მარო მაჩხაანელის კუთხე



# კაცები

ეს წერილი კარგ ბიჭებს მინდა მივუძღვნა. არა, ბატონო, ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ. სხვაგანაც ბევრნი არიან და გაცილებით ბევრნი.

სანამ ჩვენი ტელეარხების მამაკაცი წამყვანები და მიმომხილველები ჩვენი ფეხბურთის საცოდაობით ერთობოდნენ, იტალიის ალპებში დიდი ამბები ხდებოდა.

იტალიის ალპებში "ჯიროდ" წოდებული კაცების შეჯიბრება მთავრდებოდა. სამი ათას ხუთასი კილომეტრის ბოლო ხუთასი კილომეტრიღა იყო გასავლელი.

ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ველომრბოლებზე, ასობით კილომეტრზე გაჭიმული ნაცრისფერი გზის რაინდებზეა საუბარი.

ეს წერილი კარგ ბიჭებს მინდა მივუძღვნა. ესენი არც მილიონებს ელიან, არც ტელევარსკვლავები არიან, სხვათა შორის, არც იყიდებიან - მშვიდად, ყოველგვარი ვაჭრობისა და აურზაურის გარეშე გადადიან ერთი კლუბიდან მეორეში.

გუშინ ამ საძმოში ახალი ჩემპიონი დაიბადა. მე ორი კვირის წინათ ვთქვი და გამართლდა კიდეც - დამიანო კუნეგო, ეს ოცდაორი წლის ბიჭი უბრალო, ჩვეულებრივი, რიგითი ჩემპიონი არ არის. ეს "ჯიროს" დაწყებამდეც ნათელი იყო. ის, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა სპორტში, ამას მრავალდღიანის დაწყებამდეც გრძნობდა.

ახლა ისე, მხოლოდ გოგოების გასაგონად, ჩუმად ვიტყვი, ჩვენებს, ჩვენს ტელემიმომხილველებსა და ტელეწამყვანებს ვგულისხმობ, მსოფლიოში ყველა ჯურის ფეხბურთელის სახელი და გვარი რომ იციან, თვითონ ფეხბურთზე კი ისე არიან, როგორც ერთ დროს იტყოდნენ ხოლმე - ტყემალზე ზის და მაროჟნის კურკებს ისვრისო.

რა თქმა უნდა, ამას საწყენად არ ვამბობ. რამდენჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ - მიხედვა უნდა ჩვენს კაცებს, მიხედვა, თორემ დაგველუპებიან.

ისევ კარგ ბიჭებს მივუბრუნდეთ.

მთიან ეტაპებზე ბევრი ხალხი იყრის თავს. ზღვის დონიდან ორი ათას მეტრზე ადიან, ზოგი ფეხით, ზოგიც ველოსიპედით. და როგორ ფიქრობთ, რისთვის? სტადიონები იქ არ არის, კაფეები და რბილი სავარძლები. იმისთვის, რომ აღმართზე ამომავალ ოფლში გაწურულ ლიდერთა ჯგუფს წამით შეავლონ თვალი, ხელი მოუტყაპუნონ ზურგზე, გაამხნევონ. აი, ეს ხალხი, სადაც კი თვალი მოვკარი, მეთექვსმეტე ეტაპამდე უჩვეულოდ გარინდებული იდგა და როგორღაც გულგრილად მიცილებდა პელოტონს. მარკო პანტანის სიკვდილმა ლამის მთელ იტალიას წაართვა იმედი. "მეფე მოკვდა" იტალიელი ფანებისთვის უბრალო, სათეატროდ ნათქვამი სიტყვები არ იყო. იტალიელებმა მართლა დაკარგეს მთების მეფე. ახლა კი ეს ხალხი ამ მაღალ უღელტეხილებზე ჩვეულებამ ამოიყვანა. ველოსპორტის გულშემატკივარი, რაგბისა არ იყოს, სხვანაირი გულშემატკივარია.

ეეჰ, ისევ მინორში წამივიდა ნაწერი. მე კარგ ბიჭებზე მინდოდა ორიოდე სიტყვის თქმა.

ჰოდა, აი, იმ მეთექვსმეტე ეტაპიდან მოყოლებული, როცა მთელი იტალია მიხვდა, რომ ახალი ვარსკვლავი ებადებოდა, ამ მძიმე და ჯერ კიდევ თოვლიან უღელტეხილებზე, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, ერთბაშად შეიცვალა სახეები. ხალხი მომრავლდა, ახმაურდა, ისევ გაჩნდა სახელდახელოდ ნაწერი ლოზუნგები, წყლით სავსე ბოთლები და საკუთარ კერპებს ადევნებული გიჟი ფანები.

იტალიამ პატივი მიაგო მარკო პანტანის - ერთ-ერთ ყველაზე რთულ მთას, "მორტიროლოს" ანუ სიკვდილის მთას პანტანის სახელი უწოდა. პატივი მიაგო და, რადგან სიცოცხლე გრძელდება, ახალ მეფეს მოუხარა ქედი.

დამიანო სულ ოცდაორი წლისაა. მეთექვსმეტე ეტაპიდან კი ზედიზედ ოთხი მთის ეტაპი იყო გასავლელი. ერთი შეკითხვა არ ასვენებდა ველოსპორტის სამყაროს - გაუძლებს ბიჭი? ოცდაორი წელი ხომ ძალიან ცოტაა მსგავსი მრავალდღიანებისთვის!

გაუძლო. და, რა თქმა უნდა, კარგ ბიჭებში ჩაეწერა დამიანო კუნეგო, თუმცა, მე მაინც სხვაზე მინდოდა მეთქვა. იმათზე, ვისაც მაინცდამაინც არც მედლებით, არც ინტერვიუებითა და არც ტაშით არ ანებივრებენ.

არის ეგეთი ველომრბოლი - ედი მაცოლენი. "საეკოს" წევრი. ამ პროფესიის ხალხს გამოკვეთილ ლიდერთა "ლეიტენანტებად" მოიხსენიებენ. უფრო გასაგებად თუ ვიტყვი, ესენი მომავალი პოტენციური ჩემპიონის - ტურნირის დაწყებამდე ხომ ყველა გუნდს ჰყავს ასეთი - პირადი მცველები არიან. დამიანოს მიერ მოგებულ მეთექვსმეტე ეტაპში - რამაც გაარკვია კიდეც მომავალი ჩემპიონის ვინაობა - ედი მაცოლენის წვლილი მხოლოდ თვითონ კუნეგომ, მათმა მწვრთნელმა და კიდევ რამდენიმე სპეციალისტმა თუ იცის. "ლეიტენანტი" ეტაპის დასაწყისშივე გაექცა პელოტონს და სწორედ იქ დახვდა თავის ახალგაზრდა თანაგუნდელს, სადაც ყველაზე მეტად დასჭირდებოდა. ბოლო მთის ძირამდე და მერეც ერთხანს ედი მაცოლენი ერთგულად "ემსახურა" თავის უმცროს მეგობარს. ეს "მთის ძირამდე და მერეც ერთხანს" ოცდაათი-ორმოცი კილომეტრი მაინც იქნებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მომავალი ჩემპიონი საფინიშო სპურტისთვის ზოგავდა ძალებს. როცა წინ ასეთი ერთგული კაცი მიგიძღვის, ენდეთ ქალის სიტყვებს, ჩათვალეთ, რომ საქმე სანახევროდ გაკეთებულია.

და, რა თქმა უნდა, ტერენტოში, ფინიშთან მოგროვებულ არც ერთ ჟურნალისტს ყურადღება არ მიუქცევია ოცდაათი წლის მრბოლისთვის, საოცრად დაღლილი და გაკეთებული საქმით კმაყოფილი რომ მიჰყუდებოდა სარეკლამო ბოძს.

ეგრეა, კაცები ისე, სხვათა შორის, ყოველგვარი პოზიორობისა და ხმაურის გარეშე აკეთებენ საქმეს.

ედისნაირი ბიჭები კარგი ბიჭები არიან. დაუჯერეთ მარო მაჩხაანელს.

# კუნეგო ჩემპიონია!

გუშინ გაიმართა "ჯირო დ`იტალიას" უკანასკნელი ტური, რომელიც ალესანდრო პეტაკის გამარჯვებით დასრულდა. თუმცა, პეტაკის გამარჯვებას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა - წლევანდელი "ჯირო" 22 წლის დამიანო კუნეგოს ტრიუმფით დასრულდა!



**საბოლოო შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. დამიანო კუნეგო (იტალია) Saeco | 88.40.43 |
| 2. სერგეი გონჩარი (უკრაინა) De Nardi | 2.02 |
| 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია) Saeco | 2.05 |

ფეხბურთი

# იაშვილი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელია

## კვირკველია კი საქართველოს ჩემპიონატის

29 მაისს კაფე "მსოფლიოს სპორტი" წლის საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიალს მასპინძლობდა. უკვე მეთორმეტე წელიწადია, რაც სპორტული გაზეთი "სარბიელი" ქვეყნისა და ეროვნული ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჟურნალისტებს შორის გამოკითხვას აწყობს. წლევანდელ გამოკითხვაში 48 ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა. ტრადიციისამებრ, მათ სამ-სამი ფეხბურთელი უნდა დაესახელებინათ საქართველოსა და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებად. პირველი ადგილზე დასახელებულ ფეხბურთელებს სამ-სამი ქულა დაერიცხათ, მეორე ადგილისთვის - ორ-ორი, ხოლო მესამესთვის - თითო.

2004 წლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტებმა აღიარეს ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილი, რომელმაც 139 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გავიდა იაშვილის ყოფილი თანაგუნდელი, ამჟამად "შალკეს" წევრი ლევან კობიაშვილი, რომელმაც 71 ქულა დააგროვა. 43 ქულით მესამეა მოსკოვის "ლოკომოტივის" ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად კახა კალაძე სახელდებოდა. წლეულს მან მე-9 ადგილი დაიკავა შოთა არველაძესთან ერთად (14-14 ქულა).



"სარბიელის" ჟურნალისტი კობა ინასარიძე იაშვილს პრიზს გადასცემს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დინამოელი დავით კვირკველია აღიარეს (75 ქულა). მეორე ადგილზეა კვირკველიას ყოფილი თანაგუნდელი, ამჟამად კი უგუნდოდ მყოფი ალექსანდრე გოგობერიშვილი. "ვიტ-ჯორჯიას" თავდამსხმელი რევაზ გოცირიძე მესამე ადგილზე გავიდა.

გამარჯვებულთათვის პრიზების გადაცემის შემდეგ ალექსანდრე იაშვილის თამაშის ამსახველი კადრების ნახვის საშუალება მოგვეცა.

ფორმულა 1

# შუმიადა გრძელდება!

გიგა გურასაშვილი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, სამეფო რბოლების 2004 წლის სეზონიც "ფერარისა" მისი გერმანელი პილოტის მიხაელ შუმახერის ტრიუმფით დასრულდება. გუშინ შუმახერმა მეექვსედ გაიმარჯვა, ხოლო შაბათის პოული მეხუთე მოგება იყო მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონისთვის, რაც მის კარიერაში მე-60 ყოფილა. "შუმის" ხუთი პოულიც რომ ჰქონოდა თადარიგში, მაშინ ამგვარი მაჩვენებლით ლეგენდარულ აირტონ სენას გაუტოლდებოდა.

გუშინდელი რბოლა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ გერმანელი შინ გამოდიოდა. დამეთანხმებით, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის შემთხვევაში ცოტა უხერხულიც კია, შინაური კედლების ფაქტორი ვახსენოთ, მაგრამ ფაქტია: თანამემამულეთა თვალწინ მონდომების ნაკლებობას ვერავინ დასწამებდა შუმახერს. ამბობდა კიდეც, სამშობლოში გამოსვლა უჩვეულო გრძნობას ბადებს. მხოლოდ მას შეუძლია, გამარჯვების გიჟური მოტივაცია მომცეს და საკუთარი პოზიციების აღდგენაში დამეხმაროს, რომელიც მონაკოში შემერყაო.

"ფერარის" გერმანელმა ლიდერმა, ისევე როგორც შაბათის კვალიფიკაციაზე, უპრობლემოდ გაიარა ტრასა და გამარჯვებათა მაჩვენებელი 76-მდე გაზარდა. რბოლის შემდეგ შუმახერი, ბუნებრივია, საკუთარი თავით კმაყოფილი იყო. გახარებული იყო სკუდერიაც - იტალიური საჯინიბოს ბრაზილიელი პილოტი ბარიკელო მხოლოდ თანაგუნდელს ჩამორჩა. აქედან გამომდინარე, "ევროპის დიდი პრიზიც" წითელი ბარონის ტრიუმფით დასრულდა.




შუმახერმა წინა რბოლის შური იძია

საინტერესოა, რომ ფერარელებმა პირველ და მეორე საფეხურებზე მეოთხედ დაასრულეს რბოლა.

რაც შეეხება მონაკოს დიდი პრიზის გამარჯვებულს, "რენოს" იტალიელ მრბოლს იარნო ტრულის, მან გერმანიაში მეოთხე ადგილი დაიკავა. ტრულის ფეხდაფეხ მიჰყვა ესპანელი თანაგუნდელი ფერნანდო ალონსო. მესამე ადგილი კი BAR-ის ბრიტანელთა იმედს ჯეისონ ბატონს დარჩა. ბრიტანელის იაპონელი თანაგუნდელის ტაკუმა სატოს ბოლიდის ძრავას რომ არ ემუხთლა, გამორიცხული არ იყო, რბოლა უფრო მჭიდროც ყოფილიყო. იაპონელმა მრბოლმა კვალიფიკაცია მეორე პოზიციაზე დაასრულა, რითაც პირველმა თანამემამულეთაგან დიდ პრიზზე პირველ რიგში ჩადგომის უფლება მოიპოვა, მაგრამ... რბოლის დასრულებამდე 13 წრით ადრე სატო "ევროპას" გამოემშვიდობა. თუ "ევროპის დიდ პრიზზე" კიდევ ვინმეზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, ეს "ზაუბერის" იტალიელი მრბოლი ჯანკარლო ფიზიკელაა. მან მე-18 პოზიციიდან აიღო სტარტი და ჩასათვლელ მეექვსე საფეხურამდე დაწინაურდა.

რაგბი

# ქართულ-ფრანგული ამბები

პაატა თოთაძე

იმ დროს, როცა საქართველოში თასის გათამაშების მეოთხე ეტაპი დაიწყო, საფრანგეთში, კერძოდ, ბორდოში, ჩვენი ქვეყნის შვიდკაცა რაგბის ნაკრები მსოფლიო სერიის ბოლოსწინა ტურნირში ჩაება.

ჯგუფში არგენტინასთან, იტალიასთან და სამოასთან მოხვედრილი ბორჯღალოსნები პირველ დღეს სამივე მეტოქესთან დამარცხდნენ. ტურნირის პირველ მატჩში - არგენტინასთან (7:33), მერე - სამოასთან (31:0), ბოლოს კი - იტალიასთან (19:26). ქართველების მსგავსად, იტალიელებსაც ორივე მატჩი წაგებული ჰქონდათ, თუმცა, სინისთვის მაინც გააგრძელეს ბრძოლა.

მეორე დღეს სინის მეოთხედფინალში ქართველთა მეტოქე შოტლანდიის ნაკრები იყო. მეტოქე ამჯერადაც ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა (12:7). ყველაზე ბევრი, რაც საქართველოს ნაკრებს შეეძლო, ფარის მოპოვება იყო, თუმცა, საბოლოოდ ყოველგვარი ჯილდოს გარეშე დავრჩით. სინის მეოთხედფინალში დამარცხებულებმა ფარისთვის გააგრძელეს ბრძოლა, გამარჯვებულებმა კი - ფიალისთვის.

ერთადერთი გამარჯვება ბორჯღალოსნებმა ფარის ნახევარფინალში მოიპოვეს - რუსეთის ნაკრები დაამარცხეს (22:14), ფინალი კი ესპანელებთან დათმეს (10:14).

რაც შეეხება ტურნირის გამარჯვებულს, უძლიერესის ტიტული ახალი ზელანდიის ნაკრებმა მოიგო. მეოთხედფინალში ზელანდიელებმა ავსტრალიელებს აჯობეს (17:12), ნახევარფინალში - ფიჯელებს (24:10), გადამწყვეტ მატჩში კი ინგლისს სძლიეს (28:19).

სინი ერგო არგენტინის ნაკრებს, რომელმაც ფინალში ავსტრალია დაამარცხა (22:21), ფიალა კი ფრანგებს გადაეცათ ფინალში კენიელთა დამარცხებისთვის (26:21).

შაბათსვე დაიწყო საქართველოს თასის გათამაშების მეოთხე ეტაპი, რომელსაც ქვეყნის საუკეთესო ექვსი გუნდი შემორჩა. პირველ ტურში ქვეყნის ჩემპიონმა თბილისის "ლოკომოტივმა" ბათუმში ადგილობრივი "დათვები" დაამარცხა, თბილისის "ლელომ" ქუთაისის "აიას" სძლია, ტურის ბოლო მატჩში კი "ყოჩებმა" "იმედი L - აკადემიას" მოუგო. მომდევნო ტური ოთხ დღეში გაიმართება. შემდეგ გუნდებს კარგა ხნით მოუწევთ დასვენება - 12-13 ივნისს თბილისის შვიდკაცა იმართება, მერე კი სამხრეთაფრიკელები გვესტუმრებიან.

კალათბურთი

# ვერის ბაღის ვარსკვლავები

სხვა ქვეყნების მსგავსად, ვარსკვლავთა მატჩები ჩვენშიც ტრადიციად იქცა. გუშინწინ ვერის ბაღში შეიკრიბნენ საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული კალათბურთელები და, "თეთრებად" და "ლურჯებად" გაყოფილები, ყველა ვარსკვლავთა მატჩში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

"თეთრები" "ბასკოს", "რუსთავისა" და თსუ-ს კალათბურთელები იყვნენ, "ლურჯების" ღირსებას კი "დინამოს", "მაკაბისა" და "სტუჯეოსელის" მოთამაშეები იცავდნენ. კარგადაც გამოუვიდათ თავიანთი საქმე - 111:100 მოიგეს. მეოთხედებს შორის შესვენებაზე კალათბურთელები სამქულიანებსა და ჩატენვებში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

სამქულიანების კონკურსში მონაწილეობდნენ გოჩა წოწელია (მაკაბი), ირაკლი ბერიშვილი (ბასკო), ლაშა კეშელავა (ბასკო), დავით თორთლაძე (თსუ), ლევან ჯიმშელეიშვილი (რუსთავი), მიხეილ ქორქია (სოხუმი) და რამაზ გოგობერიშვილი (დინამო). თითოეულ მოთამაშეს წუთში 25 სროლის უფლება ჰქონდა, ორი საუკეთესო კი ფინალში უნდა შეხვედროდა ერთმანეთს. ესენი აღმოჩნდნენ ლაშა კეშელავა და დავით თორთლაძე. მათ, შესაბამისად, 16 და 15 ბურთი ჩააგდეს. წოწელიამ 13 ბურთი ჩააგდო, ბერიშვილმა - 14, ჯიმშელეიშვილმა - 9, ქორქიამ - 10, გოგბერიშვილმა კი - 13.

ფინალში ორივე კალათბურთელმა წინა შედეგი ორით გააუარესა - კეშელავას მაჩვენებელი 14 იყო, თორთლაძისა კი - 13. გამარჯვებულად ბასკოელი ლაშა კეშელავა გამოცხადდა.

მეორე შესვენებაზე შერეულ ტრიოთა ფინალური მატჩი გაიმართა. დებულების თანახმად, თითოეულ გუნდში ერთი ვეტერანი, ერთი მოქმედი და ერთიც ქალი კალათბურთელი უნდა ყოფილიყო. ფინალში თამაშის უფლება გია სანაძის, კახა შენგელიას, ლიკა ქაჯაიას და ნიკო ჩერქეზიშვილის, დავით ბერძენიშვილის, მედეა მხეიძის ტრიოებმა მოიპოვეს. ორქულიანი სროლა ერთ ქულად ფასდებოდა, სამქულიანი კი - ორად. თამაშიც არა დროზე, არამედ 15 ქულამდე გრძელდებოდა. გაიმარჯვა ჩერქეზიშვილის გუნდმა, რომელმაც მეტოქე 15:9 დაამარცხა.

ბოლოს ჩატენვების დროც დადგა. ოთხ კონკურსანტს ვახტანგ მინაშვილს, ირაკლი კეიდიას, მიხეილ ფანჩულიძეს და ალეკო ქისტაურს ოთხ-ოთხჯერ მიეცათ ბურთის კალათში ჩატენვის უფლება. შეფასების სისტემა ათბალიანი იყო. ჟიურიში შედიოდნენ ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, რეზო ჩხეიძე და ნიკოლოზ დერიუგინი. მისი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, საუკეთესოდ ვახტანგ მინაშვილი გამოცხადდა.

# „საოჯახო ტოტო"-ს 22 მაისის №60 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000010 | 1,0 |
| 000019 | 1,5 |
| 000042 | 3,5 |
| 000052 | 3,5 |
| 000054 | 6,5 |
| 000065 | 1,0 |
| 000092 | 1,0 |
| 000109 | 2,0 |
| 000122 | 2,5 |
| 000147 | 2,0 |
| 000176 | 1,0 |
| 000180 | 1,0 |
| 000186 | 1,0 |
| 000204 | 1,0 |
| 000241 | 2,5 |
| 000245 | 3,0 |
| 000265 | 1,5 |
| 000279 | 5,5 |
| 000281 | 1,5 |
| 000291 | 2,0 |
| 000295 | 1,0 |
| 000304 | 5,0 |
| 000339 | 4,0 |
| 000346 | 1,0 |
| 000350 | 2,0 |
| 000364 | 2,5 |
| 000369 | 4,0 |
| 000371 | 3,5 |
| 000405 | 6,0 |
| 000406 | 1,0 |
| 000416 | 1,5 |
| 000423 | 5,0 |
| 000475 | 1,0 |
| 000490 | 1,5 |
| 000491 | 1,0 |
| 000515 | 1,0 |
| 000538 | 1,5 |
| 000547 | 1,0 |
| 000557 | 6,5 |
| 000577 | 1,5 |
| 000596 | 2,5 |
| 000602 | 1,5 |
| 000606 | 1,0 |
| 000613 | 4,5 |
| 000616 | 1,0 |
| 000621 | 2,0 |
| 000641 | 1,0 |
| 000684 | 3,0 |
| 000686 | 4,5 |
| 000693 | 3,5 |
| 000706 | 1,5 |
| 000726 | 1,0 |
| 000734 | 2,0 |
| 000747 | 1,5 |
| 000755 | 1,0 |
| 000771 | 2,0 |
| 000777 | 1,0 |
| 000788 | 1,5 |
| 000823 | 3,5 |
| 000837 | 2,0 |
| 000855 | 1,0 |
| 000866 | 1,5 |
| 000867 | 2,0 |
| 000882 | 2,5 |
| 000897 | 1,5 |
| 000898 | 1,5 |
| 000912 | 1,5 |
| 000921 | 1,0 |
| 000923 | 3,5 |
| 000924 | 4,5 |
| 000932 | 1,5 |
| 000942 | 1,5 |
| 000947 | 2,0 |
| 000972 | 1,5 |
| 000979 | 1,0 |
| 001001 | 1,0 |
| 001007 | 1,5 |
| 001025 | 2,5 |
| 001032 | 3,5 |
| 001044 | 2,0 |
| 001061 | 1,5 |
| 001070 | 3,0 |
| 001089 | 1,0 |
| 001100 | 1,5 |
| 001109 | 2,0 |
| 001112 | 1,0 |
| 001113 | 7,5 |
| 001133 | 2,0 |
| 001135 | 1,5 |
| 001183 | 1,0 |
| 001196 | 1,5 |
| 001198 | 2,0 |
| 001210 | 1,5 |
| 001212 | 1,5 |
| 001215 | 1,0 |
| 001227 | 2,0 |
| 001229 | 2,0 |
| 001243 | 1,0 |
| 001247 | 1,5 |
| 001253 | 1,5 |
| 001258 | 2,0 |
| 001269 | 2,5 |
| 001270 | 2,0 |
| 001271 | 1,0 |
| 001273 | 1,5 |
| 001279 | 3,0 |
| 001297 | 1,0 |
| 001303 | 1,5 |
| 001328 | 1,5 |
| 001350 | 2,0 |
| 001378 | 1,0 |
| 001385 | 5,0 |
| 001393 | 1,5 |
| 001394 | 1,5 |
| 001407 | 1,0 |
| 001428 | 1,0 |
| 001429 | 1,0 |
| 001449 | 1,0 |
| 001476 | 1,0 |
| 001488 | 1,5 |
| 001496 | 1,5 |
| 001508 | 4,0 |
| 001514 | 3,5 |
| 001544 | 1,5 |
| 001545 | 2,5 |
| 001546 | 2,5 |
| 001568 | 1,5 |
| 001607 | 2,0 |
| 001615 | 2,0 |
| 001631 | 1,0 |
| 001647 | 1,5 |
| 001653 | 1,0 |
| 001660 | 1,0 |
| 001663 | 3,5 |
| 001678 | 2,0 |
| 001717 | 2,0 |
| 001728 | 1,5 |
| 001729 | 6,0 |
| 001739 | 1,5 |
| 001790 | 2,0 |
| 001795 | 1,5 |
| 001799 | 1,5 |
| 001801 | 1,5 |
| 001823 | 2,0 |
| 001829 | 1,5 |
| 001870 | 1,0 |
| 001896 | 1,0 |
| 001920 | 1,0 |
| 001929 | 1,5 |
| 001936 | 2,5 |
| 001943 | 1,0 |
| 001946 | 1,0 |
| 001966 | 1,5 |
| 001985 | 6,0 |
| 002009 | 1,0 |
| 002014 | 1,0 |
| 002040 | 1,0 |
| 002051 | 1,0 |
| 002062 | 1,0 |
| 002073 | 1,5 |
| 002083 | 1,5 |
| 002093 | 1,0 |
| 002099 | 2,0 |
| 002107 | 1,5 |
| 002114 | 1,0 |
| 002123 | 2,0 |
| 002130 | 1,5 |
| 002135 | 6,0 |
| 002138 | 2,0 |
| 002153 | 1,5 |
| 002188 | 1,0 |
| 002198 | 4,0 |
| 002213 | 2,0 |
| 002215 | 1,0 |
| 002232 | 2,5 |
| 002252 | 1,5 |
| 002258 | 3,5 |
| 002272 | 2,5 |
| 002284 | 1,0 |
| 002304 | 2,0 |
| 002326 | 1,0 |
| 002332 | 3,0 |
| 002364 | 1,0 |
| 002373 | 1,0 |
| 002383 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 002384 | 1,0 |
| 002390 | 2,5 |
| 002410 | 1,0 |
| 002443 | 1,5 |
| 002452 | 3,5 |
| 002467 | 1,0 |
| 002475 | 2,0 |
| 002476 | 1,0 |
| 002477 | 1,0 |
| 002489 | 3,5 |
| 002499 | 1,5 |
| 002526 | 1,0 |
| 002532 | 4,0 |
| 002540 | 1,0 |
| 002557 | 1,5 |
| 002559 | 3,5 |
| 002571 | 1,0 |
| 002576 | 1,5 |
| 002578 | 1,5 |
| 002595 | 1,5 |
| 002602 | 1,5 |
| 002610 | 1,5 |
| 002612 | 3,5 |
| 002619 | 2,0 |
| 002649 | 1,0 |
| 002652 | 2,0 |
| 002656 | 1,0 |
| 002663 | 1,0 |
| 002669 | 2,0 |
| 002680 | 1,5 |
| 002695 | 1,5 |
| 002704 | 4,5 |
| 002715 | 2,0 |
| 002723 | 1,0 |
| 002728 | 1,0 |
| 002754 | 3,0 |
| 002771 | 1,5 |
| 002780 | 1,5 |
| 002781 | 1,5 |
| 002822 | 1,5 |
| 002832 | 1,5 |
| 002835 | 1,0 |
| 002840 | 1,5 |
| 002841 | 1,5 |
| 002863 | 2,0 |
| 002868 | 6,0 |
| 002881 | 1,0 |
| 002888 | 1,0 |
| 002889 | 3,5 |
| 002890 | 1,5 |
| 002894 | 1,5 |
| 002898 | 1,0 |
| 002909 | 2,0 |
| 002931 | 3,5 |
| 002945 | 2,0 |
| 002952 | 3,5 |
| 003009 | 1,5 |
| 003022 | 1,5 |
| 003028 | 1,5 |
| 003033 | 1,0 |
| 003039 | 1,0 |
| 003050 | 2,0 |
| 003090 | 2,0 |
| 003107 | 1,5 |
| 003123 | 1,5 |
| 003134 | 1,5 |
| 003151 | 1,0 |
| 003154 | 3,5 |
| 003189 | 2,0 |
| 003193 | 1,0 |
| 003197 | 1,0 |
| 003198 | 1,0 |
| 003201 | 1,0 |
| 003248 | 1,5 |
| 003323 | 3,5 |
| 003363 | 1,5 |
| 003364 | 1,5 |
| 003370 | 1,0 |
| 003377 | 6,0 |
| 003381 | 6,5 |
| 003395 | 1,0 |
| 003422 | 1,0 |
| 003425 | 1,0 |
| 003428 | 1,5 |
| 003434 | 1,0 |
| 003459 | 3,0 |
| 003464 | 2,0 |
| 003479 | 2,0 |
| 003488 | 1,5 |
| 003507 | 1,0 |
| 003539 | 1,0 |
| 003541 | 3,5 |
| 003559 | 1,0 |
| 003591 | 6,0 |
| 003612 | 1,5 |
| 003616 | 4,5 |
| 003626 | 2,0 |
| 003627 | 7,5 |
| 003629 | 2,0 |
| 003659 | 1,5 |
| 003698 | 2,0 |
| 003703 | 1,0 |
| 003716 | 1,0 |
| 003720 | 1,5 |
| 003723 | 1,5 |
| 003734 | 2,5 |
| 003768 | 7,0 |
| 003776 | 1,5 |
| 003802 | 1,0 |
| 003818 | 1,5 |
| 003821 | 1,5 |
| 003824 | 2,0 |
| 003829 | 2,0 |
| 003888 | 2,5 |
| 003893 | 1,0 |
| 003930 | 1,5 |
| 003947 | 3,0 |
| 003957 | 1,0 |
| 003978 | 1,5 |
| 003993 | 2,5 |
| 004002 | 1,0 |
| 004029 | 1,5 |
| 004042 | 1,0 |
| 004055 | 1,5 |
| 004061 | 1,0 |
| 004069 | 2,0 |
| 004094 | 2,0 |
| 004110 | 1,0 |
| 004130 | 2,0 |
| 004138 | 1,5 |
| 004139 | 1,0 |
| 004145 | 2,0 |
| 004150 | 1,0 |
| 004151 | 1,5 |
| 004166 | 1,5 |
| 004170 | 1,0 |
| 004180 | 1,0 |
| 004193 | 1,5 |
| 004201 | 1,5 |
| 004206 | 1,5 |
| 004208 | 1,0 |
| 004217 | 1,5 |
| 004247 | 1,0 |
| 004253 | 1,0 |
| 004263 | 2,0 |
| 004277 | 3,0 |
| 004281 | 2,0 |
| 004315 | 1,5 |
| 004329 | 1,0 |
| 004345 | 1,0 |
| 004358 | 6,5 |
| 004359 | 1,0 |
| 004386 | 1,0 |
| 004407 | 1,0 |
| 004431 | 2,0 |
| 004469 | 1,5 |
| 004490 | 1,0 |
| 004537 | 3,5 |
| 004543 | 1,0 |
| 004570 | 2,0 |
| 004602 | 4,0 |
| 004606 | 1,5 |
| 004611 | 1,0 |
| 004617 | 1,0 |
| 004626 | 2,0 |
| 004633 | 1,5 |
| 004657 | 1,0 |
| 004661 | 2,5 |
| 004671 | 1,0 |
| 004678 | 2,5 |
| 004693 | 4,5 |
| 004696 | 2,5 |
| 004751 | 3,5 |
| 004775 | 1,0 |
| 004808 | 1,5 |
| 004847 | 2,0 |
| 004895 | 2,5 |
| 004907 | 3,0 |
| 004918 | 1,5 |
| 004935 | 2,0 |
| 004944 | 1,0 |
| 004953 | 1,5 |
| 004978 | 1,5 |
| 004981 | 2,0 |
| 004990 | 1,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 004991 | 1,5 |
| 005048 | 4,5 |
| 005052 | 1,5 |
| 005058 | 5,5 |
| 005077 | 2,0 |
| 005110 | 1,5 |
| 005111 | 1,5 |
| 005128 | 3,0 |
| 005134 | 3,0 |
| 005237 | 1,5 |
| 005242 | 3,5 |
| 005251 | 2,0 |
| 005258 | 3,0 |
| 005282 | 2,0 |
| 005287 | 2,0 |
| 005340 | 1,0 |
| 005368 | 1,0 |
| 005391 | 1,5 |
| 005403 | 5,0 |
| 005408 | 2,0 |
| 005463 | 1,5 |
| 005486 | 1,0 |
| 005497 | 1,0 |
| 005517 | 2,0 |
| 005522 | 2,5 |
| 005527 | 1,0 |
| 005533 | 2,0 |
| 005551 | 2,5 |
| 005590 | 1,5 |
| 005598 | 1,0 |
| 005636 | 1,0 |
| 005651 | 2,0 |
| 005657 | 3,0 |
| 005673 | 1,0 |
| 005693 | 1,0 |
| 006107 | 3,5 |
| 006117 | 5,0 |
| 006144 | 2,0 |
| 006173 | 3,5 |
| 006191 | 2,0 |
| 006206 | 1,0 |
| 006213 | 1,0 |
| 006217 | 3,5 |
| 006225 | 1,0 |
| 006237 | 1,0 |
| 006242 | 1,0 |
| 006269 | 1,0 |
| 006272 | 1,0 |
| 006280 | 6,0 |
| 006284 | 3,0 |
| 006290 | 3,5 |
| 006317 | 2,0 |
| 006334 | 2,0 |
| 006345 | 1,0 |
| 006356 | 1,5 |
| 006373 | 1,0 |
| 006386 | 1,0 |
| 006389 | 1,0 |
| 006428 | 1,5 |
| 006442 | 1,5 |
| 006472 | 3,0 |
| 006491 | 1,5 |
| 006496 | 2,0 |
| 006509 | 3,0 |
| 006532 | 2,0 |
| 006551 | 3,0 |
| 006565 | 1,5 |
| 006589 | 1,0 |
| 006590 | 1,0 |
| 006595 | 1,0 |
| 006643 | 1,0 |
| 006647 | 1,5 |
| 006654 | 2,0 |
| 006667 | 2,0 |
| 006683 | 1,0 |
| 006733 | 1,5 |
| 006753 | 1,0 |
| 006775 | 1,5 |
| 006776 | 1,0 |
| 006787 | 2,0 |
| 006799 | 2,0 |
| 006800 | 3,5 |
| 006821 | 5,0 |
| 006823 | 1,5 |
| 006841 | 1,0 |
| 006843 | 1,0 |
| 006850 | 2,0 |
| 006853 | 1,0 |
| 006857 | 2,0 |
| 006860 | 1,0 |
| 006868 | 2,0 |
| 006877 | 1,5 |
| 006890 | 1,0 |
| 006902 | 1,0 |
| 006906 | 2,0 |
| 006908 | 1,0 |
| 006924 | 6,0 |
| 006932 | 1,5 |
| 006974 | 1,5 |
| 006985 | 1,0 |
| 006988 | 1,0 |
| 006990 | 6,0 |
| 007004 | 1,0 |
| 007023 | 1,5 |
| 007036 | 2,0 |
| 007041 | 1,5 |
| 007047 | 2,0 |
| 007050 | 1,5 |
| 007060 | 1,5 |
| 007067 | 2,0 |
| 007072 | 2,0 |
| 007077 | 1,0 |
| 007108 | 2,0 |
| 007130 | 1,5 |
| 007133 | 1,0 |
| 007145 | 4,0 |
| 007155 | 2,0 |
| 007168 | 2,0 |
| 007176 | 2,0 |
| 007187 | 1,5 |
| 007195 | 1,0 |
| 007197 | 1,0 |
| 007211 | 1,5 |
| 007212 | 1,5 |
| 007214 | 1,5 |
| 007252 | 1,0 |
| 007262 | 1,0 |
| 007264 | 1,0 |
| 007269 | 1,0 |
| 007272 | 1,5 |
| 007276 | 2,0 |
| 007305 | 1,0 |
| 007313 | 1,0 |
| 007323 | 6,0 |
| 007354 | 1,5 |
| 007359 | 6,0 |
| 007361 | 1,0 |
| 007380 | 1,0 |
| 007386 | 1,0 |
| 007390 | 1,0 |
| 007411 | 1,0 |
| 007435 | 1,0 |
| 007448 | 1,5 |
| 007481 | 1,0 |
| 007500 | 2,0 |
| 007503 | 2,5 |
| 007504 | 1,5 |
| 007509 | 1,0 |
| 007540 | 2,0 |
| 007544 | 2,5 |
| 007551 | 3,5 |
| 007555 | 1,5 |
| 007575 | 1,0 |
| 007577 | 1,5 |
| 007581 | 1,0 |
| 007582 | 4,0 |
| 007594 | 1,0 |
| 007607 | 2,0 |
| 007640 | 1,5 |
| 007653 | 1,0 |
| 007655 | 1,0 |
| 007665 | 1,0 |
| 007673 | 1,0 |
| 007683 | 1,0 |
| 007705 | 1,5 |
| 007709 | 1,5 |
| 007719 | 3,0 |
| 007725 | 1,0 |
| 007764 | 1,5 |
| 007780 | 3,5 |
| 007819 | 1,5 |
| 007823 | 1,0 |
| 007826 | 2,0 |
| 007829 | 1,0 |
| 007878 | 1,5 |
| 007886 | 3,5 |
| 007921 | 1,0 |
| 007936 | 4,0 |
| 007960 | 1,5 |
| 007992 | 3,5 |
| 008003 | 1,0 |
| 008009 | 1,0 |
| 008010 | 6,0 |
| 008012 | 3,5 |
| 008027 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 008048 | 2,0 |
| 008065 | 2,0 |
| 008068 | 4,0 |
| 008086 | 5,0 |
| 008103 | 1,5 |
| 008105 | 1,0 |
| 008130 | 3,0 |
| 008149 | 2,5 |
| 008151 | 1,0 |
| 008173 | 3,5 |
| 008208 | 1,0 |
| 008230 | 1,0 |
| 008240 | 4,5 |
| 008268 | 3,5 |
| 008314 | 1,5 |
| 008336 | 2,0 |
| 008342 | 1,0 |
| 008345 | 3,5 |
| 008346 | 2,0 |
| 008372 | 1,5 |
| 008373 | 2,0 |
| 008374 | 3,5 |
| 008406 | 2,0 |
| 008431 | 1,0 |
| 008433 | 1,0 |
| 008438 | 1,5 |
| 008468 | 2,0 |
| 008472 | 1,0 |
| 008473 | 1,0 |
| 008479 | 1,0 |
| 008495 | 1,5 |
| 008496 | 1,5 |
| 008508 | 1,0 |
| 008509 | 2,0 |
| 008513 | 2,0 |
| 008542 | 2,0 |
| 008563 | 1,0 |
| 008569 | 1,5 |
| 008584 | 1,5 |
| 008585 | 2,5 |
| 008596 | 1,0 |
| 008604 | 1,0 |
| 008611 | 1,5 |
| 008616 | 2,0 |
| 008633 | 1,5 |
| 008640 | 1,5 |
| 008641 | 1,0 |
| 008653 | 4,0 |
| 008656 | 1,5 |
| 008658 | 2,0 |
| 008674 | 1,0 |
| 008682 | 6,0 |
| 008694 | 1,5 |
| 008706 | 2,5 |
| 008709 | 1,0 |
| 008710 | 1,0 |
| 008727 | 1,0 |
| 008730 | 2,0 |
| 008752 | 1,5 |
| 008756 | 1,5 |
| 008771 | 1,5 |
| 008795 | 1,5 |
| 008825 | 2,0 |
| 008833 | 1,0 |
| 008866 | 3,0 |
| 008874 | 3,0 |
| 008889 | 1,5 |
| 008915 | 1,0 |
| 008920 | 1,5 |
| 008937 | 1,5 |
| 008994 | 1,5 |
| 009025 | 4,0 |
| 009029 | 1,5 |
| 009036 | 2,5 |
| 009038 | 1,0 |
| 009050 | 1,0 |
| 009052 | 1,0 |
| 009056 | 2,0 |
| 009059 | 1,0 |
| 009086 | 1,0 |
| 009099 | 1,5 |
| 009205 | 1,0 |
| 009218 | 2,0 |
| 009228 | 6,5 |
| 009231 | 1,0 |
| 009238 | 1,0 |
| 009239 | 1,0 |
| 009245 | 1,0 |
| 009284 | 1,0 |
| 009286 | 1,5 |
| 009288 | 1,5 |
| 009299 | 2,5 |
| 009310 | 2,0 |
| 009330 | 1,5 |
| 009366 | 2,0 |
| 009403 | 1,0 |
| 009422 | 1,0 |
| 009432 | 1,5 |
| 009434 | 2,5 |
| 009437 | 1,0 |
| 009440 | 4,5 |
| 009450 | 1,5 |
| 009463 | 1,5 |
| 009468 | 1,5 |
| 009473 | 2,5 |
| 009476 | 2,0 |
| 009509 | 2,0 |
| 009542 | 3,5 |
| 009544 | 5,0 |
| 009553 | 1,5 |
| 009611 | 1,0 |
| 009614 | 2,0 |
| 009619 | 1,0 |
| 009624 | 1,5 |
| 009647 | 1,0 |
| 009687 | 1,5 |
| 009711 | 1,0 |
| 009714 | 2,5 |
| 009719 | 20,0 |
| 009753 | 1,5 |
| 009762 | 1,5 |
| 009777 | 3,5 |
| 009806 | 1,5 |
| 009818 | 1,0 |
| 009830 | 1,0 |
| 009850 | 1,5 |
| 009860 | 1,5 |
| 009884 | 1,5 |
| 009921 | 1,0 |
| 009925 | 1,0 |
| 009927 | 6,5 |
| 009958 | 1,0 |
| 009975 | 1,0 |
| 009976 | 1,5 |
| 009977 | 1,0 |
| 009990 | 1,0 |
| 009996 | 2,0 |
| 010004 | 1,0 |
| 010020 | 1,0 |
| 010024 | 1,0 |
| 010029 | 1,5 |
| 010032 | 1,0 |
| 010050 | 1,0 |
| 010059 | 1,0 |
| 010087 | 2,0 |
| 010088 | 1,0 |
| 010105 | 1,0 |
| 010119 | 1,0 |
| 010127 | 5,0 |
| 010162 | 1,0 |
| 010177 | 1,5 |
| 010240 | 1,5 |
| 010257 | 1,5 |
| 010271 | 2,0 |
| 010281 | 1,0 |
| 010284 | 3,5 |
| 010290 | 1,5 |
| 010308 | 1,0 |
| 010319 | 1,0 |
| 010323 | 1,5 |
| 010333 | 3,5 |
| 010341 | 3,0 |
| 010346 | 1,5 |
| 010376 | 1,5 |
| 010388 | 1,0 |
| 010390 | 1,0 |
| 010400 | 6,5 |
| 010403 | 2,5 |
| 010404 | 1,5 |
| 010430 | 1,5 |
| 010431 | 1,0 |
| 010436 | 1,5 |
| 010441 | 1,0 |
| 010456 | 1,5 |
| 010466 | 1,5 |
| 010475 | 2,0 |
| 010491 | 1,0 |
| 010497 | 1,5 |
| 010502 | 1,0 |
| 010504 | 1,0 |
| 010509 | 2,0 |
| 010511 | 1,5 |
| 010513 | 1,5 |
| 010519 | 3,0 |
| 010527 | 3,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 010528 | 1,5 |
| 010531 | 4,5 |
| 010534 | 3,5 |
| 010535 | 1,0 |
| 010536 | 1,0 |
| 010549 | 1,5 |
| 010556 | 2,0 |
| 010564 | 1,5 |
| 010578 | 1,0 |
| 010579 | 1,5 |
| 010611 | 1,0 |
| 010621 | 3,5 |
| 010630 | 3,0 |
| 010635 | 2,0 |
| 010657 | 1,0 |
| 010670 | 1,5 |
| 010699 | 2,0 |
| 010707 | 1,5 |
| 010716 | 1,5 |
| 010728 | 2,0 |
| 010748 | 2,0 |
| 010782 | 1,0 |
| 010792 | 7,5 |
| 010826 | 1,5 |
| 010856 | 3,5 |
| 010869 | 2,0 |
| 010909 | 1,0 |
| 010926 | 1,5 |
| 010929 | 1,0 |
| 010933 | 5,0 |
| 010949 | 2,0 |
| 010968 | 1,0 |
| 010971 | 2,0 |
| 010972 | 1,0 |
| 011005 | 1,0 |
| 011036 | 1,0 |
| 011059 | 1,5 |
| 011066 | 1,0 |
| 011069 | 6,0 |
| 011079 | 2,0 |
| 011090 | 2,0 |
| 011122 | 5,0 |
| 011146 | 1,0 |
| 011150 | 2,5 |
| 011201 | 1,5 |
| 011203 | 1,5 |
| 011206 | 1,0 |
| 011237 | 1,5 |
| 011271 | 1,5 |
| 011290 | 1,0 |
| 011332 | 1,0 |
| 011362 | 6,0 |
| 011419 | 1,5 |
| 011423 | 1,5 |
| 011448 | 2,0 |
| 011451 | 1,5 |
| 011459 | 3,5 |
| 011467 | 1,0 |
| 011474 | 2,0 |
| 011495 | 1,0 |
| 011498 | 1,5 |
| 011509 | 5,5 |
| 011530 | 1,0 |
| 011546 | 1,5 |
| 011556 | 1,0 |
| 011563 | 1,0 |
| 011587 | 1,5 |
| 011595 | 2,0 |
| 011644 | 1,0 |
| 011646 | 2,0 |
| 011654 | 2,0 |
| 011674 | 1,0 |
| 011678 | 3,0 |
| 011694 | 1,0 |
| 011699 | 30,0 |
| 011701 | 1,5 |
| 011703 | 1,0 |
| 011705 | 2,0 |
| 011718 | 5,5 |
| 011721 | 2,0 |
| 011722 | 2,0 |
| 011728 | 1,0 |
| 011730 | 1,5 |
| 011766 | 1,5 |
| 011775 | 1,0 |
| 011799 | 2,0 |
| 011813 | 1,0 |
| 011836 | 2,0 |
| 011838 | 3,5 |
| 011839 | 1,0 |
| 011840 | 1,0 |
| 011841 | 1,0 |
| 011842 | 1,5 |
| 011843 | 3,0 |
| 011877 | 2,0 |
| 011887 | 2,0 |
